დანართი

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა

2014-2022

შინაარსი

1. გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა.....3

1.1. გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის პროცესი საქართველოში.....3
1.2. საქართველო და გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ 4
1.3. საქართველოს გაუდაბნოების მოქმედებათა ეროვნული პროგრამის კონვენციის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა.....5
1.4. სამომავლო ხედვა და საოპერაციო მიზნები 7

2. ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლება და განათლება 9

2.1. სიტუაციის ანალიზი/პრობლემის აღწერა 9
2.1.1. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი.....9
2.1.2 . საზოგადოებასთან ურთიერთობის მიდგომები და კომუნიკაციის მეთოდები 12
2.2. სტრატეგიული მიდგომები 13

3. პოლიტიკა და კანონმდებლობა 14

3.1. სიტუაციის ანალიზი/პრობლემის აღწერა 14
3.1.1. მოქმედი კანონმდებლობა.....14
3.1.2. პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები.....33
3.1.3. ინსტიტუციონალური მოწყობა..... 49
3.2. სტრატეგიული მიდგომები 62

4. მეცნიერება, ტექნოლოგია და ცოდნა 69

4.1. სიტუაციის ანალიზი/პრობლემის აღწერა 72
4.1.1. გაუდაბნოების გამომწვევი ბიოფიზიკური ფაქტორები 76
4.1.2. ნიადაგის დეგრადაციის სახეები 89
4.1.3. მოსახლეობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 99
4.2. სტრატეგიული მიდგომები 105

5. შესაძლებლობების გაძლიერება 107

5.1. სიტუაციის ანალიზი/პრობლემის აღწერა 107
5.2. სტრატეგიული მიდგომები 109

6. განხორციელება და რესურსების მობილიზება.....110

7. საოპერაციო მიზნები, სტრატეგიული ამოცანები, შედეგები და ქმედებები.....112

1. გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა

1.1. გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის პროცესი საქართველოში

1994 წლის გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ კონვენციამ საფუძველი ჩაუყარა გლობალური მასშტაბით გაუდაბნოებისა და მიწების დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების საერთაშორისო სისტემას.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენცია გაუდაბნოებას განმარტავს სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის კლიმატური ცვლილებებით და ადამიანის საქმიანობით გამოწვეულ ნიადაგის დეგრადაციას არიდულ, ნახევრად არიდულ და მშრალ სუბნოტიო რაიონებში.

მიწის დეგრადაცია, ამავე კონვენციის შესაბამისად, ნიშნავს ბიოლოგიური ან ეკონომიკური პროდუქტიულობის მქონე ურწყავი, სარწყავი სახნავი მიწების, აგრეთვე საძოვრების, ტყეების კომპლექსის შემცირებას ან დაკარგვას, გამოწვეულს მიწათსარგებლობით, პროცესით ან პროცესების ერთობლიობით არიდულ, ნახევრად-არიდულ და მშრალ სუბ-ნოტიო რაიონებში, რომლებიც წარმოქმნილია ადამიანის საქმიანობით და განსახლების სტრუქტურით, როგორიცაა: ქარის ან წყლის მიერ გამოწვეული ნიადაგის ეროზია; ნიადაგის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური, ან ეკონომიკური ხარისხის გაუარესება; ბუნებრივი მცენარეული საფარის ხანგრძლივი დაკარგვა.

გაუდაბნოების/მიწების დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტები მოიცავენ, როგორც უშუალოდ გაუდაბნოების/მიწების დეგრადაციის და გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების, ასევე მიწების რესურსების მდგრადი მართვის (მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელობის, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის, დაცული ტერიტორიების მართვის, სოფლის მეურნეობის, კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ხელშემწყობი პრაქტიკა და სხვა) საკითხებს.

საქართველოსათვის გაუდაბნოება/მიწის დეგრადაცია არა მარტო ეკოლოგიური, არამედ სოციალური და ეკონომიკური პრობლემაცაა. გადაჭარბებული ძოვება, ტყის ფართობების შემცირება, არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და ტერიტორიების არარაციონალური ათვისება ურბანული განვითარების მიზნით მიწის დეგრადაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორებია.

გაუდაბნოების / მიწის დეგრადაციის პროცესი გამოწვეულია როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ბუნებრივი ფაქტორებიდან უმთავრესია: კლიმატური, ჰიდროგეოლოგიური, მორფოდინამიკური, ნიადაგური და სხვა. ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების მხრივ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა, სამთო-მოპოვებითი სამუშაოები, ურბანიზაცია და სხვა.

ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად იზრდება არიდული და სემიარიდული ტერიტორიები, სადაც ვითარდება ქარისმიერი და დახრამვითი ეროზიული პროცესები, რასაც თან სდევს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ბედლენდების წარმოქმნა. ვაკის და მთის ტყეების გაჩეხვის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა კლიმატის არიდულობა, გააქტიურდა ნიადაგ-მცენარეული საფარის დეგრადაცია და ლანდშაფტის გაუდაბნოება.

ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას იწვევს დამლაშებისა და გაბიცობების პროცესები. ნიადაგში მიმდინარე დამლაშების პროცესები შესაძლოა დაკავშირებული იქნას მარილშემცველი ქანების გამოფიტვის პროცესებთან, მინერალიზებული გრუნტის წყალთან, ეოლური პროცესებთან ან რიგ სხვა ფაქტორებთან. ასევე აღსანიშნავია არიდულ სამიწათმოქმედო ზონაში რწყვის ნორმების და წესების დაუცველობაც, რომლის შედეგად ფორმირდება მეორადი დამლაშებული ნიადაგები. ნიადაგის ნაყოფიერება მცირდება ნიადაგის ძლიერი მჟავიანობითაც, რასაც იწვევს ფიზიოლოგიურად მჟავე მარილების შემცველი სასუქების ინტენსიური და არარაციონალური გამოყენება, მჟავე ნალექები და სხვა.

გარდა ამისა, ადგილი აქვს ნიადაგის დაბინძურებას სოფლის მეურნეობაში სასუქების (ორგანული და მინერალური) და შხამქიმიკატების არამდგრადი გამოყენებით, ნიადაგში მძიმე მეტალების მოხვედრით, ასევე ხდება ნიადაგის საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენებით დაბინძურება.

თუმცა საქართველო არ იმყოფება უდაბნოების ზონის უშუალო მახლობლობაში, მოსალოდნელი გლობალური დათბობის ფონზე მის აღმოსავლეთ ნაწილში ზოგიერთ რეგიონს (კახეთი, შიდა და ქვემო ქართლი) სისტემატური გვალვიანობის შემთხვევაში შეიძლება რეალურად შეექმნას ლოკალური გაუდაბნოების საშიშროება. გარდა აღნიშნული რაიონებისა, საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლებელია გაუდაბნოებისადმი მგრძნობიარე კიდევ სხვა ტერიტორიების არსებობა, რომელთა გამოვლენა ასევე მნიშვნელოვანია გაუდაბნოებასთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების ჩატარებისათვის.

1.2. საქართველო და გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ

საქართველომ 1994 წელს ხელი მოაწერა გაეროს კონვენციას გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ. 1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება და 1999 წლის 21 ოქტომბერს საქართველო გახდა გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მხარე.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობდა კონვენციის ეგიდით გამართულ მხარეთა კონფერენციებში და ასევე კონვენციის მე-5 დანართის ქვეყნებისათვის გამართულ შეხვედრებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. სწორედ ამ რეგიონში განიხილება საქართველო კონვენციის მიხედვით.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, მხარეები შეიმუშავებენ კონვენციის განხორციელების გრძელვადიან სტრატეგიას - გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნულ პროგრამას. 2000 წელს საქართველოში შემუშავდა გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა და იგი დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 2 აპრილის N112 ბრძანებულებით.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამის (2003 წელის) მიხედვით საქართველოში განისაზღვრა გაუდაბნოებისადმი მოწყვლადი რეგიონები - კახეთი და ქვემო ქართლი. კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენული ზემოქმედების მიმართ მოწყვლადი ტერიტორიები კიდევ უფრო მეტია. შესაბამისად აქტუალურია ასეთი ტერიტორიების წარმოჩენა და საადაპტაციო ღონისძიებების შემუშავება.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა გამოყოფდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიკური მექანიზმები;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება გაუდაბნოების პროცესების ფონზე;
- მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება;
- გაუდაბნოების მონიტორინგი;
- გაუდაბნოება და სოფლის მეურნეობა;
- საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობა.

ამ დოკუმენტის შესაბამისად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაეკისრა მოქმედებათა გეგმის განხორციელების კოორდინაციის ვალდებულება, ხოლო მის განხორციელებაში სამთავრობო უწყებების გარდა, გათვალისწინებული იყო არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობა. აღნიშნული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნული გეგმის შემუშავების პროცესშიც.

1.3. საქართველოს მოქმედებათა ეროვნული პროგრამის კონვენციის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანა

2008 წელს კონვენციის მხარეთა კონფერენციამ შეიმუშავა კონვენციის განხორციელების სტრატეგია 2008-2018 წლებისთვის. სწორედ ეს სტრატეგია გახდა ძირითადი პრინციპი, რის მიხედვითაც კონვენციის მხარეებმა უნდა შეიმუშავონ მოქმედებათა ეროვნული პროგრამები. ამ მიზნით დაევალათ საფინანსო ინსტიტუტებს, როგორიცაა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, გლობალური მექანიზმი, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა ხელი შეუწყონ და დაეხმარონ ქვეყნებს მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავებაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით გლობალურმა გარემოსდაცვითმა ფონდმა დააფინანსა პროექტი **„გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის კონვენციის სტრატეგიასთან და ეროვნული მოხსენების კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა“.** ეს პროექტი განხორციელდა კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ხელშეწყობით.

პროექტის მიზანია შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედებათა ეროვნული პროგრამა და მოამზადოს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის განხორციელების შესახებ 2012-2013 წლების ეროვნული მოხსენება.

მოქმედებათა ეროვნული პროგრამის კონვენციის სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის კავკასიის რეგიონულმა გარემოსდაცვითმა ცენტრმა შექმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომლის წევრებსაც განესაზღვრათ ამოცანა და მათი ძალისხმევით და აგრეთვე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შეიქმნა წინამდებარე მოქმედებათა ეროვნული პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფისა და დაინტერესებული მხარეების შეთანხმებით მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის შემუშავებისთვის შერჩეულ იქნა სამი რეგიონი (კახეთი, შიდა და ქვემო ქართლი).

პროგრამის საოპერაციო მიზნები ჩამოყალიბდა კონვენციის 10 წლიანი სტრატეგიის საოპერაციო მიზნების შესაბამისად და ასევე საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის და საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის და მოქმედებათა გეგმის სტრუქტურის გათვალისწინებით. გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის 10-წლიან სტრატეგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული და საოპერაციო მიზნები.

სტრატეგიული მიზნები:

სტრატეგიული მიზანი 1. დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი 2. დაზარალებული ეკოსისტემების გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი 3. გლობალური სარგებლის მიღება გაუდაბნოებასთან ბრძოლის გაეროს კონვენციის ეფექტური განხორციელების გზით;

სტრატეგიული მიზანი 4. რესურსების მობილიზება ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორობის გზით, რაც ხელს შეუწყობს კონვენციის განხორციელებას.

ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად კონვენციის მხარეებმა შეიმუშავეს საოპერაციო მიზნები და მისაღწევი შედეგები. კონვენციის სტრატეგიის საოპერაციო მიზნებია:

1. ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლება და განათლება;
2. პოლიტიკა და კანონმდებლობა;
3. ტექნოლოგია და ცოდნა;
4. შესაძლებლობების გაძლიერება;
5. დაფინანსება და ტექნოლოგიის გაცვლა.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მიხედვით და სტრატეგიით განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა საქართველოს გაუდაბნოებასთან ბრძოლის მეორე ეროვნული პროგრამის სტრუქტურა, რაც შეთავაზებული იყო სამუშაო შეხვედრაზე. დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები გათვალისწინებული იყო მოქმედებათა ეროვნული პროგრამის საბოლოო ვარიანტში.

აღსანიშნავია, რომ მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო კონვენციის ერთ-ერთი ვალდებულება ქალების, მამაკაცებისა და ახალგაზრდების თანაბარი ჩართულობა.

1.4. სამომავლო ხედვა და ეროვნული მიზნები

სამომავლო ხედვა

გაეროს კონვენციის გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ სტრატეგიის ძირითადი გლობალური მიზანია გლობალური პარტნიორობის ჩამოყალიბება, რაც მნიშვნელოვანად შეამცირებს და თავიდან აიცილებს გაუდაბნოებას/მიწის დეგრადაციას და გვალვის შედეგებს წინამდებარე

პროგრამით განსაზღვრულ რეგიონებში, რაც ხელს შეუწყობს სიღარიბის აღმოფხვრას და მდგრად განვითარებას.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის სამომავლო ხედვა ეროვნულ დონეზე შეიძლება განისაზღვროს, როგორც მიწის რესურსების დაცვისა და მათი მდგრადი გამოყენების აუცილებლობის გაცნობიერება დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოებრიობის მიერ, ასევე მიწის რესურსების მდგრადი მართვის მეთოდების ინტეგრირება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

სამომავლო ხედვის მისაღწევად დასახულია ეროვნული მიზნები, რომლებიც შესაბამისობაშია გლობალურ სტრატეგიულ მიზნებთან.

ეროვნული მიზნები

2015 წლისთვის კონვენციის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ქართულ ენაზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე და მოიცავს ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების შესახებ, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო ფორუმებზე.

2016 წლისთვის გაუდაბნოებასთან / მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა აღიარებული იქნება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

2017 წლისთვის შემუშავდება სულ მცირე ერთი -

ა) ერთობლივი გეგმა ან
ბ) ფუნქციონალური მექანიზმი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციით, ბიომრავალფეროვნების კონვენციითა და კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებული ღონისძიებების ურთიერთშეთანხმებული დაგეგმვა და განხორციელება.

2018 წლისთვის კონვენციისთვის რეგიონული საანგარიშო პირების მიერ მომზადებული იქნება მოხსენება ახალი საანგარიშო სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

2018 წლისთვის შეიქმნება რეგიონული მონიტორინგის სისტემა.

2018 წლისთვის საქართველოს აქვს განახლებული შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგია გადაუბნოებასთან ბრძოლის სფეროში.

2019 წლისთვის სექტორულ და საინვესტიციო გეგმებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრირებული იქნება გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის ასპექტები.

2020 წლისთვის გადაწყვეტილების მიმღებთა 40, ხოლო მოსახლეობის 30% მაინც იქნება ინფორმირებული გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის საკითხებზე და მათ ურთიერთკავშირზე ბიომრავალფეროვნებასა და კლიმატის ცვლილებასთან.

2020 წლისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებების 50% აცნობიერებს გაუდაბნოებისა/ მიწის დეგრადაციის / გვალვის პრობლემებს და თავისი ინიციატივების ფარგლებში ატარებს ღონისძიებებს.

2020 წლისთვის განხორციელდება ბიოფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური ურთიერთქმედების შეფასება.

2020-2022 წლისთვის განხორციელებული იქნება შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2. ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლება და განათლება

მოქმედებათა ეროვნული პროგრამის საოპერაციო მიზანი 1 მოიცავს ადვოკატირების, ცნობიერების ამაღლების და განათლების მიმართულებას. მისი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ეროვნული მოხსენების შემუშავებას და მის მიახლოებას გაეროს გაუდაბნოების კონვენციის 10 წლიან სტრატეგიასთან მონაწილებრივი, ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე მიდგომით.

თითქმის მთელი საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება და მიწის დეგრადაციის რეალური ხარჯის არცოდნა და ამის პრევენციის და ხელის შეშლის შესაძლო სარგებელი, ხშირად გავლენას ახდენს და ნაყოფიერი ნიადაგის დაკარგვის მთავარ რისკს წარმოადგენს. ეს რისკი განსაკუთრებით მაღალია საქართველოში და უკავშირდება სწორედ ადვოკატირების, ცნობიერების ამაღლებისა და განათლების პრობლემებს.

2.1. სიტუაციის ანალიზი/პრობლემის აღწერა

2.1.1. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი

საქართველოშისაზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონე მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების საკითხების და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნების მნიშვნელობაზე საჭიროებს გაუმჯობესობას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო მეტად უნდა იყონ ჩართული დაინტერესებული მხარეები.

აღნიშნული პრობლემების გამომწვევი მიზეზებია:

- ქვეყნის გარემოსდაცვით სტრატეგიულ დოკუმენტებში მიწის დეგრადაციისა და გაუდაბნოების საკითხების ნაკლებ პრიორიტეტულობა და ამ მხრივ მკაფიო ხედვის არარსებობა;
- გადაწყვეტილების მიმღები პირების არასაკმარისი ინფორმირებულობა მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების საკითხების და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნების მნიშვნელობაზე;
- საზოგადოების ფართო მასებისათვის მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების საკითხებზე ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა;
- მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების საკითხებზე ფორმალური და არაფორმალური განათლების დაბალი ხარისხის სისტემის არსებობა;
- ნაკლები დაინტერესება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მას-მედიის მხრიდან მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების საკითხებზე მუშაობისა და მათი გაშუქების მხრივ;
- გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ფარგლებში კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობა;
- ადგილობრივ დონეზე მიწის დეგრადაციის თავიდან აცილებისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის მიმართულებით მომუშავე სათემო ორგანიზაციების სიმწირე.

საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია კონვენცია "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების

პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის კონვენცია), რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2001 წელს მოახდინა. ორჰუსის კონვენციის თანახმად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს გარემოსდაცვით სფეროში, მათ შორის მიწის რესურსებისა და წიაღის მდგრადი მართვის და მიზნობრივი გამოყენების საკითხებში საზოგადოების ეფექტური მონაწილეობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებითა და გარემოსდაცვითი განათლებით, აგრეთვე ხელმისაწვდომი და საჯარო გახადოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია.

გარდა ორჰუსის კონვენციისა საზოგადოების ინფორმირების ძირითადი ინსტრუმენტებია: გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენება, რომელიც მზადდება და ქვეყნდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 3 წელიწადში ერთხელ.

„საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა”- გამოცემა, რომელიც მზადდება სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.

,,გარემოსდაცვითი საქმიანობების ეფექტურობის მიმოხილვა”- მოხსენება, რომელიც მზადდება გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად.

გადაწყვეტილების მიმღები პირები

მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების, განათლებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის ფუნქციები გადანაწილებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, სოფლის მეურნეების, განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროებს შორის. მიწის დეგრადაციისა და გაუდაბნოების საკითხებზე ინფორმაციის ძირითად წყაროს და მაკოორდინირებელ ორგანოს წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინიტრო.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვთ კონკრეტული ფუნქციები და პასუხისმგებლობები მიწის რესურსების მართვის და დეგრადაციის პრევენციის თვალსაზრისით, გაუდაბნოების საკითხების პროპაგანდის, ცნობიერების ამაღლებისა და განათლების მიმართულებით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფართოებს პროფესიული განათლების სისტემას. იგი ასევე ახორციელებს რეფორმას სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების მართვისა და დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული უწყებები საჭიროებენ შესაძლებლობების გაძლიერებას ცნობიერების ამაღლების, საგანმანათლებლო და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ღონისძიებების უწყვეტ და ეფექტურ განხორციელებაში. უმნიშვნელოა სხვა ზემოაღნიშნული სამინისტროების როლი ამ საკითხთან მიმართებაში.

კერძო სექტორი

კერძო სექტორის წარმომადგენლებიდან, ვისი საქმიანობაც უშუალოდ არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ბიზნესთან და პირდაპირ უკავშირდება მიწის დეგრადაციის რისკებს მნიშვნელოვანია ფერმერთა ასოციაციები, მცირე მეწარმეები-ფერმერები. მათი უმრავლესობა აღნიშნავს ბოლო ათწლეულის მანძილზე დაბალმოსავლიანობის პრობლემას, რის გამომწვევ მიზეზადაც ისინი სწორედ მიწის დეგრადაციას ასახელებენ. ადგილობრივ ფერმერებს არა აქვთ

საკმარისი ცოდნა, თუ რა პრევენციის ღონისძიებები უნდა განახორციელონ ნიადაგის ეროზიისგან დაცვის მიზნით. ადგილობრივი ფერმერების უმეტესობას არ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას და მიიღონ ინფორმაცია ისტორიული ტრადიციული ცოდნის შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაციები

ზოგადად ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გაუდაბნოების პროცესთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების კუთხით. ქვეყანაში არსებობს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრი, თუმცა იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც მუშაობენ მიწის დეგრადაციის კუთხით საკმაოდ მწირია და ძირითადად თავმოყრილია დედაქალაქში.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. არ არსებობს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ეროვნული კო-მუნიკაციის სტრატეგია, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მათი როლი და წვლილი, ასევე სამინისტროს ძალისხმევა საზოგადოების ინფორმირებულობისა და ჩართულობის მიმარ-თულებით.

ეროვნული და ადგილობრივი მედია

მიწის დეგრადაციისა და გაუდაბნოების პრობლემის გაშუქება არ ხდება აქტიურად, არც ეროვ-ნულ და არც ადგილობრივ დონეზე, მწირია ჟურნალისტების დაინტერესება.

ბოლო 2 წლის განმავლობაში ცენტრალური ტელევიზიით მომზადდა 3 თოქ შოუ (იმედისა და მაესტროს არხებზე), რომლებიც კონკრეტულად მიწის დეგრადაციის საკითხებზე არ იყო მიმართული, თუმცა პრობლემას კლიმატის ცვლილებისა და სოფლის მეურნეობის ჭრილში განიხილავდა. ასევე აქტიურად შუქდება მიწის დეგრადაციის საკითხები პირველი რადიოს ეთერში გადაცემა „ფერმერის საათში“.

უფრო მეტი აქტიურობით გამოირჩევიან ადგილობრივი მას-მედიის საშუალებები, როგორიცაა: რადიო „ჰერეთი“, კახეთის საინფორმაციო ცენტრი (ick.ge); გაზეთი „შირაქი“, ინტერნეტ გაზეთი „ქიზიყი“(qiziyi.ge), გაზეთი „სპექტრი“, რადიო „კახეთის ხმა“.

2.1.2. საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზნები:

საზოგადოების ინფორმირების დაგეგმვის დროს გადამწყვეტია სწორად მოხდეს ინფორმაციის გაცვლის ძლიერი და ეფექტური მექანიზმების შემუშავება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებს შორის.

მედიასთან კომუნიკაციის მიზნები:

- მედიის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის საკითხების მნიშვნელობასთან დაკავშირებით
- მედიის წარმომადგენელთა შესაძლებლობების გაძლიერება და მათი აქტიური ჩართვა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების პროცესში გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის საკითხების ზეგავლენის შესახებ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე

სამეცნიერო და ტექნიკურ დაწესებულებებთან კომუნიკაციის მიზნები:

- დაინტერესებული მხარეების ინფორმირება გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის სამეცნიერო კვლევების შესახებ;
- სამეცნიერო წრეების აქტიური ჩართვა კომუნიკაციის პროცესებში, დაინტერესებული მხარეებისათვის თავისი შეხედულებების მიწოდების გზით;
- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიღწევებისა და საქმიანობის ფართო გაშუქება მოსახლეობისათვის, და განსაკუთრებით კი მიზნობრივი ჯგუფებისათვის

არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის მიზნები:

- სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა მოქმედებათა ეროვნული პროგრამის განხორციელების პროცესში
- სამოქალაქო საზოგადოებისთვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ადვოკატირების, თემთა მობილიზაციის, განათლებისა და სხვა ქმედებების ეფექტურად განხორციელების მიზნით.
- ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა (სკოლები, უნივერსიტეტები)

ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის მიზნები:

- მოსახლეობის უკეთ ინფორმირებულობა მიწის/ნიადაგის მნიშვნელობის შესახებ
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მდგრადი მიწათსარგებლობის შესახებ

კერძო სექტორთან კომუნიკაციის მიზნები:

- კერძო სექტორის ჩართვა მოქმედებათა პროგრამის განხორციელების პროცესებში
- კერძო სექტორის გამოცდილების გაზიარება საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესახებ

- დაინტერესებულ მხარეებთან და სამიზნე ჯგუფებთან ცნობიერების ამაღლების და ინფორმაციის ეფექტური გაცვლის უზრუნველსაყოფად გამოყენებული უნდა იქნას შემდეგი კომუნიკაციის საშუალებები, როგორიცაა ბეჭდვითი მასალა, სოციალური ქსელები, ვებგვერდები, მედია ტურები და ტრენინგები ჟურნალისტებისთვის, ტელევიზია და

რადიო, ცნობიერების ამაღლების კამპანიები, საკითხთან მიმართებაში წარმატებული პროექტებისა და პიროვნებების წარმოჩენა.

2.2. სტრატეგიული მიდგომები

გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში **ადვოკატირების, ცნობიერების ამაღლების და განათლების** ნაწილში განსაზღვრულია 4 ეროვნული ამოცანა, რათა ხელი შეეწყოს გაუდაბნოების / მიწის დეგრადაციისა და გვალვის პრობლემების სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ღირებულებების უკეთ გაცნობიერებას, გაუდაბნოების არსებულ და პოტენციურ საფრთხეებზე სხვადასხვა სამიზნე და ასაკობრივი ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, საზოგადოებაში მოტივაციის შექმნასა და შესაბამისი ჩვევების ჩამოყალიბებას.

- მნიშვნელოვანია დაიგეგმოს ფართო მასშტაბის კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების კამპანია მიმართული მთავარ სამიზნე ჯგუფებზე (გადაწყვეტილების მიმღები პირები, კერძო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო და ტექნიკური დაწესებულებები და ქალები და ბავშვები). ამისათვის აუცილებელია შემუშავდეს შესაბამისი გზავნილები. დაგეგმილი ქმედებები მოიცავს ფართო მასშტაბის **პროპაგანდას** კომუნიკაციის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.
- აუცილებელია ინფორმაციის მიწოდების ეფექტური მექანიზმისა და ფორმატის იდენტიფიცირება და შეფასება;
- საჭიროა ინფორმაციის რეგულარული განახლება ცალკეული სამიზნე ჯგუფების, უპირველესად გადაწყვეტილების მიმღები პირების საჭიროებების ზუსტი შეფასებისა და შესაბამისად ინფორმაციის დახვეწა-გამდიდრების გზით;
- საჭიროა გაძლიერდეს კონვენციის განხორციელების ძირითადი პარტნიორების, კერძოდ კი ეროვნული პასუხისმგებელი პირის და მასთან დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულის შესაძლებლობები და კომპეტენცია, რათა მათ შეძლონ გაუდაბნოების / მიწის დეგრადაციისა და გვალვის საკითხების გლობალური გამოწვევების დროული და ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია ეროვნულ დონეზე;
- მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების და მას-მედიის ინფორმირებულობა და ცოდნის დონის ამაღლება, როგორც კონვენციის შესახებ, ასევე მიწის რესურსების მდგრადი მართვის პრინციპების შესახებ;
- საჭიროა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აკადემიურ ინსტიტუტებთან ერთად ქსელის შექმნა და თანამშრომლობასა და გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ერთობლივ განხორციელებაზე მემორანდუმის გაფორმება;

3. პოლიტიკა და კანონმდებლობა

პოლიტიკისა და კანონმდებლობის სფეროს ანალიზი (პოლიტიკისა და მარეგულირებელი სფეროს ჩარჩოები) გულისხმობს ხელსაყრელი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარემოს შექმნას გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ითვალისწინებს:

ა) არსებული პოლიტიკისა და ინსტიტუციონალური მოწყობის შეფასებას:

- მიწების მდგრადი მართვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის ანალიზი, შემდეგ საკით-ხებზე ყურადღების გამახვილებით - მიწათსარგებლობისა და მიწათმფლობელობის, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის, დაცული ტერიტორიების მართვის, სოფლის მეურნეობის, კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ხელშემწყობი პრაქტიკისა და სხვა თანამდევი საკითხები

- მიწების რესურსების მდგრადი მართვის ინსტიტუციონალური ევოლუციის ანალიზი

ბ) უწყებათშორისი ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნას და/ან გაძლიერებას, რაც თავის მხრივ მოიცავს:

- საკოორდინაციო და საკონსულტაციო/პარტნიორული მექანიზმების პლატფორმის შექმნას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

- შესაბამისი მოქმედებათა პროგრამის ინტეგრირების ხელშეწყობას და მის დეცენტრალი-ზაციას კონკრეტული რაიონების პრობლემის უკეთ გადაწყვეტის მიზნით და არსებული შესაძლებლობების გამოყენებას, რომლებიც დაკავშირებულია ტერიტორიულ მმართველობასთან და ადგილობრივ/რეგიონულ განვითარებასთან.

გ) ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლისა და მარეგულირებელი ჩარჩოების განხილვას, მათ ჰარმონიზაციას და ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას და პოპულარიზაციას.

3.1. სიტუაციის ანალიზი/პრობლემის აღწერა

3.1.1. მოქმედი კანონმდებლობა

მიწის რესურსების მდგრადი მართვის (მათ შორის გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრდაციასთან ბრძოლისა და გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების) სფეროში საქართვე-ლოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

აღნიშნულ სფეროში საქართველოში მოქმედ პოლიტიკისა და კანონმდებლობის განმსაზღვრელ

ქვაკუთხედს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია (1995), რომლის მიხედვითაც (მუხ.37): ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს; სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად; ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან ბრძოლისა და გვალვის (მათ შორის კლიმატიც ცვლილების შედეგად გამოწვეული გვალვის) უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების სფეროში საქართველო წარმოადგენს შემდეგი მნიშვნელოვანი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მხარეს:

- გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ[1]
- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ[2]
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია[3]

გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ (UNCCD)

გაუდაბნოებასთან ბრძოლის საკითხს ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ გაეროს კონფერენციაზე გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ (რიო დე ჟანეირო, 1992 წ.). კონფერენციამ მხარი დაუჭირა ამ პრობლემის გადაჭრისათვის ახალ ერთობლივ მიდგომას, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მდგრადი განვითარება საზოგადოებრივ დონეზე. შედეგად შემუშავებული და 1994 წლის 17 ივნისს პარიზში მიღებული იქნა და ძალაში შევიდა გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ, რომელსაც საქართველო 1999 წელს მიუერთდა.

კონვენციის მიხედვით „გაუდაბნოება" ნიშნავს მიწის დეგრადაციას არიდულ, ნახევრად არიდულ და მშრალ სუბნოტიო რაიონებში, გამოწვეულს სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის კლიმატური ცვლილებებით და ადამიანის საქმიანობით, ხოლო „გაუდაბნოებასთან ბრძოლა" მოიცავს მოქმედებებს, რომლებიც არიან მიწის რესურსების კომპლექსური განვითარების ნაწილი არიდულ, ნახევრად არიდულ და მშრალ სუბ-ნოტიო რაიონებში მდგრადი განვითარებისათვის, რაც, თავის მხრივ გულისხმობს:

- მიწის დეგრადაციის თავიდან აცილებას და/ან შემცირებას;
- ნაწილობრივ დეგრადირებული მიწის რეაბილიტაციას;
- გაუდაბნოებული მიწების მელიორაციას.

[1] საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 23 ივნისის დადგენილებით.

[2] საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 21 აპრილის დადგენილებით.

[3] საქართველოში ძალაშია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 მაისის №302 დადგენილებით.

კონვენციის მიზანია იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვას და/ან გაუდაბნოებას, გაუდაბნოებასთან ბრძოლა და გვალვის შედეგების შემცირება განხორციელდეს ეფექტური ზომების გამოყენებით და ინტეგრირებული მიდგომის ჩარჩოებში, რომელიც შეესაბამება მდგრადი განვითარების პრინციპებს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია მონაწილე მხარეებმა შეიმუშაონ გრძელვადიანი ინტეგრირებული სტრატეგია, ერთდროულად მიმართული მიწის პროდუქტიულობის გაზრდისაკენ და მიწისა და წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი მენეჯმენტისკენ.

კონვენციის მონაწილე მხარეთა ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამების შემუშავება. ეროვნული პროგრამების მიზანია განსაზღვრონ გაუდაბნოების გამომწვევი ფაქტორები და გაუდაბნოებასთან ბრძოლისა და გვალვის შედეგების შემცირებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ღონისძიებები.

გაუდაბნოება მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვის, როგორც მცირემიწიანი აგრარული ქვეყნისათვის. თუმცა, საქართველოს პირობებში გაუდაბნოება შეზღუდულია გეოგრაფიული არეალით. მიწის დეგრადაციის ისეთი ფორმები კი, როგორიცაა გაუტყეურება, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია, მეწყერები, გადაჭარბებული ძოვება, ნიადაგის საკვები ელემენტების გაღარიბება, ნიადაგის დაბინძურება და ა.შ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, თავისი თანამდევი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით. ამიტომ, გაუდაბნოება უნდა განხილული იქნეს კომპლექსურად - მიწის დეგრადაციის და მიწის მდგრადი მართვის პრობლემის კონტექსტში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

საქართველოს გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა შემუშავდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უშუალო კოორდინაციით და დამტკიცდა 2003 წელს. გეგმის შედგენაში მონაწილეობა მიიღო ყველა დაინტერესებულმა უწყებამ და აკადემიურმა ინსტიტუტმა, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა.

გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა ითვალისწინებდა შეზღუდულ დაფინანსებას. ფაქტობრივად, მასში გათვალისწინებული იყო მხოლოდ მცირემასშტაბიანი საპილოტო პროექტები, სამეცნიერო კვლევების, ცალკეული პროგრამების/გეგმების შედგენის და წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარების ღონისძიებები. პროგრამაში ნაკლებად იყო გათვალისწინებული საინვესტიციო და ინსტიტუციური ხასიათის ღონისძიებები (საკანონმდებლო და ორგანიზაციული ცვლილებები), რომლებიც მიმართული იქნებოდა გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის პრობლემის შემცირების ან გადაჭრისაკენ.

გაეროს კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ (UNCBD)

საქართველო, ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მონაწილე მხარე 1994 წელს გახდა. კონვენციასთან მიერთებით ქვეყანამ აღიარა, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება გლობალურ საზრუნავსა და განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კონვენცია ამკვიდრებს ახალ მიდგომებს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სფეროში. კონვენციის ძირითადი მიზნებია:

- ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება (კონსერვაცია);
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება;

- გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი გადანაწილება.

კონვენცია ძირითადად ზოგადი ხასიათის ნორმებსა და პრინციპებს შეიცავს და ის, მონაწილე მხარეებისთვის, არ აწესებს კონკრეტულ მავალდებულებელ ნორმებს საკუთრივ ბიომრავალფეროვნების, ან მის რომელიმე კომპონენტთან მიმართებაში. შესაბამისად, კონვენცია არ ზღუდავს მონაწილე მხარეთა იურისდიქციას მათ ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების განკარგვისა და გამოყენების სფეროში. ამასთან, მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ბიოლოგიური რესურსების მდგრად გამოყენებაზე. კონვენციის მონაწილე მხარემ უნდა უზრუნველყოს ბიოლოგიური რესურსების გამოყენების რეგულირება, დაუდგინოს რა, მკაფიო წესები მოსარგებლე კერძო და იურიდიულ პირებს. კონვენცია მიუთითებს, რომ ეკოსისტემები, სახეობები და გენეტიკური რესურსები გამოყენებულ უნდა იქნენ ადამიანების საკეთილდღეოდ, მაგრამ ისეთი სახითა და ტემპებით, რომლებიც ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში არ გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების შემცირებას და შეუქცევად კლებას.
კონვენციის მიხედვით ბიოლოგიური მრავალფეროვნება მოიცავს დედამიწაზე სიცოცხლის მთელ მრავალსახეობას და ყველა არსებულ ბუნებრივ სისტემას. ეს ცნება მოიცავს მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების სახეობებს, აგრეთვე გენეტიკურ განსხვავებებს სახეობის ფარგლებში. ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს უდაბნოს, ტყეების, ჭაობების, მთების, ტბებისა და აგროეკოსისტემების მრავალფეროვნება. კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ ეხება ბიომრავალფეროვნების ყველა კომპონენტს - მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემების დონეზე. კონვენციით განსაზღვრულია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების პრობლემები, დასახულია გლობალური მიზნები და მათი მიღწევის გზები. განსაზღვრულია მხარეთა საერთო ვალდებულებები, ტექნიკური და ფინანსური თანამშრომლობის ჩარჩოები.

კონვენციის შესაბამისად ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად მონაწილე მხარეებმა უნდა შეიმუშაონ მიწის რესურსების მდგრადი მართვის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, გახადონ ის გარემოს დაცვისა და განვითარების სფეროში უფრო მასშტაბური გეგმების ნაწილი, განსაკუთრებით სატყეო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, მეთევზეობისა და ურბანული დაგეგმარების სფეროებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა კონვენციის მიმართება აგრობიომრავალფეროვნების საკითხთან. კონვენციის მიხედვით[4] აგრობიომრავალფეროვნება ზოგად ტერმინს (ცნებას) წარმოადგენს და იგი მოიცავს ბიომრავალფეროვნების ყველა იმ კომპონენტს, რომლებიც სასურსათო პროდუქციასა და სოფლის მეურნეობასთან არიან დაკავშირებული და აგრეთვე, იმ კომპონენტებს, რომლებიც აგროეკოსისტემების შემადგენელ ნაწილებს განეკუთვნებიან - კერძოდ, ცხოველთა, მცენარეთა და მიკროორგანიოზმების მრავალფეროვნებას და მათ სახეცვლილებებს გენეტიკურ, სახეობათა და ეკოსისტემურ დონეებზე - რაც, თავის მხრივ, აუცილებელია აგროეკოსისტემების უმნიშვნელოვანესი ფუნქციების, სტრუქტურისა და პროცესების შენარჩუნებისთვის.

[4] (2000) Decision No. V/5 - Agricultural biological diversity: review of phase I of the programme of work and adoption of a multi-year work programme / Annex III / Nairobi, 15-26 May 2000 // UNEP/CBD/COP/5/23 - 22 June, 2000, http://www.cbd.int/doc/meetings/cop/cop-05/official/cop-05-23-en.pdf

კონვენციის შესაბამისად აგრობიომრავალფეროვნების ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ:

- სურსათისა და სოფლის მეურნეობის წარმოებისთვის აუცილებელი ცხოველური, მცენარეული, მიკრობული და ა.შ. წარმოშობის გენეტიკური რესურსები;
- ეკოლოგიური ფუნქციების მატარებელი აგრობიომრავალფეროვნების კომპონენტები;
- აბიოტური ფაქტორები;
- სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ასპექტები.

2000 წელს კონვენციის მხარეთა მე-5 შეხვედრაზე მიღებული იქნა მრავალწლიან პერიოდზე გათვლილი სპეციალური (თემატური) სამუშაო პროგრამა აგრობიომრავალფეროვნების სფეროში[5] (იხ. პროგრამის ძირითადი მიზნების თაობაზე - ჩანართი 1), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა ეროვნულ დონეზე შემდეგი ქმედებების განხორციელებას:

- აგრობიომრავალფეროვნების ისეთი კომპონენტების შეფასებას, როგორიცაა მცენარეთა გენეტიკური რესურსები, ცხოველთა გენეტიკური რესურსები, დამტვერავები, მავნებელთა მენეჯმენტი და საკვები ელემენტების წრებრუნვა.
- სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და ბიომრავალფეროვნების იმ კომპენენტების კონსერვაციისა და მდგრად გამოყენებას შორის ურთიერთდამოკიდებულების შეფასებას, რომლებიც მითითებულია კონვენციის I დანართში (მაგალითად, ეკოსისტემები და გავრცელების არეალები, სახეობები და თანასაზოგადოებები, გენომები და გენები, რომელთაც აქვთ სამეცნიერო და ეკონომიკური მნიშვნელობა).
- ფერმერთა და ადგილობრივი თემების ცოდნის, ინოვაციებისა და პრაქტიკის (წეს-ჩვეულებების) შეფასებას, რომლებიც ხელს უწყობენ აგრობიომრავალფეროვნებისა და აგროსისტემური მომსახურებების შენარჩუნებას საკვების წარმოებისა და სასურსათო უსაფრთხოებისათვის.
- აგრობიომრავალფეროვნების ზოგადი დეგრადაციის, *სტატუს ქვოს* ან აღდგენის მონიტორინგის წარმოებას 1993 წლიდან - მას შემდეგ რაც კონვენცია შევიდა ძალაში.
- მართვის პრაქტიკის, ტექნოლოგიებისა და პოლიტიკის დანერგვას, რომლებიც ხელს უწყობენ დადებით და ამცირებენ უარყოფით ზეგავლენას აგრობიომრავალფეროვნე-ბაზე, აუმჯობესებენ პროდუქტიულობას და მდგრადი არსებობის შესაძლებლობას.
- ფერმერთა, და ადგილობრივი მოსახლეობის, მათი ორგანიზაციებისა და სხვა დაინტე-რესებული ჯგუფების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, აგრობიო-მრავალფეროვნების მდგრადი მართვისთვის და აგრობიომრავალფეროვნების *in-situ* კონსერვაციის, მდგრადი გამოყენებისა და მართვის სტრატეგიებისა და მეთოდოლოგიების შემუშავებისათვის.
- საოპერაციო მექანიზმების დანერგვას დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრის მონაწი-ლეობისათვის, რათა განვითარდეს რეალური თანამშრომლობა, რომელიც წვლილს შეიტანს აგრობიომრავალფეროვნების სამუშაო პროგრამის განხორციელებაში.

[5] CONFERENCE OF THE PARTIES TO THE CONVENTION ON BIOLOGICAL DIVERSITY. Fifth meeting. Nairobi, 15-26 May 2000, REPORT OF THE FIFTH MEETING OF THE CONFERENCE OF THE PARTIES TO THE CONVENTION ON BIOLOGICAL DIVERSITY, Annex III: DECISIONS ADOPTED BY THE CONFERENCE OF THE PARTIES TO THE CONVENTION ON BIOLOGICAL DIVERSITY AT ITS FIFTH MEETING, Decision No. V/5 - Agricultural biological diversity: review of phase I of the programme of work and adoption of a multi-year work programme - UNEP/CBD/COP/5/23 - 22 June, 2000, http://www.cbd.int/doc/meetings/cop/cop-05/official/cop-05-23-en.pdf.

- პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესებას, მათ შორის სარგებლის განაწილებისა და წახალისების ღონისძიებების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობდა აგრობიო-მრავალფეროვნების ლოკალურ დონეზე მართვას.
- აგრობიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიებისა და გეგმების ასახვას / ინტეგრირებას სექტორულ და ინტერსექტორულ გეგმებსა და პროგრამებში.
- ინსტიტუციური ჩარჩოს, პოლიტიკისა (კანონმდებლობის) და გეგმარებითი მექანიზმების დანერგვას აგრობიომრავალფეროვნების ჩართვისათვის სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიებში და სამოქმედო გეგმებში და მათ ინტეგრირებას ბიომრავალფეროვნების უფრო ფართო სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში.
- ქვეყანაში წარმოშობის ცენტრების არსებობის შემთხვევაში, ქვეყნის მიერ იმგვარი ქმედებების ხელშეწყობას, რომლებიც მიმართული იქნებოდა საკვებისა და სოფლის მეურნეობისათვის გენეტიკური რესურსების მრავალფეროვნების *on-farm, in-situ* და *ex-situ* კონსერვაციის, აგრეთვე მათი ველური წინაპრების დაცვისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად.
- იმგვარი ქმედებების განხორციელებას, რომლებიც მიმართული იქნებოდა დამტვერავების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების საერთაშორისო ინიციატივის მოქმედებათა გეგმის დასანერგად.

ზემოაღნიშნული ქმედებებიდან დღეისთვის შესრულებულია[6] ძირითადად აგრობიომრავალფეროვნების კომპონენტების შეფასებასთან და გენეტიკური მასალის შეგროვებასთან დაკავშირებული ქმედებები. მაგალითად, ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლირება სურსათისა და სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვან მცენარეთა გენეტიკური რესურსების მართვისა და კონსერევაციისათვის GEF/UNDP-ის პროექტის „საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების აღდგენა, კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანას“ მიერ ორგანიზებული იქნა კონსულტაციები და სემინარები ადგილობრივი ფერმერებისათვის. ამავე ორგანიზაციის სასწავლო ცენტრში რეგულარულად ტარდებოდა ბიოაგროწარმოების კურსი, რომელიც მოიცავდა აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების საკითხებს; ამავე პროექტის („საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების აღდგენა, კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება“) ერთ-ერთი მიზანი იყო ადვოკატირებისა და საჯაროობის გზით დახმარებოდა აგრობიომრავალფეროვნების მდგრადი მართვისათვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებაში.

ჩანართი 1. ამონარიდი - ბიომრავალფეროვნების კონვენციის თემატური პროგრამის - აგრობიომრავალფეროვნების სამუშაო პროგრამიდან

COP 5 Decision V/5 / Agricultural biological diversity: multi-year work programme.

აგრობიომრავალფეროვნების სამუშაო პროგრამის ძირითადი მიზნები

(ა) ბიომრავალფეროვნებასა და სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემებიზე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის პოზიტიური ეფექტის ზრდის ხელშეწყობა და ნეგატიური ეფექტის

[6] საქართველოს მთავრობის მიერ ბიომრავალფეროვნების კონვენციის სამდივნოსადმი ჩაბარებული მესამე ეროვნული ანგარიში (2002-2005), http://www.chm.moe.gov.ge/webmill/data/file/Third_Nat_Report_Geo.pdf.

შემცირება;

(ბ) გენეტიკური რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა - გენეტიკური რესურსების ფაქტიურ და პოტენციურ ღირებულებათა გათვალისწინებით

(გ) გენეტიკური რესურსებიდან მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილების ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მთლიანად დამოკიდებული იყო დონორი ორგანიზაციების მხრიდან აღმოჩენილ ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებაზე და მათი განხორციელება დაკავშირებული არ ყოფილა ქვეყნის შიდა რესურსების მობილიზაციაზე და/ან ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე მართვისა და განხორციელების მექანიზმების არსებობაზე.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მეორე თემატურ სამუშაო პროგრამას, რომელიც ზოგადად მიწის რესურსების და სოფლის მეურნეობის საკითხებს ეხება, წარმოადგენს სამუშაო პროგრამა[7] არიდული და ნახევრად-ტენიანი რეგიონებისთვის (მიწებისთვის). პროგრამა არიდული და ნახევრად-ტენიანი რეგიონების ბიომრავალფეროვნებას ყველაზე უფრო მოწყვლად და დინამიურ სისტემად განიხილავს. პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ამ რეგიონებში რესურსების სამართლიანი და თანაბარი განაწილების უზრუნველყოფა.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეგიდით მიმდინარეობს მუშაობა ასევე, ე.წ. ურთიერთგადამკვეთ მიმართულებებზე ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა ბიომრავალფეროვნება და კლიმატის ცვლილება. ამ მიმართულებით ტექნიკურ დონეზე რამდენიმე ძირითადი საკითხის დამუშავება ხდება, მათ შორის კლიმატის ცვლილების მიმართ ბიომრავალფეროვნების ადაპტაციის.

ამ მიმართულებით უპირატესობა ენიჭება ე.წ. „ეკოსისტემური მომსახურების მიდგომაზე“ დაფუძნებულ ადაპტაციის მეთოდებს. აგრობიომრავალფეროვნების კუთხით, როგორც საადაპტაციო ღონისძიება - განიხილება[8] გენეტიკური ბანკების ფორმირება და მათი ფუნქციონირება (*ex-situ* კონსერვაცია). მიმართულება კონვენციის მხარეებისთვის ხელშემწყობ სამეცნიერო-ტექნიკურ ხასიათს ატარებს.

უშუალო მიმართება გააჩნია მიწების მდგრად მართვასთან, სოფლის მეურნეობასა და აგრობიომრავალფეროვნებასთან ბიომრავალფეროვნების კონვენციის მხარეთა მე-10 შეხვედრაზე (2010) მიღებულ და კონვენციის მონაწილე მხარეებისთვის შესასრულებლად სავალდებულო ბიომრავალფეროვნების სტრატეგიულ გეგმასა და ამ გეგმაში ინტეგრირებულ ე.წ. „აიჩის სტრატეგიულ ამოცანებს“[9].

[7] PROGRAMME OF WORK ON DRY AND SUB-HUMID LANDS / COP 5 Decision V/23 / Consideration of options for conservation and sustainable use of biological diversity in dryland, Mediterranean, arid, semi-arid, grassland and savannah ecosystems/Annex 1-DRAFT PROGRAMME OF WORK ON DRY AND SUB-HUMID LANDS, http://www.cbd.int/decision/cop/?id=7165.

[8] Integrating Biodiversity into Climate Change Adaptation Planning Purpose, http://adaptation.cbd.int/.

[9] COP 10. Decision X/2. 18–29 October, 2010. Strategic Plan for Biodiversity 2011-2020 / Annex: STRATEGIC PLAN FOR BIODIVERSITY 2011-2020 AND THE AICHI BIODIVERSITY TARGETS "Living in harmony with nature", https://www.cbd.int/decision/cop/?id=12268

2011-2020 წლების ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმის ძირითადი სტრატეგიული მიზნები მოიცავს 20 სტრატეგიულ ამოცანას. ამ ამოცანათაგან ერთ-ერთი უშუალოდ ეხება მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას და დაცვას აგრობიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების ხელშეწყობის კუთხით.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების სხვადასხვა პერიოდში შესრულების ამსახველი დეტალური ინფორმაცია მოყვანილია საქართველოს მიერ ბიომრავალფეროვნების კონვენციის სამდივნოსადმი ჩაბარებულ ეროვნულ ანგარიშებში - საქართველოს მთავრობის მიერ ბიომრავალფეროვნების კონვენციის სამდივნოსადმი ჩაბარებული მეორე ეროვნული ანგარიში (1994-2001)[10], საქართველოს მთავრობის მიერ ბიომრავალფეროვნების კონვენციის სამდივნოსადმი ჩაბარებული მესამე ეროვნული ანგარიში (2002-2005)[11] და საქართველოს მთავრობის მიერ ბიომრავალფეროვნების კონვენციის სამდივნოსადმი ჩაბარებული მეოთხე ეროვნული ანგარიში (2005-2010) [12].

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC)

კონვენციის მიზანია კონვენციის შესაბამის დებულებათა შესრულებით მიაღწიოს ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციების სტაბილიზაციას იმ დონეზე, რომელიც არ დაუშვებს კლიმატის სისტემაზე საშიშ ანთროპოგენულ ზემოქმედებას. ასეთი დონე მიღწეული უნდა იქნეს ეკოსისტემების კლიმატის ცვლილებასთან ბუნებრივი ადაპტაციისათვის საკმარის ვადებში, რომლებიც იძლევიან იმის საშუალებას არ დავაყენოთ საფრთხის წინაშე სურსათის წარმოება და უზრუნველყოფილ იქნეს შემდგომი ეკონომიკური განვითარება მდგრად საფუძველზე.

კონვენციის მიხედვით „კლიმატის ცვლილება" ნიშნავს კლიმატის ცვლილებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ განპირობებულია ატმოსფეროს გლობალური ცვლილების გამომწვევი ანთროპოგენული საქმიანობით, და რომელიც ამლიერებს დროის შედარებადი პერიოდების განმავლობაში დაკვირვებულ კლიმატის ბუნებრივ რყევებს. ამავე კონვენციის მიხედვით „კლიმატის ცვლილების არახელსაყრელი შედეგი" ნიშნავს ფიზიკურ გარემოში ან ბიოტაში კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ცვლილებებს, რომლებიც მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენენ ბუნებრივი და რეგულირებადი ეკოსისტემების შემადგენლობაზე, აღდგენით თვისებებზე ან პროდუქტიულობაზე ან სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებაზე, ანდა ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

კონვენციის მონაწილე მხარეებმა უნდა გაატარონ გამაფრთხილებელი ღონისძიებები კლიმატის ცვლილების მიზეზების პროგნოზირების, თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანისა და მისი უარყოფითი შედეგების შერბილების მიზნით. იქ, სადაც მოსალოდნელია სერიოზული ან შეუქცევადი ზიანის საშიშროება, არასაკმარისი მეცნიერული სიცხადე არ უნდა იქნეს გამოყენებული ასეთ ღონისძიებათა გადავადების მიზეზად, იმის გათვალისწინებით, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა და ღონისძიებანი უნდა იყოს ეკონომიკურად ეფექტური. ამ მიზნით ასეთი პოლიტიკა და ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდნენ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, იყვნენ ყოვლისმომცველნი, მოიცავდნენ სათბურის გაზების ყველა შესაბამის წყაროს, მშთანთქმელსა და დამაგროვებელს და ადაპტაციის

[10] http://www.chm.moe.gov.ge/webmill/data/file/Second_Nat_Report_Geo.pdf.
[11] http://www.chm.moe.gov.ge/webmill/data/file/Third_Nat_Report_Geo.pdf.
[12] http://chm.moe.gov.ge/webmill/data/file/4th%20National%20Rep%20to%20CBD_final%20draft%20soso(1).doc.

ღონისძიებებს და მოიცავდნენ ყველა ეკონომიკურ სექტორს. კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების მიერ შეიძლება განხორციელდეს ერთობლივად.

ანთროპოგენული ცვლილებებისაგან კლიმატური სისტემის დაცვის პოლიტიკა და ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს თითოეული მხარის კონკრეტულ პირობებს და ინტეგრირებული უნდა იყოს განვითარების ეროვნულ პროგრამასთან, ვინაიდან ეკონომიკურ განვითარებას აქვს საკვანძო მნიშვნელობა კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების ღონისძიებათა გატარებაში.

მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ ხელსაყრელი და ღია საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის დამყარების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც მდგრად ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებასთან მიიყვანდა ყველა მხარეს, განსაკუთრებით იმ მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებად ქვეყნებს, ამგვარად მისცემდა რა მათ საშუალებას უკეთ მოეხდინათ რეაგირება კლიმატის ცვლილების პრობლემებზე. კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ღონისძიებანი ცალმხრივ ღონისძიებათა ჩათვლით, არ უნდა ემსახურებოდეს თვითნებურ ან უსაფუძვლო დისკრიმინაციას, ანდა საერთაშორისო ვაჭრობის ფარულ შეზღუდვას.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ამსახველ დოკუმენტს წარმოადგენს კონვენციის სამდივნოსთვის გარკვეული პერიოდულობით წარდგენილი ეროვნული შეტყობინებები.

კონვენციის ეგიდით შემუშავებული იქნა მთელი რიგი მექანიზმები, რომლებიც მიმართულია კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფაზე. ამ მექანიზმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული ე.წ. კანკუნის ადაპტაციის მექანიზმი[13], ასევე, კლიმატის მწვანე ფონდის[14] შექმნასთან, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული დანაკარგებისა და ზიანის სამუშაო პროგრამასთან[15], მიწათსარგებლობასა და მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლასთან[16] დაკავშირებული და სხვა გადაწყვეტილებები.

მნიშვნელოვანი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები

განსახილველ სფეროში მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო ნორმატიული აქტებიდან უნდა აღინიშნოს:

საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ (1994)
საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996)
საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996)
საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996)
საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ (1997)
საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (1999)

---

[13] (2011) Cancun Adaptation Framework // Decision 1/CP.16 - II. Enhanced action on adaptation // UNFCCC Report of the Conference of the Parties on its sixteenth session, held in Cancun from 29 November to 10 December 2010 - Addendum - Part Two: Action taken by the Conference of the Parties at its sixteenth session // FCCC/CP/2010/7/Add.1. / 15 March 2011 - (paras 11-35), http://unfccc.int/resource/docs/2010/cop16/eng/07a01.pdf#page=4.

[14] (2011) Green Climate Fund . report of the Transitional Committee // Draft decision -/CP.17 - Advance version. http://unfccc.int/files/meetings/durban_nov_2011/decisions/application/pdf/cop17_gcf.pdf

[15] (2011) Work programme on loss and damage // Draft decision -/CP.17 - Advance unedited version, http://unfccc.int/files/meetings/durban_nov_2011/decisions/application/pdf/cop17_loss_damage.pdf.

[16] (2011) Land use, land-use change and forestry // Decision -/CMP.7 - Advance unedited version. http://unfccc.int/files/meetings/durban_nov_2011/decisions/application/pdf/awgkp_lulucf.pdf

საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ (2003)
საქართველოს კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ (2003)
საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ (2005)
საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (2007)
საქართველოს კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (2007)
საქართველოს კანონი „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ (2010)
საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“[17] (2014)

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“

ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს კანონს „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელსაც, ხშირად, ე.წ. „ჩარჩო“ კანონად მოიხსენიებენ. სწორედ ამ კანონით შემოღებულ ძირითად ნორმებსა და პრინციპებს ეფუძნება გარემოს დაცვის სფეროს მიკუთვნებული სხვადასხვა დარგობრივი კანონები.

კანონის ძირითადი მიზნებია: ა) განისაზღვროს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები და ნორმები; ბ) დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი; გ) უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; დ) ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ქვეყნისთვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის იშვიათი, ენდემური, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების შენარჩუნებას, ზღვის გარემოს დაცვას და ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფას; ე) შეინარჩუნოს და დაიცვას თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემები; ვ) სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს დაცვის სფეროში საერთო გლობალური და რეგიონული პრობლემების გადაჭრა; და ზ) უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობები.

კანონში მოყვანილი მთელი რიგი სამართლებრივი ნორმები შემუშავებულ იქნა ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციის[18] მიერ მიღებული „გარემოს დაცვისა და განვითარების რიოს დეკლარაციის“, „21-ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგ 21-ისა“ და „ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ განცხადების“ დასკვნითი დოკუმენტების საფუძველზე. გარდა ამისა, კანონში ინტეგრირებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ძირითადი მოთხოვნები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სფეროში, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: კონვენცია „კლიმატის ცვლილების შესახებ”; კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ” და კონვენცია „შავი ზღვის დაჭუჭყიანებისაგან დაცვის შესახებ”.

[17]აღნიშნული კანონით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ (2007).
[18] United Nations Conference on Environment and Development, Rio de Jeneiro, 1992.

კანონით განისაზღვრა გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები (ე.წ. „ნორმა-პრინციპები“) და დადგინდა, რომ საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებით.

კანონით შემოღებული იქნა საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელოვანი მექანიზმი - გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების (ყოველწლიურად, მოგვიანებით მიღებული ნორმის მიხედვით კი ყოველ 3 წელიწადში ერთხელ) შემუშავება და დამტკიცება.

კანონმა განსაზღვრა გარემოს დაცვის დაგეგმვის მექანიზმი (სისტემა), რომელიც მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას (მდგრადი განვითარების ეროვნულ სტრატეგიას), ხუთწლიან გეგმას (გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამას) და სამეურნეო საქმიანობის თითოეული ობიექტისათვის ნებაყოფლობით საფუძველზე შედგენილ გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმას. კანონით ასევე, დადგენილ იქნა, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამები შედგენილ უნდა იქნას ასევე, რეგიონულ, ადგილობრივ და უწყებრივ დონეებზე.

კანონის XII და XIII თავები მთლიანად დათმობილი აქვს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების საკითხებს. კანონით განისაზღვრა, რომ ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს დაბინძურების, დარღვევის, დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვისა და დაშლისაგან.

კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონული მართვის საკითხებს. კერძოდ, კანონის მიხედვით დადგინდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა და ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, თავიანთი კომპეტენციისა და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა ფარგლებში, უნდა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონული პრობლემების გადასაჭრელად.

კანონის 51-ე და 52-ე მუხლები არეგულირებენ გლობალური ცვლილებებისაგან კლიმატის დაცვისა და ოზონის შრის დაცვის საკითხებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კანონმა მოახდინა მისი მიღების მომენტში მოქმედი ევროპული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების ინტეგრირება ქართულ კანონმდებლობაში.

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“

კანონს პირდაპირი მიმართება გააჩნია კლიმატის ცვლილების სამართლებრივ ასპექტთან. კანონის 53-ე მუხლი (მუხლი 53. კლიმატის დაცვა გლობალური ცვლილებებისაგან) ადგენს, რომ გლობალური ცვლილებებისაგან კლიმატის დაცვის მიზნით სავალდებულოა ატმოსფეროში სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების გამოყოფის (ემისიის) ნორმების დაცვა და მათი შემცირების ღონისძიებათა განხორციელება. ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ „კლიმატის ცვლილების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ხოლო კლიმატის ცვლილებაზე დაკვირვებას, ანალიზს, პროგნოზირებასა და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ახორციელებს სამინისტროს სისტემაში შემავალი გარემოს ეროვნული სააგენტო.

ამგვარად, კანონი კლიმატის ცვლილების საკითხთან მიმართებაში მკაფიოდ ადგენს:

კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავების ვალდებულებას (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საერთო კოორდინაციით) და კლიმატის ცვლილებაზე დაკვირვების, ანალიზის, პროგნოზირებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების ვალდებულებას (უშუალოდ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ).

კანონით განსაზღვრული არ არის კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით რომელიმე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება - გარდა კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამისა და მოქმედებათა გეგმისა.

საქართველოს კანონები „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“, „წყლის შესახებ“, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“, „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ და საქართველოს ტყის კოდექსი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ და ისინი არეგულირებენ გარემოს დაცვის, მათ შორის ბუნებრივი გარემოს კომპონენტების დაცვისა და გამოყენების, ცალკეულ ასპექტებს.

საქართველოს კანონები „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ და „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ არეგულირებენ მხოლოდ გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების (მათ შორის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების) დაცვისა და გამოყენების სამართლებრივ საკითხებს.

არცერთ ზემოაღნიშნულ კანონს არ გააჩნია პირდაპირი ან ირიბი მიმართება მიწის რესურსების მდგრადი მართვის საკითხებთან/ნორმებთან.

ბიომრავალფეროვნების, მათ შორის ლანდშაფტური მრავალფეროვნების ტერიტორიული დაცვის სამართლებრივი ასპექტები

ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტური მრავალფეროვნების ტერიტორიული დაცვის და მდგრადი გამოყენების კუთხით ზემოაღნიშნული კანონებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს კანონი „დაცულიტერიტორიების სისტემის შესახებ“. კანონის მიხედვით დაცული ტერიტორიების სისტემის მიზნებს წარმოადგენს:

ა) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოს ბიოგეოგრაფიული ერთეულების გრძელვადიანი გარანტირებული დაცვა;
ბ) ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა;
გ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;
დ) უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების შენარჩუნება;
ე) ეროზიული, ღვარცოფის, წყალდიდობა-წყალმოვარდნის, ზვავის, მეწყერის აქტიური გავლენის ზონაში მოხვედრილი ტერიტორიების, აგრეთვე ზედაპირული და მიწისქვეშა

წყლების ფორმირების, გადინებისა და განტვირთვის არეალების დაცვა ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან;
ვ) ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების, ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური კომპლექსების დამახასიათებელი პეიზაჟების შენარჩუნება და აღდგენა;
ზ) განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ფასდაუდებელი და შეუცვლელი ობიექტების ტერიტორიაზე შესაბამისი საველე პირობების შექმნა;
თ) ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა;
ი) ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისა და ხალხური შემოქმედების დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შესანარჩუნებლად;
კ) სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სატრანსპორტო და ენერგეტიკული დანიშნულების ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი სამეურნეო საქმიანობის სტიმულირება.

აგრობიომრავალფეროვნებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა დაცული ტერიტორიების ისეთი კატეგორიები, როგორებიც არის დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

კანონის თანახმად დაცული ლანდშაფტი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრაციულ-ტურისტული, და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის. დაცულ ლანდშაფტში დაშვებულია თევზჭერა, ნადირობა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა. დაცული ლანდშაფტი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ფართო სახმელეთო ტერიტორიას და (ან) აკვატორიას, სადაც თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტი გამოირჩევა მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით. შესაძლებელია დაცულ ლანდშაფტში მოეწყოს სხვადასხვა ზონა.

რაც შეეხება მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას, იგი კანონის მიხედვით იქმნება გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია საჭიროებს ხმელეთის შედარებით დიდ ფართობს და (ან) აკვატორიას, რომელიც წარმოადგენს წყლის აკუმულაციის, ტყეებისა და საძოვრების პროდუქტიულობის, ნადირობის, თევზჭერისა და ნადირ-ფრინველის გავრცელების, აგრეთვე, ტურიზმისათვის საჭირო ბუნებრივ საფუძვლებს. დასაშვებია, იგი იყოს ნაწილობრივ სახეცვლილი და მოიცავდეს დასახელებებსაც. ტერიტორიაზე არ უნდა ხდებობეს ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური ბუნებრივი წარმონაქმნები. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე დაშვებულია თევზჭერა, ნადირობა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა. განახლებადი ბუნებრივი რესურსების მუდმივობისა და გარანტირებული მოხმარების უზრუნველსაყოფად შეიძლება ბუნების დაცვისა და მრავალმხრივი გამოყენების სხვადასხვა დასაშვები შეფარდების მქონე ზონების გამოყოფა.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის კატეგორია საჭიროების მიხედვით შეიძლება გამოყენებული იყოს სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბუნების ძეგლისა და აღკვეთილის გარშემო ე.წ. დამხმარე (ბუფერული) ზონის შესაქმნელად. თავის მხრივ, დამხმარე ზონა გამიზნულია ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების ბალანსირებული საქმიანობის

ხელშემწყობი და ადგილობრივი ფინანსური სახსრების გენერირების ღონისძიებების გასატარებლად.

აღსანიშნავია, რომ ორივე ზემოაღნიშნული კატეგორიის ტერიტორია შეიძლება მოიცავდეს იმ ტერიტოირებს, რომლებიც შეიძლება არ წარმოადგენდნენ სახელმწიფო საკუთრების ობიექტებს - დასახლებულ პუნქტებს, კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, აგრეთვე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს და სხვ. აქედან გამომდინარე, კანონი ადგენს, რომ დაცული ტერიტორიების მართვაზე უშუალოდ პასუხისმგებელმა სახელმწიფო ორგანომ - დაცული ტერიტორიების სააგენტომ მხოლოდ სხვა ორგანიზაციებთან (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან) ერთად შეიძლება მართოს დაცული ლანდშაფტები. ხოლო, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების მართვის უფლებამოსილება დაცული ტერიტორიების სააგენტოს საერთოდ არ გააჩნია.

დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ფერმერთა მეურნეობები შეიძლება გამოყენებული იქნენ როგორც აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის ასევე, მდგრადი სოფლის მეურნეობის (მათ შორის ბიომეურნეობების) საწარმოებლად.

საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“

სივრცითი მოწყობის სფეროს მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტი – საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ ადგენს სივრცითი მოწყობის საგანს, პრინციპებს, პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და დაგეგმვის დოკუმენტების ფორმებსა და როლს ტერიტორიის განვითარებაში. აღნიშნული კანონის მიხედვით [მუხლი 2, ქვეპუნქტები „ა“, „გ“] სივრცითი მოწყობა წარმოადგენს ტერიტორიების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის კანონმდებლობის, სივრცითი მოწყობის დარგის სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მოღვაწეობით განსაზღვრული პირობებისა და პროცესების ერთობლიობას, ხოლო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს ტერიტორიების გამოყენების, მიწათსარგებლობის, კეთილმოწყობის, გარემოს დაცვის, რეკრეაციის სივრცით-ტერიტორიული პირობების, ინფრასტრუქტურულ და ასევე, ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს.

აღნიშნული კანონის შესაბამისად სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა ხორციელდება ქვეყნის, თვითმმართველი ერთეულებისა და დასახლებათა დონეებზე. შესაბამისად, განსხვავებულია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის სახეები დაგეგმვის სხვადასხვა იერარქიული დონისათვის. ქვეყნის მასშტაბით ამგვარ დოკუმენტს წარმოადგენს ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემა, თვითმმართველი ერთეულისათვის – თვითმმართველი ერთეულის (მუნიციპალიტეტის) სივრცითი მოწყობის გეგმა, ხოლო დასახლებისათვის – დასახლების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. კანონის [მუხლი 22, პუნქტი 4] შესაბამისად მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმით (რომელსაც ნორმატიული აქტით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო), პირველ რიგში, განისაზღვრება მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული სტრუქტურა. კერძოდ, სივრცის შემდეგი კატეგორიები: ურბანიზებული ტერიტორია, სასოფლო ტერიტორია, ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია და სპეციალური ტერიტორიები.

აღსანიშნავია, რომ სივრცითი მოწყობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრული სივრცის კატეგორია (ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია) და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დაცული ტერიტორიის კატეგორიის (მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის) გამოყენებით შესაქმნელი დამხმარე (ბუფერული) ზონა და დაცული ლანდშაფტი, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური თვალსაზრისით წარმოადგენენ არა კოლიზიურ, არამედ ურთიერთშემავსებელ ცნებებს. აღნიშნულის დადასტურებას, გარდა სივრცითი მოწყობისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი ნორმებისა, წარმოადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის [მუხლი 18, პუნქტი 4] მიხედვით დაცული ტერიტორიების მართვაზე უშუალოდ პასუხისმგებელი დაცული ტერიტორიების სააგენტო, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფაქტიურად არ არის უფლებამოსილი მართოს დაცული ტერიტორიების ისეთი კატეგორიები, როგორებიც არის დაცული ლანდშაფტი და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი “

2014 წელს მიღებული საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულების იმ ექსკლუზიურ (საკუთარ) უფლებამოსილებათა ფარგლებს, რომელთაც თვითმმართველი ერთეულები ახორციელებენ დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ორგანული კანონის შესაბამისად ამგვარ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება: ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა კანონით დადგენილი წესით; და მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება.

კანონმდებლობა რეგიონული განვითარების სფეროში

რეგიონული განვითარების მარეგულირებული კანონმდებლობა საქართველოში დღემდე შემუშავებული არ არის. აღნიშნულ გარემოებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის ფაქტი, რომ ქვეყნის კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული რეგიონის, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სტატუსი.

ქვეყნის რეგიონალიზაციას, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანეს წინააღმდეგობას უქმნის საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც კანონმდებელს საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის რეგულირების პრეროგატივას მხოლოდ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ ანიჭებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რეგიონალიზაცია პრინციპული ხასიათის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას საჭიროებს. ამ კუთხით პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების მომზადება/მიღება და გატარება განეკუთვნება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებას.

საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“

კანონის მიზანია: ა) საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირება; ბ) საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის, ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების და გარემოს დაცვა; გ) ერთიანი სისტემის სუბიექტებს შორის ურთიერთობის რეგულირება, აგრეთვე მათი უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა; დ) ერთიანი სისტემის შექმნის უზრუნველყოფა და მისი საქმიანობის ორგანიზება, მათ შორის, სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შექმნა და მათი საქმიანობის ორგანიზება; ე) ხანძრის პროფილაქტიკის, ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზებისა და ჩატარების პროცედურების განსაზღვრა, საგანგებო სიტუაციის პრევენციის, მასზე რეაგირების, მისი შედეგების მიტიგაციისა და ლიკვიდაციის უზრუნველყოფა.

მოქმედი კანონმდებლობა სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების სფეროში

უშუალოდ სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო ნორმატიული აქტებია:

საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ (1994)
საქართველოს კანონი „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ (1998)
საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ (1998)
საქართველოს კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ (2003)
საქართველოს კანონი „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ (2010)
საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ (2012)

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტები არეგულირებენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სფეროსთან დაკავშირებულ სამართლებრივ ნორმებს, თუმცა გარდა „ნიადაგის დაცვის შესახებ“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ კანონებისა არცერთ მათგანს პირდაპირი მიმართება არ გააჩნია გაუდაბნოების/მი-წების დეგრადაციის საკითხებთან.

საქართველოს არ გააჩნია სოფლის მეურნეობის დარგში კონსოლიდირებული, ჩარჩო კანონის ტიპის, საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოახდენდა სოფლის მეურნეობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნორმების ფართო სპექტრის სისტემატიზაციას.

საქართველოს კანონები „ნიადაგის დაცვის შესახებ“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“

აღნიშნული საკანონმდებლო აქტები არეგულირებენ ნიადაგის დაცვასთან და ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

კერძოდ, „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებია:

ა) უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების ზრდა და შენარჩუნება;

ბ) განსაზღვროს მიწათმოსარგებლეთა, მიწათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად;

გ) აღკვეთოს ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის საშუალებათა გამოყენებისას უარყოფითი შედეგები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის თვით ნიადაგს, ადამიანის ჯანმრთელობას, ფლორასა და ფაუნას.

დ) უზრუნველყოს სუბალპური და ალპური მდელოების დაცვის გზით მაღალმთიანი რეგიონების ენდემური მცენარეულობისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნება;

ე) მელიორირებული მიწებიდან მაღალი და მყარი მოსავლის მიღების მიზნით ხელი შეუწყოს მელიორაციის სფეროში საქმიანობის კოორდინაციას.

აღსანიშნავია, რომ კანონი არ აწესებს არცერთი ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევისთვის აუცილებელ ნორმას. აქედან გამომდინარე, აღსრულების თვალსაზრისით კანონი ფაქტობრივად უმოქმედო საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს. სამართლებრივი თვალსაზრისით კანონი შეიცავს ამკრძალავ ნორმებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ნიადაგების გამოყენებისა და დაცვასთან დაკავშირებული კანონაღსრულების სფეროში. კანონის მე-4 მუხლის (მუხლი 4. ნიადაგის დაცვის მიზნით დაწესებული აკრძალვები) შესაბამისად ნიადაგის დაცვის მიზნით იკრძალება:

- ნაყოფიერი ნიადაგის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;
- არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნებისმიერი საქმიანობა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოუხსნელად, მის დაუკონსერვებლად და დანიშნულებისამებრ გამოუყენებ-ლად;
- ტერიტორიის ღია კარიერული წესით დამუშავება, რომელიც არ ითვალისწინებს დარ-ღვეული ნიადაგის რეკულტივაციას;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ანგარებით ან პირადი სარგებლობის მიზნით;
- ფერდობების დატერასება ნიადაგის შერჩევისა და სათანადო დაპროექტების გარეშე;
- საძოვრების გამწირება უწესრიგო ძოვებით;
- ტყით სარგებლობის დროს ნიადაგის საფარის დაზიანება;
- მინდორსაცავი ტყის ზოლების გაკაფვა-გადაკეთება, ნიადაგდამცავ ნაგებობათა დაზიანება;
- ყოველგვარი ქმედება, რომელიც გააუარესებს ნიადაგის თვისებებს;
- სასუქების, ქიმიური მელიორინტების და სხვა საშუალებების გამოყენება, რომლებიც არ არის გამოცდილი საქართველოს პირობებში, არა აქვს გავლილი შესაბამისი ნიადაგურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა და არ არის შემოწმებული, რეგისტრირებული და ნებადართული შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ;
- ნიადაგების ყოველგვარი გაჭუჭყიანება და დანაგვიანება.
- მაღალმთიან საძოვრებზე დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებული რაოდენობით ნა-ხირისა და ფარის ძოვება, რაც იწვევს ეროზიულ პროცესებს;
- მაღალმთიან რეგიონებში დეკასა და გადაშენების პირას მისული სხვა სუბალპური და ალპური მცენარეულობის საწვავად და სხვა მიზნით მოსახმარებლად მოპოვება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული მე-4 მუხლისა კანონი აშკარად დეკლარაციულ ხასიათს ატარებს.

„ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს:

- ნიადაგების კონსერვაციასა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებას, ეროზიის, ღვარცოფის, მეწყრის, ზვავის, წყალდიდობის, ნიადაგის დაბინძურების, განმეორე-ბითი დაჭაობებისა და დამლაშების, წიაღისეულის, აგრომადნეულისა და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, აგრეთვე ანთროპოგენური ზეგავლენის შედეგად ნიადაგების დანაკარგების აღკვეთას;
- მლაშობი, ბიცობი, დაჭაობებული, ეროზირებული, მჟავე, ძლიერდაქვიანებული და სხვა დაბალნაყოფიერი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებას და რაციონალურ გამოყენებას;
- ნიადაგში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები დონეების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების ნორმების დადგენას;
- ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ნიადაგების კონსერვაციის, ნაყოფიერების ამაღლებისა და ექსპლუატაციის, აგრეთვე აგროქიმიკატების გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებისას.

კანონის მიზნებია:

- უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ნიადაგების კონსერვაცია და ნაყოფიე-რების აღდგენა-გაუმჯობესება;
- განსაზღვროს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები, ხელი შეუწყოს ამ სფეროში სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობების კოორდინაციას;
- უზრუნველყოს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობე-სებისათვის ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც საფრთხეს არ შეუქმნის თვით ნიადაგს, ბიომრავალფეროვნებას, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს;
- დაადგინოს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებათა ნორმები, შეზღუდვები და აკრძალვები.

კანონის მოქმედება ვრცელდება შემდეგ ღონისძიებებზე:

- ნიადაგების ქიმიურ მელიორაციაზე;
- წყალდიდობის, ღვარცოფული, მეწყრული და ზვავური მოვლენების, აგრეთვე ნიადაგების ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე;
- ნიადაგების გამოკვლევებსა და ნაყოფიერების მონიტორინგზე;
- ნიადაგების ნაყოფიერებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე;
- ნიადაგების პოტენციური შესაძლებლობების კომპლექსურ გამოყენებაზე.

მეტად მნიშვნელოვანია კანონით (მუხლები 7 და 8) ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად დადგენილი შეზღუდვები და აკრძალვები.

კანონი (მუხლი მე-12) განსაზღვრავს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობის მქონე უფლებამოსილ ორგანოს - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს:

- შეამოწმოს ნიადაგების ნაყოფიერების მდგომარეობა, ნაყოფიერების ამაღლების საშუალებათა შემოტანის წესების დაცვა, მათი გამოყენების რეგლამენტები და აგროწესები, ასევე ნიადაგებზე აგროტექნიკური, აგროქიმიური, აგროსატყეო, ირიგაციული, ფიტოსანიტარიული, სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებების

განხორციელების ვითარება და საქართველოს ნორმატიული აქტების სხვა მოთხოვნათა დაცვა;

- შეამოწმოს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა გატარების მდგომარეობა და ეფექტიანობა;
- შეამოწმოს ნიადაგების რადიონუკლიდებით, მძიმე მეტალებითა და ტოქსიკური ელემენტებით, ენტომოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ბაქტერიული და ვირუსული დაბინძურება და მისი საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების ეფექტიანობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით;
- მიწათმოქმედებისაგან მოითხოვოს აგროქიმიური, აგროსატყეო, მელიორაციული, მცენარეთა დაცვის და სხვა ღონისძიებების შეზღუდვა ან შეწყვეტა, თუ ისინი ზიანს აყენებენ გარემოს ან სხვის გამგებლობაში არსებულ მიწებს.

კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების უმეტესობა (აგროქიმიკატების შემოტანის, შენახვის, რეალიზაციისა და რაციონალური გამოყენების ნორმები და წესები; ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის დებულება; ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის კომპლექსურ ღონისძიებათა რეკომენდაციები; ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის დებულება; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის წესები; წარმოების ტოქსიკური ნარჩენებითა და რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად დეგრადირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სხვა დანიშნულების მიწების კონსერვაციის წესები; ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების სახელმწიფო პროგრამა) დღეისათვის მიღებულია - გარდა კანონაღსრულების თვალსაზრისით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე აქტისა - მიწების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ.

მიუხედავად მთელი რიგი ხარვეზებისა „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს დღეისათვის მოქმედ ერთადერთ საკანონმდებლო აქტს, რომელიც უშუალოდ არეგულირებს გაუდაბნოებასთან და მიწების დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხების სპექტრს.

3.1.2. პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია და ამავე სტრატეგიის 2011 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორის განვითარების კონცეფცია და 2012-2016 წლებზე გათვლილი საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა და საქართველოს საადაპტაციო სტრატეგია (კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება, 2009) მოიცავენ გაუდაბნოების/მიწების დეგრადაციისა და სოფლის მეურნეობის საკითხების მთელ სპექტრს. თუმცა ზემო- აღნიშნული დოკუმენტების უმეტესობა არ განიხილავს გაუდაბნოების/მიწების დეგრადაციისა და ზოგადად მიწის რესურსების მდგრადი მართვის საკითხებს თანმიმდევრულად და კომპლექსურად.

ეროვნული დონე

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 23 დეკემბერს დაამტკიცა ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია[19], რომელმაც 2005 წლის ივლისში მიღებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია[19] ჩაანაცვლა. ამ დადგენილებით მეორედ დამტკიცდა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ასახავს წინა დოკუმენტის მიღების შემდეგ ქვეყნის უსაფრთხოების გარემოში მომხდარ ცვლილებებს და მათ გავლენას საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და გამოწვევებზე.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს და ეროვნულ ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას შეიმუშავებს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

კონცეფცია აყალიბებს ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებს, ეროვნულ ინტერესებს, საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებს და გამოწვევებს და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. თოთხმეტ ეროვნულ ინტერესს შორის მოიხსენიება საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხოლო, საქართველოს წინაშე არსებულ თორმეტ ძირითად საფრთხესა და გამოწვევას შორის - ეკოლოგიური გამოწვევები, როგორც ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ კრიზისებიდან საქართველოს ბუნებრივ გარემოსთვის, ბიომრავალფეროვნებისთვის და მისი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის წარმოქმნილი საფრთხე.

ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით კონცეფცია აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა - ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირების, გარემოს დაბინძურების, ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი კრიზისების პრევენციის გზით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, მიწისძვრა, ასევე სამრეწველო ავარიების პრევენციას და სხვა. საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა ასევე მიზნად ისახავს, უზრუნველყოს გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება და გატარება, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების პრევენცია, ტყის რესურსების დაცვა, ქვეყნის ტერიტორიის რადიოაქტიური და სხვა მავნე ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოების ჩატარება, შავი ზღვის დაბინძურების პრევენცია და სხვა.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის N127 განკარგულებით მიღებული იქნა 2012-2016 წლებზე გათვლილი საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა.

[19]საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 8 ივლისის №1895–რს დადგენილება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა ოფიციალური დოკუმენტია, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს გეგმები გარემოს დაცვის სფეროში 2012-2016 წლებისათვის. პროგრამა ქმნის სამომავლო გარემოსდაცვითი დაგეგმარების კარგ საფუძველს. პროგრამა, აღიარებს რა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებლობას, დოკუმენტში აქცენტი გაკეთებულია მდგრად განვითარებაზე და არა ამკრძალავ პერსპექტივებზე.

პროგრამა მოიცავს ძირითად დარგობრივ მიმართულებას - მათ შორის მიწის რესურსების მიმართულებას. გარდა დარგობრივი მიმართულებებისა პროგრამა მოიცავს ზოგადი შინაარსის მიმართულებებსაც, რომლებშიც შეჯამებულია ის ურთიერთგადამკვეთი საკითხები, რომლებიც ბევრი დარგობრივი მიმართულებით გამოიკვეთა და შესაბამისად მათი მოგვარება ერთნაირად სარგებლის მომტანი იქნება ყველა გარემოსდაცვითი სექტორისთვის. გარემოსდაცვითი საკითხების რთული და ინტერსექტორალური ბუნების გამო, გარემოსდაცვითი სტრატეგიისა და პოლიტიკის ინტეგრირების აუცილებლობა სხვა დარგების განვითარების გეგმებსა თუ პოლიტიკაში მიმოხილულია პროგრამის ცალკე ნაწილში.
პროგრამის მიხედვით, საერთო გარემოსდაცვით ღონისძებათა რიგს განეკუთვნება:

- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება;
- მონიტორინგის, ინსპექტირებისა და კანონაღსრულების სისტემების გაუმჯობესება;
- პოლიტიკის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნის ამაღლება.

მიწის რესურსების სფეროში ძირითადი პრობლემა იდენტიფიცირებულია, როგორც - მიწის დეგრადაცია. აღნიშნულია, რომ 2006 წლის მონაცემებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის 60% საშუალო ან დაბალი ნაყოფიერებით ხასიათდება; გადაჭარბებული და უკონტროლო ძოვება, ტყის საფარის კარგვა და ტერიტორიების დაუგეგმავი ათვისება ურბანული განვითარების მიზნით მიწის დეგრადაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორებია; ნიადაგის ეროზია, რომელიც რიგ შემთხვევებში ბუნებრივი მოვლენაა, მწვავდება ადამიანის მიერ ნიადაგის არამდგრადი გამოყენებით. სამშენებლო საქმიანობებს, ინფრასტრუქტურულ პროექტებს, შეუსაბამო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას წვლილი შეაქვს ნიადაგის ნაყოფიერი ზედა ფენის კარგვაში; ნიადაგის ნაყოფიერება ასევე მცირდება ნიადაგის დამლაშებით, გაბიცობებითა და დამჟავიანებით. ნიადაგის დამლაშება გამოწვეულია მარილშემცველი ქანების გამოფიტვით, მინერალიზებული გრუნტის წყლით, არიდულ სამიწათმოქმედო ზონაში რწყვის ნორმების და წესების დაუცველობით და სხვ. ხოლო ნიადაგის დამჟავიანების მიზეზია ფიზიოლოგიურად მჟავე მარილების შემცველი სასუქების ინტენსიური და არარაციონალური გამოყენება, მჟავე ნალექები და სხვ. გარდა ამისა, ხშირია ნიადაგის დაბინძურება სოფლის-მეურნეობაში სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების არასწორი გამოყენებით, ნავთობის დაღვრით, საირიგაციო სისტემების მოუწესრიგებელი მუშაობითა და ნარჩენების უკონტროლო განთავსებით.

პროგრამა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ისტორიულად საქართველო აგრარული ქვეყანაა და დღეისათვის, ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოში დასაქმებულთა 53% სოფლის მეურნეობის დარგშია დაკავებული. მიწისა და ნიადაგის რესურსების სათანადო მოვლა-პატრონობის პირობებში საქართველოს აქვს პოტენციალი აწარმოოს მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რაც უკიდურესად

მნიშვნელოვანია როგორც საკვების უსაფრთხოების, ასევე ქვეყნის ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდის კუთხითაც.

პროგრამის მიხედვით მიწის რესურსების ეფექტიან მართვას მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის არა მარტო გარემოსდაცვითი, არამედ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

პროგრამა, მიწის დეგრადაციას, მიწის რესურსების არასაკმარისად ეფექტიანი მართვის პრაქტიკას, შეზღუდულ ხელმისაწვდომობას შესაბამის ინფორმაციასა და ტექნოლოგიებზე და სუსტ ინსტიტუციურ კავშირს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის (რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს ნაკლებად ეფექტიანს ხდის) განიხილავს იმ ძირითად პრობლემებად, რომლებიც მიწის რესურსების სფეროზე ახდენს გავლენას.

პროგრამის მიხედვით მიწის რესურსების მართვის სფეროში გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს საუკეთესო შესაძლო მიწათსარგებლობის პრაქტიკის დანერგვა მიწის რესურსების მდგრადი მართვის გზით. აღნიშნული გრძელვადიანი მიზნის განსახორციელებლად საჭიროა, მიწის რესურსების მართვის არსებული მიდგომების შეცვლა მიწის რესურსების მდგრადი ინტეგრირებული მართვით, რათა ხელი შეეწყოს საქართველოში სივრცით ტერიტორიულ დაგეგმვას, ზონირებას, რაც უზრუნველყოფს მიწის რესურსების საუკეთესო გამოყენების მიღწევასა და მდგრად სარგებელს, გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების ოპტიმალური დაბალანსების გზით. აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი საკითხები, როგორიცაა ტერიტორიების კონსერვაცია, კერძო საკუთრების უფლებები, ადგილობრივი მოსახლეობისა და თემების ინტერესები.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020 წწ.)

2014-2020 წლების პერიოდისთვის შემუშავებული საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №343 დადგენილებით. ამ დოკუმენტით განისაზღვრა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გონივრული გამოყენების სტრატეგია და კონკრეტული ქმედებები 5-წლიანი პერიოდისათვის.

სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა მოიცავს საქართველოს ბიომრავალფეროვნების მიმოხილვას, ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სამომავლო ხედვასა და ეროვნულ მიზნებს, რასაც მოსდევს სიტუაციის ანალიზი შემდეგი თემატური მიმართულებების მიხედვით:

- სახეობები და ჰაბიტატები;
- დაცული ტერიტორიები;
- ტყის ეკოსისტემები;
- აგრარული ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი სათიბ-საძოვრები;
- შიდა წყლის ეკოსისტემები;
- შავი ზღვა;
- მმართველობა და გამჭოლი საკითხები;
- საზოგადოების ცნობიერება, განათლება და კომუნიკაცია.

სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა ძირითადად აგრარული ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ნაწილში მოიცავს ნიადაგების დეგრადაციასთან/ეროზიასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემების დეგრადაციის თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნიადაგების დეგრადაცია/ეროზია. სოფლის მეურნეობის არსებული პოლიტიკა მცირედ უზრუნველყოფს სასოფლო მეურნეობებში სანიმუშო სასოფლო სამეურნეო პრაქტიკის (მაგ.: აგროქომიკატების მდგრადი გამოყენება, ირიგაციის, მიწის დამუშავებისა და მორწყვის თანამედროვე ტექნოლოგიები) გამოყენებას, აგროეკოლოგიური მეთოდების (ლანდშაფტების დაგეგმარება, ქარსაცავი ზონების გაშენება, კულტურათა მონაცვლეობა, ნიადაგის ფილტრაცია და სხვ.) გამოყენებისა და ბიომეურნეობის განვითარებას. არ არსებობს ძლიერ ეროზირებული, მძიმე ლითონებითა და რადიონუკლიდებით დაბინძურებული ნიადაგების აღდგენის ან უარყოფითი შედეგების შემცირების ადექვატური პროგრამები. ბუნებრივი ჰაბიტატების შემცირება და მოდიფიკაცია (ბუფერული ზონების შემცირება, მონოკულტურული წარმოება), ინსექტიციდების არასწორი მოხმარება და მავნე ზეგავლენის მქონე აგროქიმიკატების გამოყენება იწვევს სასარგებლო მწერების პოპულაციების შემცირებას.

გარდა ამისა, ხაზგასმულია, რომ საქართველოს სემიარიდული ეკოსისტემები, რომელთა დიდი ნაწილი საქონლის ზამთრის საძოვრად გამოიყენება, საფრთხის ქვეშაა ჭარბი და უსისტემო ძოვების გამო. ნიადაგის ეროზიისა და საძოვრების დეგრადაციის პროცესი, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან იღებს სათავეს, ბევრ ადგილას კრიტიკულ ზღვრამდეა მისული და სასწრაფო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს შეუქცევადი პროცესების თავიდან ასაცილებლად; ინფრასტრუქტურული პროექტები (გზების, მილსადენების, შენობა-ნაგებობებისა და წყალსაცავების მშენებლობა), წიაღისეულის მოპოვება (მაგალითად, ჭიათურის მანგანუმის მოპოვება) ღია კარიერული წესით და მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, იწვევს გარკვეულ ფართობებზე ტყის საფარის კარგვასა და დეგრადაციას. დღეისათვის აღნიშნული მიზეზებით ტყის საფარის შემცირება შედარებით მცირე ფართობებზე ხდება, მაგრამ მომავალში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფონზე, სათანადო კონტროლის არარსებობის პირობებში, შესაძლებელია ამ პრობლემის გამწვავება; არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზაფხულისა და ზამთრის საძოვრების შესახებ (ფართობი და ნაკვეთების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით) და არ არის შესწავლილი მათი მდგომარეობა (გამოყენება, დატვირთვა, მცენარეული საფარი, ნაყოფიერების მაჩვენებელი და ა.შ).

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა (2003)

გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით 2003 წელს დამტკიცებული იქნა გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა[20].

პროგრამა გამოყოფს საქართველოს არიდულ და სემიარიდულ რეგიონებს, როგორც გაუდაბნოებისადმი ყველაზე მგრძნობიარე ტერიტორიებს (საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი - დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, შიდა ქართლის რაიონები). ამიტომაც, ეროვნულ პროგრამაში ძირითადი ყურადღება სწორედ მათ ეთმობათ. თუმცა აღინიშნება, რომ შესასწავლია გაუდაბნოების პროცესების მოქმედება ახალციხის, ანუ მესხეთის

[20] საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 2 აპრილის N112 ბრძანებულება „გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

ქვაბულზე და, აგრეთვე აუცილებელია ყველა გაუდაბნოებისადმი მგრძნობიარე ტერიტორიის გამოვლენა და შესწავლა.

პროგრამას თან ერთვის გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის გეგმა, რომელიც მთელ რიგ საპროექტო ღონისძიებებს მოიცავს, რომელთაგან დიდი ნაწილი ესადაგება სოფლის მეურნეობისა და ბიომრავალფეროვნების კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო ღონისძიებათა გატარების ტრადიციულ მეთოდებს (მაგ., გვალვის განვითარების ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა, საქართველოს ტრადიციული სოფლის მეურნეობის აღდგენის, დაცვისა და მდგრადი გამოყენების პროგრამის მომზადება, სოფლის მეურნეობის ტრადიციული ცოდნისა და გამოცდილების, კვლევისა და მასთან დაკავშირებული პროგრამებისათვის ხელშეწყობა, სახნავ-სათესი მიწების მართვის პრინციპებისა და გეგმის შემუშავება და სხვ.).

საქართველოს საადაპტაციო სტრატეგია და კლიმატის ცვლილების შემარბილებელი პოლიტიკა და ღონისძიებები : საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (2009)

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველომ 1997-1999 წლებში მოამზადა პირველი ეროვნული შეტყობინება. მას შემდეგ ქვეყანაში შესრულდა მთელი რიგი პროექტებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა კლიმატის ცვლილების სხვადასხვა საკითხების შესწავლას და საპროექტო წინადადებების მომზადებას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის დარგში.

2006-2009 წლებში საქართველომ მოამზადა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის მიმართ მეორე ეროვნული შეტყობინება. ამ პროცესის დროს ჩატარდა სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაცია, დამუშავდა კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების სცენარები და შეფასდა კლიმატის მიმდინარე და შესაძლო ცვლილების მიმართ სხვადასხვა ეკოსისტემებისა და ეკონომიკის დარგების მოწყვლადობა. სათბურის გაზების ემისიების შემცირების ღონისძიებების გეგმებთან ერთად მომზადდა საადაპტაციო პროექტები, ჩატარდა კლიმატის ცვლილების საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად გამიზნული ღონისძიებები.

მეორე ეროვნულ შეტყობინებაში და საქართველოში უკვე შესრულებულ თუ განხორციელების სტადიაში მყოფ სხვა პროექტებში მიღებული შედეგების გათვალსიწინებით მომზადდა კლიმატის ცვლილების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგია. თუმცა სტრატეგია ვერ ფარავს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, და მასში ყურადღება გამახვილებულია წინასწარი შესწავლის საფუძველზე შერჩეულ პრიორიტეტულ რეგიონებზე. ეს სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს არსებული ბარიერების დაძლევას, შედგება 6 ნაწილისგან: კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პრინციპების განსახორციელებლად ადგილობრივი პოტენციალის გაძლიერება, სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის მდგრადობის უზრუნველყოფა, კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასება და საადაპტაციო ღონისძიებები, სათბურის გაზების ემისიების შემცირება, მოწინავე ტექნოლოგიების გადმოცემა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

კლიმატის ცვლილების მოსალოდნელ სცენარზე დაყრდნობით შეფასდა სამი პრიორიტეტული რეგიონის - შავი ზღვის სანაპირო ზონის, დედოფლისწყაროს რაიონისა და ქვემო სვანეთის მოწყვლადობა და დაიგეგმა კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო ღონისძიებები.

კლიმატური ელემენტების ცვლილება საქართველოში და კერძოდ პრიორიტეტულ რეგიონებში შეფასებულ იქნა დაკვირვების მონაცემთა გამოყენებით. გამოკვლეულ იქნა ჰაერის საშუალო ტემპერატურა და ტემპერატურის ექსტრემუმები, ნალექები, ფარდობითი სინოტივე, დატენიანების რეჟიმი და ქარი, აგრეთვე თითოეული შესწავლილი რეგიონისთვის დამახასიათებელი ექსტრემალური მოვლენების (ძლიერი ქარები, გვალვა, მეწყერი, წყალმოვარდნა და სხვ.) ტრენდები.

მესამე ეროვნული შეტყობინება (TNC) წარმოადგენს იმ სამუშაოს გაგრძელებას, რომელიც განხორციელდა მეორე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში, მიმართული გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციისადმი, გადაწყვეტილება 17/CP8-ის და სხვა მითითებების შესაბამისად. მესამე ეროვნული შეტყობინება განაახლებს და გააძლერებს მიწოდებულ ინფორმაციას ეროვნული ვითარების, სათბურის გაზის აღრიცხვის, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილების, კლიმატის ცვლილებისადმის მოწყვლადობის და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისათვის გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას საზოგადოების თვითშეგნების, განათლების, ტრენინგების, სისტემატიური კვლევებისა და დაკვირვების შესახებ. პროექტი აგრეთვე გაზრდის ქმედუნარიანობას შემდგომი ეროვნული შეტყობინებების მოსამზადებლად, რომლებიც ესადაგება მხარეთა კონფერენციის მითითებებს და გააუმჯობესებს კლიმატის ცვლილების პოლიტიკას საქართველოში.

ამგვარად, მეორე ეროვნულ შეტყობინებაში სამი პრიორიტეტული რეგიონის - შავი ზღვის სანაპირო ზონის, დედოფლისწყაროს რაიონისა და ქვემო სვანეთისთვის დაგეგმილი კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო ღონისძიებები მოიცავენ ბიომრავალფეროვნების და აგრობიომრავალფეროვნების სპექტრს. მაგალითად, ქვემო სვანეთში გათვალისწინებული საადაპტაციო ღონისძიებები (ტყეების ყველაზე დაზიანებული უბნების რეაბილიტაცია და სწორი მენეჯმენტი; ტყის, როგორც მეწყერშემაკავებელი ეკოსისტემის ფუნქციების აღდგენა შესაბამის უბნებში; პრევენციული ღონისძიებების პაკეტის მომზადება ადგილობრივი ტყეების დასაცავად მავნე მწერებისაგან) და დედოფლისწყაროს რაიონში გათვალისწინებული ღონისძიებები (დაცულ ტერიტორიებზე მონიტორინგის მუდმივმოქმედი სისტემის შექმნა ანთროპოგენული ზემოქმედებისგან თავისუფალ პირობებში მიწის დეგრადაციაზე და ფლორისა და ფაუნის ენდემურ სახეობებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესაფასებლად; მიტოვებულ და ეროზირებულ მიწებზე პლანტაციურ ნარგაობათა კორომების გაშენება; ქარსაფარი ზოლების რეაბილიტაცია).

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N172 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. მოგვიანებით კი (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის N1448 განკარგულებით) საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2011 წლის სამოქმედო გეგმა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2009 წელს შეიქმნა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის სამთავრობო კომისია, რომელსაც ამოცანად განესაზღვრა საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის პროექტის მომზადება. კომისიის მუშაობის მხარდასაჭერად ჩამოყალიბდა კომისიის სამდივნო შვიდ სამუშაო ჯგუფთან ერთად, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ ექსპერტები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და საჯარო მოსამსახურეები სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროებიდან. კომისიის სამდივნოს მიერ მომზადებულ იქნა რეგიონული განვითარების

შესახებ დიაგნოსტიკური მოხსენებისა და რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის პროექტის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების დოკუმენტები, რომლებიც მოწონებულ იქნა კომისიის მიერ. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია შემუშავებულ იქნა ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში გამოკვეთილი ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების საფუძველზე.

საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესება, რაც მიიღწევა რეგიონების დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებითა და რეგიონებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებით.

სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სფეროში სტრატეგია განსაზღვრავს, რომ:

1. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

2. მიღებულ უნდა იქნეს კანონი ფერმერების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი.

3. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მეღვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიეობა და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო ფინანსური მხარდაჭერით მათ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად.

5. საჭიროა, განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორირებული ფართობების ინვენტარიზაცია.

6. უნდა განხორციელდეს ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოსაზიდად.

7. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომელთა კოორდინაცია უზრუნ-ველყოფილ იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

8. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების ხელშეწყობა, მანქანა-ტრაქტორების სადგურების შექმნა და / ან შეღავათიანი პირობებით დაკრედიტება.

9. საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა.

10. საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო ინიციატივების ინვესტირების წახალისება. საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე ორიენტირებული და სხვა სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც ადგილობრივი საკადრო და სამეწარმეო რესურსების გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული.

ასევე, სტრატეგია განსაზღვრავს, რომ:

საჭიროა, რისკის ზონებში დაინერგოს მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემები, შემუშავდეს ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციებისათვის სამოქმედო გეგმები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

უნდა განხორციელდეს ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენებით (გვალვა, სეტყვა, მაღალი სიჩქარის ქარები და სხვ.), ბუნებრივი კატასტროფებით/გეოდინამიკური პროცესებით (წყალდიდობები, მეწყერები, ღვარცოფები და სხვ.) გამოწვეული რისკების, მათი რეგიონის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე გავლენის შეფასება და გათვალისწინება რეგიონების მდგრადი განვითარების სტრატეგიებსა და სამოქმედო პროგრამებში.

რეგიონების განვითარების გეგმებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ბუნებრივი ცვლილებები (მაგ., გლობალური დათბობის შედეგები), რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენს ზღვის ეკოსისტემაზე და იწვევს არასასურველ ცვლილებებს ამ სისტემაში, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს (მათ შორის, აჩქარებს ანთროპოგენური მიზეზებით გამოწვეულ უარყოფით პროცესებს) სანაპირო ზონაზე.

საჭიროა, ქვეყანას ჰქონდეს მიწის ერთიანი სრულყოფილი კადასტრი. უპირველეს ყოვლისა, მიწის მდგომარეობის შესწავლა საჭიროა იმ რეგიონებში, სადაც მიწის რესურსის მოწყვლადობაა გამოვლენილი.

ადგილობრივი კლიმატური პირობებიდან, მათში მიმდინარე ცვლილებებზე განხორციელებული დაკვირვებიდან, არსებული ანთროპოგენური ზეწოლისა და ნიადაგის მდგომარეობიდან გამომდინარე, შემუშავებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო მიწების ექსპლუატაციის ნორმები (პირუტყვის რაოდენობა საძოვრის ერთეულ ფართობზე; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ტიპი, რომელიც დასაშვებია მეწყერსაშიშ ზონებში; იმ ტერიტორიების ქარსაფარებით უზრუნველყოფა, რომლებიც მოწყვლადია ქარისმიერი ეროზიისადმი და სხვ.).

უნდა მოხდეს განსაკუთრებით მოწყვლადი (მეწყერები, წყლისმიერი ეროზიები, მდინარეთა ნაპირები და ზღვის სანაპირო ზოლი) მიწების მონიტორინგი, მათი სარეაბილიტაციო და საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

ამგვარად, სტრატეგია ასახავს მიწების დაცვის, სოფლის მეურნეობის, აგრობიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებულია „საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა. პროგრამაში საუბარია ბუნებრივი კატასტროფების რისკისა და ძველი სამრეწველო ობიექტების ტერიტორიების დაბინძურების შემცირებაზე, საქართველოს ტყის ინვენტარიზაციასა და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელებაზე, ნარჩენებისა და წყალარინების დამუშავებასა და ჰაერის დაბინძურებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნარჩენების მართვის საკითხს, კერძოდ; მყარი ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების განვითარებას, ახალი სანიტარული ნაგავსაყრელებისა და გადამტვირთი სადგურების მშენებლობას, ევროკავშირის გარემოსდაცვითი და ტექნიკური სტანდარტების ეტაპობრივად დამკვიდრებას.

საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია შემდეგი რეგიონების სტრატეგიები: 2013 წლის 17 სექტემბრის N1363 განკარგულებით გურიის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგია; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის N1364 განკარგულებით - შიდა ქართლის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგია; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის N1365 განკარგულებით - ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგია; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის N1366 განკარგულებით - კახეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგია; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 სექტემბრის N1372 განკარგულებით - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგია; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 სექტემბრის N1373 განკარგულებით - სამცხე ჯავახეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგია და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N1374 განკარგულებით - რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგია. აღნიშნულ სტრატეგიებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გარემოს დაცვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. სტრატეგიებში ხაზგასმულია რამდენიმე ფაქტორი: ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხი, ტყის რესურსების დაცვა, ბუნებრივი კატასტროფების მართვა, გარემოსდაცვითი საქმიანობა და თანამშრომლობა, დაცული ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია.

მოქმედი პოლიტიკა სოფლის მეურნეობის სფეროში

საქართველოს უკანსკნელ პერიოდამდე არ გააჩნდა სოფლის მეურნეობის ეროვნული პოლიტიკა, სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო პროგრამა. მდგომარეობა შეიცვალა 2011 წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც სოფლის მეურნეობის სფეროში დაიწყო აგრარული რეფორმის განხორციელებისთვის მზადება, რასაც მოყვა სოფლის მეურნეობის სტრატეგიის მიღება და შემდგომ მისი რეალიზაციის დაწყება.

აგრარული პოლიტიკის შემუშავებისა და მიღების პროცესი

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის №206 დადგენილებით შეიქმნა „აგრარული პოლიტიკის სახელმწიფო კომისია“ - როგორც საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო. კომისიას ხელმძღვანელობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამჟამად, აღნიშნული კომისია გაუქმებულია და ფაქტობრივად მის ფუნქციებს მთლიანად ითავსებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

კომისიის სტრუქტურა ფაქტიურად ასახავდა სამთავრობო დონეზე სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიღების ფორმალურ სქემას. სწორედ აღნიშნული კომისიის ეგიდით იქნა შემუშავებული და აპრობირებული საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 მარტის N566 განკარგულებით მოწონებული „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია - 2012-2022“.

კომისიამ ჩაანაცვლა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 8 სექტემბრის №156 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემმუშავებელი სამთავრობო კომისია. თავის მხრივ, საქართველოს სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემმუშავებელმა სამთავრობო კომისიამ ჩაანაცვლა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 აგვისტოს N 505 ბრძანებულებით შექმნილი აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო.

მიუხედავად იმისა, რომ აგრარული პოლიტიკის სახელმწიფო კომისიას არ გააჩნდა დამტკიცებული დებულება, იგი ყველაზე უფრო ეფექტური აღმოჩნდა განვლილ 15-წლიან პერიოდში არსებულ ანალოგიური დანიშნულების სათათბირო ორგანოებთან შედარებით.

კომისიის ეგიდით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთო კოორდინაციით მომზადებული იქნა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, რომელიც მიღებული / მოწონებული იქნა 2012 წლის მარტში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 მარტის N566 განკარგულებით მიღებული იქნა სოფლის მეურნეობის 2012-2022 წლებზე გათვლილი სტრატეგია, რომელმაც განსაზღვრა გარდამავალი პერიოდი, რომლის განვალობაშიაც სახელმწიფო აგრძელებს სოფლის მეურნეობის სფეროში ძირითადი კურსის განმსაზღვრელის ფუნქციას. სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების (სოფლის მეურნეობის რეფორმის) განხორციელება 2012 წლის პირველი ნახევრიდან დაიწყო და მისი უზრუნველყოფა ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯზე იყო გათვალისწინებული. აგრარული რეფორმის ორგანიზაციულ სტრუქტურის ქვაკუთხედს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი წარმოადგენდა. სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი[21], რომელიც 2011 წლის დეკემბერში დაფუძნდა სახელმწიფოს მიერ, მიზნად ისახავდა ადამიანური, მატერიალური და ტექნიკური რესურსების ეფექტიანი შერწყმისა და სინერგიის გზით საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ფონდი წარმოადგენდა უფრო ადრე შექმნილი სააქციო საზოგადოების - სოფლის მეურნეობის კორპორაციის დამფუძნებელს და 100%-იანი წილის მფლობელს, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოადგენდა შპს „მექანიზატორის“ დამფუძნებელს და 100%-იანი წილის მფლობელს. თავის

[21]იხ. „სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის დასაფუძნებლად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 დეკემბერის №817 ბრძანებულება. ბრძანებულებით განისაზღვრა, რომ ფონდის დაფუძნების მომენტიდან წესდებით გათვალისწინებული დამფუძნებლის უფლებამოსილებები უნდა მინიჭებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

მხრივ, შპს „მექანიზატორის“ ბაზაზე ფუნქციონირებდა საქართველოში დღეისათვის არსებული სოფლის მეურნეობის სერვის ცენტრები - მექანიზაციის სერვის ცენტრები და საკონსულტაციო/ექსტენციისა და ფერმერთა მომსახურების ცენტრები.

სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია

2014 წლისათვის გამიზნულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი 2015-2020 წლებზე გათვლილი სტრატეგიის დამტკიცება, რომლის ძირითადი მიზანია სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გარემოს შექმნა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდის ხელშეწყობა, სურსათის უვნებლობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობისა და სოფლად მდგრადი განვითარებით სიღარიბის აღმოფხვრა. ამით ცხადია, რომ სახელმწიფო კვლავ ინარჩუნებს დარგის განვითარების ხელშეწყობის ფუნქციას, თუმცა წინა სტრატეგიის მსგავსად მიიჩნევს, რომ დარგის განვითარების ხელშეწყობა კერძო სექტორის გაძლიერებაში გამოიხატება. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო აფინანსებს სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მიწის ბაზრის ჩამოყალიბებას, სურსათის უვნებლობას და სხვა მიმართულებებს ადასტურებს, რომ სახელმწიფოს კვლავაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში.

სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგიის პროექტის გარემოსდაცვითი ნაწილი

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია მოიცავს „გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების“ ნაწილს, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის პრინციპებით ხელმძღვანელობის, ბიომრავალფეროვნებისა და მდგრადი გარემოს დაცვის პროგრამების შემუშავების და აგრეთვე აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური ჯიშების შენარჩუნების მიზნით გენეტიკური ბანკის შექმნა/მართვა.

სტრატეგიის პროექტის მიხედვით კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა უზრუნველყოფს ეფექტურ და მდგრად სამეურნეო წარმოებას, ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესებასა და შენარჩუნებას და დეგრადაციის შემცირებას. სახელმწიფო მხარს დაუჭერს ფერმერების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას და ჩაატარებს სასწავლო პროგრამებს კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესახებ (თესლბრუნვა, ქიმიკატებისა და სასუქების ეფექტური გამოყენება, ორგანული სასუქების და წყლის გამოყენება და ა.შ). მთავრობა ასევე შეიმუშავებს და განახორციელებს სქემებს ამ პრაქტიკის ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. განიხილება ორგანული წარმოების პოტენციალი, აკრედიტაციის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობის ჩათვლით.

რეგიონული დონე
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორის განვითარების კონცეფცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 16 სექტემბრის N50 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორის განვითარების კონცეფცია (2009-2015 წლები)“.

აჭარის აგრარული სექტორის განვითარების კონცეფციის ძირითადი მიზანი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპებზე დამყარებული კონკურენტუნარიანი აგრარული სექტორის შემდგომი განვითარების მიზნით და მის საფუძველზე სოფლის მოსახლეობის

დასაქმების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეგიონის საექსპორტო პოტენციალის გადიდების, სურსათზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის აღდგენა-შენარჩუნების, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის, სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნათა კონიუნქტურის გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის და, ამ მხრივ, სამთავრობო უწყებების ერთობლივი ძალისხმევის კოორდინაციას პრობლემების გადაჭრის დაჩქარების ხელშეწყობისათვის. ერთ-ერთ ამგვარ პრობლემად კონცეფციის მიხედვით მიჩნეულია აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ნიადაგის დაცვის გაძლიერების და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება-ამოქმედება.

ევროკავშირის პოლიტიკა

ევროკავშირს არ გააჩნია ჰორიზონტალური კანონმდებლობა გაუდაბნოების/მიწების დეგრადაციის სფეროში, თუმცა ეს საკითხები წარმოადგენს ევროკავშირის ე.წ. „სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის“ ნაწილს.

ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნო პოლიტიკა

ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (CAP) მიზანია:

- სურსათის სტაბილური მიწოდება მისაღებ ფასად;
- ფერმერებისთვის ღირსეული ცხოვრების სტანდარტის უზრუნველყოფა;
- ტექნიკური პროგრესის გზით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაყოფიერების გაზრდა.

ტექნიკური პროგრესი ყოველთვის იყო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ერთერთი მთავარი მიმართულება. წლების განმავლობაში CAP-მა მრავალი ცვლილება განიცადა. ამჟამად მასში ასახულია ზრდისა და მეტი სამუშაო ადგილისკენ სწრაფვა, - და ძირითადი მოთხოვნები ინოვაციის, განათლების, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სხვა სფეროების მიმართ.

ყველა წევრი სახელმწიფო თანხმდება, რომ პოლიტიკა ერთიანი უნდა იყოს. CAP-ის განხორციელებაზე ევროკავშირის ბიუჯეტის სოლიდური ნაწილი იხარჯება (საშუალოდ, დაახლოებით 50 მლრდ. ევრო წლიურად). ამდენად, ეს პოლიტიკა ევროინტეგრაციის ერთერთი უძლიერესი მექანიზმია. ესაა სექტორი, სადაც ქვეყნების პოლიტიკა შეთანხმებულია და დიდწილად ევროკომისიის მიერ იმართება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სოფლის მეურნეობას საერთო ევროპული წარმოების შედარებით მცირე ნაწილი უკავია, ასეთი ყურადღება სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართ, მიანიშნებს, რომ მისი მნიშვნელობა ევროპისთვის შორს სცდება პროდუქციის მოცულობით გამოხატულ ფასეულობას.

ტიპური სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოცულობა, თითოეულ მომუშავეზე შემოსავლის დონე და წარმოებაში ჩართულ ადამიანთა რიცხვი მცირეა (საშუალო ევროპული ფერმის წლიური შემოსავალი დაახლოებით 35,000 ევროა), რაც მას კვლევების საკუთარი ძალებით ჩატარების საშუალებას არ აძლევს. კვლევებისთვის ევროგაერთიანება ჩარჩო პროგრამებში ითვალისწინებდა სახსრებს. ეს, წევრი ქვეყნების კვლევის პროგრამებთან ერთად, ევროკავშირში

კვლევის საჭირო დონეს ქმნიდა. კვლევის შედეგების ფერმერებამდე დაყვანა ევროკომისიის მთავარი საზრუნავია. სათანადო მექანიზმებს (სამსახურებს), რომელსაც მსოფლიოში ექსტენციის სამსახურებს უწოდებენ, ხოლო ევროკავშირში უფრო ხშირად მრჩეველთა სამსახურებს (*advicor services*), წევრი სახელმწიფოები და რეგიონული მთავრობები ქმნიან.

CAP თავდაპირველად კონცენტრირებული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდაზე, უხდიდა რა ფერმერებს სუბსიდიას წარმოების ზრდისთვის, მან შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. დროთა განმავლობაში CAP-მა ახალი როლი შეიძინა - გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სრულყოფილი სოფლის მეურნეობის, სურსათით თვითუზრუნველყოფის და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი ფუნქცია.

ასევე, ძლიერი ფაქტორი გახდა ევროკავშირის ვალდებულება შეამციროს ნახშირორჟანგის ემისია და ამ მიზნით გაზარდოს ბიოსაწვავის წარმოება (ეს საკითხი ევროკავშირის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასთანაცაა გადაჯაჭვული).

ამ მოთხოვნილებების შესაბამისად, 2001 წელს ევროკავშირის საბჭოს გიოტებორგის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება “..... საბჭო შეთანხმდა, რომ CAP თავის მომავალ განვითარებაში, სხვა მიზნებთან ერთად, წვლილს შეიტანს მდგრადი განვითარების მიღწევაში ჯანსაღ, მაღალი ხარისხის პროდუქტებზე, ეკოლოგიურად მდგრად წარმოების მეთოდებზე (ორგანული წარმოების ჩათვლით), განახლებად ნედლეულსა და ბიომრავალფეროვნების დაცვაზე ზრუნვის გაძლიერების გზით”. ეს ტენდენცია CAP-ში ინოვაციური მიდგომის გაძლიერებას ნიშნავს.

პოლიტიკის არსებითი რეფორმირება 2005 წლიდან დაიწყო. პირველ რიგში, ფერმერებისთვის პირდაპირი ფულადი დახმარება გაიმიჯნა პროდუქციის წარმოებისგან ანუ ფერმერს დახმარება კონკრეტული პროდუქტის წარმოებისთვის აღარ ეძლევა (ეს პროცესი მთლიანად დამთავრებული არაა). დაიწყო დახმარების გაცემა ფერმის გარკვეული სტანდარტებით (გარემოსდაცვითი, მათ შორის მიწის დეგრადაციის შემცირების ასპექტების გათვალისწინებით და სხვა) მოვლისა და შენახვისთვის, რამაც ფერმერების გარემოს დაცვითი საქმიანობა გააძლიერა. შესაბამისად გაძლიერდა ფერმერების მცდელობა ეწარმოებინათ ინოვაციური პროდუქტები, რადგანაც მათი გადაწყვეტილებები ბაზრის მოთხოვნილებაზე გახდა დამოკიდებული და არა ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების ფულად სტიმულირებაზე. CAP-ში გაძლიერდა, აგრეთვე, ხარისხიანი წარმოებისა და სტანადარტების გაუმჯობესების მხარდაჭერა. 2007 წლიდან პირდაპირი დახმარების შეკვეცის შედეგად გამოთავისუფლებული 1 მლრდ. ევრო წელიწადში გადამისამართებულ იქნა სოფლის განვითარების ამოცანებზე (მიწის მართვა, სოფლის ეკონომიკა, კონკურენტუნარიანობა).

სასოფლო სივრცეს (სადაც 1 კვ. კილომეტრზე 150 ადამიანზე ნაკლები ცხოვრობს) ევროკავშირის ტერიტორიის 90% უკავია და იქ მოსახლეობის დაახლოებით 50% ცხოვრობს. რა თქმა უნდა, სოფლის განვითარების ცენტრალური საკითხი კვლავ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაა. მაგრამ, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალური განსხვავების შემცირებისთვის (რაც გამოიხატება შემოსავლებში საგრძნობი განსხვავებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობით და სხვა), არანაკლებ მნიშვნელოვანია სოფლად მომსახურებისა და წარმოების განვითარება. შემუშავდა ე. წ. “ერთი გადახდის სქემა” რომლის თანახმად, ფერმერი თანხას მიწისა და, საზოგადოდ, გარემოს გარკვეული მოთხოვნების შესაბამისად მოვლა-პატრონობის სანაცვლოდ ღებულობს.

აღნიშნული სტანდარტების დაცვა საკმაოდ რთულია. საკმარისია ითქვას, რომ მოთხოვნები ევროკავშირის 19 დირექტივისა და რეგულაციის შესაბამისადაა ჩამოყალიბებული. ის ეხება გარემოს დაცვას; ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების სიჯანსაღეს; ცხოველებისთვის არსებობის პირობებს; სურსათის უსაფრთხოებას. ძნელი წარმოსადგენია წარმოების სხვა სფერო, რომელშიც მეწარმეს ერთდროულად ამდენ პირობას უყენებენ, როგორც სოფლის მეურნეობაში. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა გარემოს ძლიერი დაბინძურების წყაროა. სათბურის გაზის ატმოსფეროში გაფრქვევის 30% მეტი მიწის დამუშავების შედეგია. კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესარბილებელი ზომების დაგეგმვისას ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა. ძირითადი ზომები (სტრატეგიები) ასეთია: ნიადაგის ნახშირბადით გამდიდრება; მრავალწლიანი მცენარეების კულტივაცია; კლიმატის დამზოგი მეცხოველეობა; საარსებო გარემოს გავრცელების დაცვა; დეგრადირებული წყალშემკრებებისა და საძოვრების აღდგენა. ფერმერებისთვის ფინანსური და ტექნოლოგიური/ტექნიკური დახმარების გარეშე ამ მრავალრიცხოვან გამოწვევებთან გამკლავება გაძნელდება.

ზემოაღნიშნული პირობების უკეთ შესრულებისთვის CAP-სთვის განკუთვნილი სახსრების ნაწილი, იხარჯება ფერმების სავალდებულო კონსულტირების სისტემის შექმნაზე, რომელიც ფერმერებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ტექნოლოგიებით შეუძლიათ მათ შეასრულონ მოთხოვნილი პირობები. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების თანახმად კონსულტირების სამსახურების შექმნა ეროვნული მთავრობების სავალდებულო ამოცანაა, რომელსაც ევროკომისია მხოლოდ აფინანსებს. ამავე დროს, ეს სამსახურები როგორც ქვეყნისა და რეგიონის, ასევე ევროკავშირის საინოვაციო სისტემების ნაწილია. ფერმერებისთვის საკონსულტაციო სამსახურების განვითარება, თუმცა, ევროკავშირის დონეზე არ არის ცენტრალური საკითხი. ამ სამსახურების განვითარება უპირატესად ეროვნული და ადგილობრივი საინოვაციო პოლიტიკების საზრუნავია.

ცალკე აღსანიშნავია სოფლის განვითარების პროგრამები. სოფლის განვითარების პროგრამებში ვლინდება CAP-ის ევროინტეგრაციული როლის კიდევ ერთი მხარე — ევროპის რეგიონებს, სოფელსა და ქალაქს შორის უთანასწორობის აღმოფხვრა. სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობა. იგი, ერთი მხრივ, ამ უკანასკნელის გაფართოებაა, ხოლო მეორე მხრივ, მისი მდგრადი არსებობისა და განვითარების გარანტია. ადგილობრივ და ეროვნულ მთავრობებს აქვთ საშუალება სოფლის განვითარების საკუთარი პროგრამებისთვის ევროკავშირის ინსტრუმენტების ფართო სპექტრი გამოიყენონ.

ზემოჩამოთვლილი მიმართულებები, ფართო გაგებით, ინოვაციური საქმიანობის წახალისებას ემსახურება. მათი მრავალი კომპონენტი ესადაგება ევროკავშირის რეგიონული განვითარების ამოცანებს, რომელსაც ე. წ. სტრუქტურული ფონდები აფინანსებენ. იშვიათი გამონაკლისების გარდა, ფერმერები დახმარებისთვის მიმართავენ არა ევროკომისიას, არამედ სათანადო ეროვნულ სააგენტოებს (მათ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახელები აქვთ), ან მათ მიერ ავტორიზებულ ორგანიზაციებს. ესენი სახსრებს სამი წყაროდან იღებენ: ეროვნული მთავრობა; ევროპული სასოფლო-სამეურნეო გარანტიების ფონდი - ფერმერებისთვის გადახდის სქემების ფუნქციონირებისთვის; სოფლის განვითარების სასოფლო-სამეურნეო ფონდი - სოფლის განვითარების პროგრამებისთვის.

სოფლის განვითარების საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული, აგრეთვე, ტყესთან და მეტყეველობასთან, რომელთა განვითარება სატყეო მეურნეობის სამოქმედო გეგმის მიხედვით წარმოებს. გეგმა მეტყეველობასა და ტყესთან დაკავშირებული წარმოების ინოვაციურ, კვლევაზე

დაფუძნებულ განვითარებას გულისხმობს გარემოს, განახლებადი ენერგიის, ახალი პროდუქტების ჭრილში. ფერმერების უმთავრესი ტრადიციული ამოცანაა საკვების წარმოება. ამჟამად, ევროკავშირის ქვეყნებში საკვების წარმოების მეთოდები მაღალი ხარისხით არის დაკავშირებული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებთან, რათა საკვების საკმაო რაოდენობა მისაწვდომ ფასად აწარმოონ.

3.1.3. ინსტიტუციური მოწყობა

საქართველოში მიწის რესურსების მდგრადი მართვის (მათ შორის გაუდაბნოებასთან ბრძოლის/მიწების დეგრადაციის, ნიადაგების დაცვის, გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების) საკითხებთან პირდაპირ მიმართებაში მყოფი ერთიანი სტრურტურების და დაწესებულებების კომპეტენციები უნდა გაუმჯობესდეს.

ამასთან ერთად, არსებობენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც პასუხს აგებენ მიწის რესურსების მართვის ცალკეულ საკითხებზე - გაუდაბნოებას-თან ბრძოლის/მიწის დეგრადაციის, ნიადაგების დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

გარდა ამისა, არსებობენ სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, სრულ ან ნაწილობრივ საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ, როგორც ზოგადად მიწის რესურსების მდგრადი მართვის, ასევე გაუდაბნოებასთან ბრძოლის/მიწის დეგრადაციის, ნიადაგების დაცვის, გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების საქმეში.

მიმდინარე ეტაპზე სწორედ ზემოაღნიშნულ სტრუქტურებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის კოორდინაციის ეფექტური მექანიზმის შექმნა წარმოადგენს მიწის რესურსების მდგრადი მართვის აუცილებელ პირობას.

არსებული ინსტიტუციონალური მოწყობა (ძირითადი უწყებები და დაწესებულებები)

ეროვნულ დონეზე

უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება

საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტს გააჩნია უფლებამოსილებათა გარკვეული წრე, რომელიც მნიშვნელოვნად შეიკვეცა 2013 წლის მეორე ნახევარში ძალაში შესული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად.

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო

პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს მთავრობა

საქართველოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური უწყებების უფლებამოსილებები და ფუნქციები განისაზღვრება „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამავე კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესასრულებლად ხდება აღნიშნული უწყებების დებულებათა დამტკიცება.

მთავრობა კოორდინაციასა და კონტროლს უწევს სამინისტროების საქმიანობას. იგი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს სამთავრობო პროგრამით, რომელსაც ნდობას უცხადებს საქართველოს პარლამენტი.

თუ საკითხი, რომელიც კანონით გადაცემულია აღმასრულებელი ხელისუფლების გამგებლობაში, არ მიეკუთვნება არც ერთი სამინისტროს გამგებლობის სფეროს, მასზე გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

მთავრობის საქმიანობის პროგრამულ ნაწილს მიეკუთვნება ის კომპეტენციები, რომლებიც მთავრობას საბიუჯეტო და აგრეთვე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის სფეროში გააჩნია. აღნიშნული მიმართულებებით მთავრობა შეიმუშავებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას.

გარდა ამისა, მთავრობა სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და სხვა სფეროებში ამტკიცებს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას.

ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით სხვადასხვა სფეროში მთავრობისთვის მინიჭებულ კომპეტენციათა შორის აღსანიშნავია გარემოს დაცვის სფეროსთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა კომპეტენციაც - კერძოდ, გარდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფისა, ასევე, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ორგანიზების კომპეტენცია.

ხსენებული კანონით დადგენილი არ არის მთავრობის კომპეტენციები, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სფეროსთან მიმართებაში. გარემოს დაცვის სფეროში, მთავრობის კომპეტენციათა კანონში, პირდაპირი ინტეგრირება წარმოადგენს ამავე სფეროში კონსტიტუციური ნორმების[22] გავლენას და არა, მაგალითად გარემოს დაცვის სფეროს პრიორიტეტულობის საკანონმდებლო დონეზე აღიარებას სოფლის მეურნეობის ან რომელიმე სხვა (ამავე კანონით გაუთვალისწინებელ) სფეროსთან მიმართებაში.

[22] იხ. გარემოს დაცვის სფეროში კონსტიტუციური ნორმების თაობაზე - პროექტის ფარგლებში მომზადებული პოლიტიკისა და კანონმდებლობის ანალიზის ნაწილი - აგრობიომრავალფეროვნებასა და კლიმატის ცვლილების საკითხებთან მიმართებაში.

ამგვარად, საქართველოს მთავრობა, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის („ს“ და „ტ“ ქვეპუნქტების) საფუძველზე, უფლებამოსილია მიიღოს (დაამტკიცოს ან მოიწონოს) გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროებში[23] პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები (მაგ., სტრატეგია, მოქმედებათა გეგმა, პროგრამა, კონცეფცია და ა.შ.) - გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მსგავსი დოკუმენტების/საკითხების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლობის მიხედვით მიეკუთვნება რომელიმე სამინისტროს გამგებლობის სფეროს.

რაც შეეხება მთავრობის როლს სოფლის მეურნეობის სფეროში, ის განსაზღვრულია დღეის მდგომარეობით ნომინალურად მოქმედ საქართველოს მთავრობის მიერვე 2012 წლის 28 მარტის N566 განკარგულებით მიღებულ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის (2012-2022) დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სოფლის მეურნეობა - შეიცვალა რა სახელმწიფოსა და ფერმერს შორის ურთიერთობა - თუ გეგმური ეკონომიკის პირობებში გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო იყო, დღეს მთელი პასუხისმგებლობა თავად ფერმერს ეკისრება.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის მიხედვით სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო აღარ არის გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი, თუმცა გარდამავალ პერიოდში მას კვლავ რჩება აგრარულ სფეროში ძირითადი კურსის განმსაზღვრელის ფუნქცია და აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ვალდებულია გაატაროს ყველა ღონისძიება, რათა ფერმერი უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციით, რომელიც მას სწორი ნაბიჯების გადადგმაში დაეხმარება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა უშუალოდ არ უნდა ჩაერიოს საბაზრო პროცესებში, თუმცა მან უნდა უზრუნველყოს შემდეგი მომსახურებების მიწოდება: სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა (თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრები, მელიორაციის სისტემები და სხვ.); ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა; და საინფორმაციო მასალა და სტატისტიკური მონაცემები.

ზოგადად, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, სახელმწიფოს ამოცანაა შექმნას ხელსაყრელი ბიზნესგარემო, სამართლებრივი სისტემა და ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი. მან უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ბარიერები საგარეო ვაჭრობაში და დაცული იყოს ქართული პროდუქტის იდენტობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ. საქართველოს მთავრობა მის როლს სოფლის მეურნეობაში, მთლიანობაში, განიხილავს ქვეყნის ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონტექსტში - მათ შორის, და პირველ რიგში, რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების კონტექსტში.

ცენტრალური უწყებების როლი მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის, სოფლის მეურნეობისა და სხვა თანამდევ სფეროებში

გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და სხვა თანამდევ სფეროებში ძირითადი კომპეტენციები ცენტრალური უწყებების დონეზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროებზეა გადანაწილებული. ამასთან, მთელ რიგ სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს ამავე სფეროებში ფაქტობრივად გააჩნიათ დამხმარე ინსტიტუციების მნიშვნელოვანი ფუნქციები.

[23] თავის მხრივ, ზემოაღნიშნული მიმართულებები, ფართო გაგებით, მოიცავენ აგრეთვე ბიომრავალფეროვნების (მათ შორის აგრობიომრავალფეროვნების) და კლიმატის ცვლილებისა და მის მიმართ ადაპტაციის საკითხებსაც.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები გარემოს დაცვის სფეროში (მათ შორის გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის საკითხებთან მიმართებაში) განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება 2013 წლის დასაწყისში მთავრობის ინსტიტუციონალური რეფორმის განხორციელების მიზნით მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, ძირითადად - „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული კანონით განისაზღვრა ის ფუნქციები, რომლებიც ამ კანონის მიღებამდე არსებული საქართველოს გარემოსა დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროს კომპეტენციების სფეროს განეკუთვნებოდა, ხოლო კანონის მიღების შემდგომ კი გადანაწილდა ერთი მხრივ, ახლადფორმირებულ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სოფლის მეურნეობის და იუსტიციის სამინისტროებს შორის, მეორე მხრივ, სხვა უწყებებს (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) შორის.

სამინისტროს დებულება ინტეგრირებული სახით ასახავს სამინისტროს ყველა იმ ფუნქციასა და კომპეტენციას, რომლებიც სამინისტროს გამგებლობისთვის არის მიკუთვნებული დღეისათვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით.

დებულების მიხედვით შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული სამინისტროს საქმიანობის ამოცანები და კომპეტენციები, რომელთაც პირდაპირი ან ირიბი მიმართება გააჩნიათ გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და სხვა თანამდევ საკითხებთან.

გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის საკითხებთან დაკავშირებული სამინისტროს სტრუქტურუ-ლი ქვედანაყოფია მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური.

ამავე სფეროსთან უშუალოდ დაკავშირებულია აგრეთვე სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოს ეროვნული სააგენტო.

მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური

მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) მიწის რესურსებისა და წიაღის მდგრადი მართვის და მიზნობრივი გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ბ) გაუდაბნოების, მიწის დეგრადაციის პროცესის შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;

გ) საშიში ნივთიერებებითა და ნარჩენებით დაბინძურებული მიწების მონაცემთა ბაზის შექმნა;

დ) ნიადაგის დეგრადაციისა და დაბინძურების შეფასების სისტემების ჩამოყალიბება, კომპეტენციის ფარგლებში ნიადაგების ნაყოფიერების მდგომარეობაზე დაკვირვებისა და სათანადო გამოკვლევების საფუძველზე ყოველწლიური და პერსპექტიული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;

სამსახურს არ გააჩნია საზედამხედველო ან/და მაკონტროლებელი უფლებამოსილებები. მაკონტროლებელი და საზედამხედველო ფუნქცია აქვს სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის საკითხებთან ფუნქციონალური მიმართება გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - გარემოს ეროვნულ სააგენტოს[24], რომლის მიზნები და ამოცანები, სხვასთან ერთად, მოიცავს:

- ბუნებრივი და ანთროპოგენური კატასტროფების, მათ შორის გაუდაბნოების და მიწის დეგრადაციის პროცესების შერბილების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას და მათი განხორციელების კოორდინაციას.

- კომპეტენციის ფარგლებში ნიადაგის ეროზია-დეგრადაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგს.

სააგენტოს ფუნქციონალური დანიშნულების სტრუქტურული ქვედანაყოფებია: ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი; გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი და გეოლოგიის დეპარტამენტი.

მთლიანობაში, გარემოს ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია პირდაპირი კანონისმიერი ვალდებულება აწარმოოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის სისტემური მონიტორინგი ან/და სისტემური დაკვირვებები და ანალიზი. აღნიშნულ სფეროებში გარემოს ეროვნული სააგენტოს საქმიანობა არასრულ, ფრაგმენტულ და არასისტემურ ხასიათს ატარებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს საკვანძო უწყებას სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სფეროში.

სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის კონსერვაციისა და აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დარგები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელებისათვის. მას გააჩნია ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი ვალდებულებები დაავადებათა კონტროლის, სასურსათო უსაფრთხოების, სასურსათო პროდუქტების უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობის, მცენარეთა დაცვის, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის, სამეცნიერო კვლევების და ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების სფეროში.

[24] სააგენტოს დებულება დამტკიცებულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №27 ბრძანებით.

სამინისტრო აღნიშნულ ვალდებულებებს ახორციელებს თავად ან თავის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების მეშვეობით.

სამინისტროს, თავისი დებულებიდან გამომდინარე, აქვს შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- სოფლის მეურნეობის დარგის სტრატეგიის შემუშავება;
- სოფლის მეურნეობის დარგის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან მათ მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- ქვეყანაში აგრარული რეფორმების განხორციელება ქვეყნის ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;
- ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის გადამუშავებისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;
- აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;
- სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა;
- ქვეყანაში ბიოაგროწარმოების ხელშეწყობა;
- საექსპორტო პოტენციალის გამოყენების, საერთაშორისო ბაზარზე პოზიციების მოპოვებისა და განმტკიცებისათვის ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოება-რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების გავრცელებისათვის ხელშეწყობა;
- შიდა და გარე ბაზრების მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი;
- სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტების სამეცნიერო-საკონსულტაციო მომსახურების, პროფესიული ცოდნის დაუფლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებისათვის ხელშეწყობა;
- ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისათვის ხელშეწყობა, თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და საერთაშორისო პროგრამების მართვა;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემა და სანებართვო-სალიცენზიო პირობების შესრულების ზედამხედველობა;
- კომპეტენციის ფარგლებში საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის ხელშეწყობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ტექნიკური რეგლამენტების პროექტების მომზადება/მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობა;
- დარგების მიხედვით პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- კომპეტენციის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისათვის ხელშეწყობა;

- პესტიციდების, აგროქიმიკატების, ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშების გამოცდის და ექსპერტიზის ორგანიზება და რეგისტრაცია კომპეტენციის ფარგლებში.
- ქვეყნის ტერიტორიის დაცვა სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ობიექტების შემოღწევისაგან;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და ტექნოლოგიების განახლებისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების საჭიროების პროგნოზირება და მათი ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენებისათვის ხელშეწყობა.
- მემცენარეობის და მეცხოველეობის საქმიანობის ხელშეწყობა;
- მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება კომპეტენციის ფარგლებში.

სამინისტროს ექვემდებარებიან მისი სტრუქტურული ერთეულები და მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული შემდეგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

ა) ღვინის ეროვნული სააგენტო;
ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია;
გ) სურსათის ეროვნული სააგენტო.
დ) სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი;
ე) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.

სამინისტროს გააჩნია ტერიტორიული ორგანოები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებისა და ზოგადად, სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო მიწის მართვის პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ვინაიდან სწორედ ეს სამინისტრო წარმართავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზაციის პროცესს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება: რეგიონული განვითარების პოლიტიკა, საქართველოში წყლით უზრუნველყოფის განვითარების, მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

სოფლის მეურნეობის სფეროში კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, საჭიროა, რომ ფერმერებს ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის ინფრასტრუქტურაზე, რაზეც კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად მუშაობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის სამინისტრო. საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს შორის. თანამშრომლობა ძირითადად ეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მიმართულებით.

ინფრასტრუქტურის განვითარება არის ის ძირითადი ფაქტორი, რომელმაც სოფლად მცხოვრები ადამიანი შეიძლება თანაბარ კონკურენტულ მდგომარეობაში ჩააყენოს ქალაქის მცხოვრებთან მიმართებაში, და გაზარდოს მისი შრომის პროდუქტიულობა.

ამ მიმართულებით ინფრასტრუქტურის განვითარება ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი საკითხების გადაწყვეტას:

- დამაკავშირებელი შიდა გზების განვითარება;
- წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, ნარჩენების გადამუშავება;
- ნაპირდაცვითი სამუშაოები და სხვა სახის ინფრასტრუქტურა, რომელიც შეამცირებს ბუნებრივი კატასტროფების და სტიქიების რისკებს;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით ახდენენ სახელმწიფო ასიგნაციების ოდენობების განსაზღვრას და არსებული საშუალო-ვადიანი პროგრამების მომზადებას. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის წამყვანი უწყება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან ფინანსური რესურსების მოზიდვის კუთხით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის გამტარებელი სტრუქტურის როლი დიდია გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო რესურსების მობილიზებაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მიწის რესურსების მდგრადი მართვისა და აგრარული დარგების წინსვლის წინაპირობა მთლიანად ეფუძნება კვალიფიციური პერსონალის არსებობასა და ფერმერთა სამეწარმეო უნარების დონის ამაღლებას. ამ კუთხით შესაბამისმა სამინისტროებმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განახორციელონ მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია, რათა გაუმჯობესდეს დარგში ცოდნის დონე. აღნიშნულმა სამინისტროებმა ასევე ერთობლივად უნდა იმუშაონ მიწის რესურსების მდგრადი მართვისა და აგრარულ სექტორში უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირების, ასევე კვლევითი და ექსტენციის ცენტრების განვითარების პროცესში.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

აღმასრულებელ ხელისუფლების სისტემაში საქსტატი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების, ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მიწის რესურსების მდგრადი მართვისა და სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტ სტატისტიკურ მონაცემებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ამჟამად აგროვებს და აქვეყნებს ამ სფეროებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან მონაცემებს, რომლებიც მოიცავს ისეთ პუბლიკაციებს, როგორიცაა გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები, საოჯახო მეურნეობათა ანალიზი, სასოფლო-სამეურნეო აღწერა, „საქართველოს სოფლის მეურნეობა" – ყოველწლიური პუბლიკაცია, საქსტატის კვარტალური ბიულეტენი, საქსტატის წელიწდეული, „სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა" – სტატისტიკური ბიულეტენი და სხვ. შეკრებილი მონაცემები ფარავს შემდეგ სფეროებს: გარემოს დაცვას და ბუნებრივ რესურსებს, დასაქმებას, კვებას, სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებს, გამოყენებული მიწის ფართობს ჰექტარებში, წარმოებას, შინაური საქონლის რაოდენობას, ფერმების მოცულობას, საგარეო ვაჭრობას, სასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფას და მთლიან შიდა პროდუქტს. სოფლის მეურნეობის დარგში სტატისტიკური მონაცემების შემუშავების მეთოდოლოგიის დახვეწის მიზნით იგეგმება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომი გაუმჯობესება.

დამხმარე ინსტიტუტები

სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები

საქართველოს გააჩნია სასოფლო-სამეურნეო განათლების სისტემა, რომელიც ძირითადად საუნივერსიტეტო ფაკულტეტების საშუალებით მთელ სისტემას ხელმძღვანელობას უწევს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხისმგებელია სასწავლო პროგრამების შედგენასა და განხორციელებაზე. აგრარული განათლების მიზანი უნდა იყოს ყოვლისმომცველი და დინამიური საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც ბაზარს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრებით მოამარაგებს.

ბოლო წლებში საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მთელი რიგი რეფორმები განხორციელდა. თუმცა, განათლების სისტემის ყველა სეგმენტს თანაბრად არ შეხებია რეფორმა. სასოფლო-სამეურნეო განათლება სწორედ ასეთი სეგმენტია, რომელიც ჯერ კიდევ შორსაა დასავლური სტანდარტებისგან და განვითარებასა და მხარდაჭერას საჭიროებს.

აგრარულ სექტორში წარმატების მიღწევა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ადამიანური რესურსების ბაზრის გაუმჯობესებაზე. საქართველოს აგრარული სექტორი საჭიროებს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებს, რომლებსაც ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გააჩნიათ. ამასთან დაკავშირებით, 2011 წლის 4 თებერვალს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიზანია უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში

აქტიური თანამშრომლობა. ასევე იგეგმება ურთიერთობების გაღრმავება სხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

სოფლის მეურნეობის სტრატეგიის მიხედვით სამეცნიერო კვლევების მიმართულებით სოფლის მეურნეობის სფეროში კვლევების შემდგომ განვითარებას ორი ძირითადი მიზანი შეიძლება გააჩნდეს:

- ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრა;
- უცხო ქვეყნებში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების შესწავლა და ქართველი ფერმერებისა და მეწარმეების მიერ მათი დანერგვა.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი აკადემიური (სამეცნიერო-კვლევითი) დაწესებულებები დღეისთვის თითქმის მთლიანად საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არიან მოქცეული და ისინი ნომინალურად უნივერსიტეტის ე.წ. „სტრუქტურულ ერთეულებს“ წარმოადგენენ. დღეისათვის, აღნიშნულ კვლევით დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა მუდმივი საშტატო რიცხოვნობა საშუალოდ 3-4 თანამშრომელს შეადგენს[25].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 მარტის №136 დადგენილების[26] საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი რეორგანიზებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად – საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტად. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დამფუძნებლებად განისაზღვრენ სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროთი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდი. უფრო ადრე, საქართველოში აგრარული მეცნიერების განვითარების, აგრარულ განათლებაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კვლევის მეთოდების დანერგვის მიზნით საქართველოს მთავრობასა და „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდს“ შორის გაფორმებული იქნა 2011 წლის 16 მარტის „საქართველოს აგრარული განათლების და მეცნიერების განვითარების შესახებ“ შეთანხმება.

2011 წლის 30 მარტს, საქართველოს მთავრობასა და „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდს“ შორის გაფორმებული ზემოთხსენებული შეთანხმების საფუძველზე, აგრარული უნივერსიტეტის დამფუძნებლების (სახელმწიფოს, წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროთი და აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდის) მიერ მიღებული იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ერთპიროვნულ დამფუძნებლად აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდის განსაზღვრის შესახებ. შესაბამისად, ამჟამად აგრარული უნივერისტეტის ერთპიროვნულ დამფუძნებელს წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი –

[25]ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, 2003 წლის შემდეგ საქართველოში გაუქმებული იქნა ნიადაგშემსწავლელი ორი ლაბორატორია, საგრძნობლად შემცირდა შესაბამის კვლევით დარგებში დაკავებულ მეცნიერთა რაოდენობა. რეფორმის შედეგად, ინსტიტუტებმა დაკარგა იურდიული სტატუსი, მათ გაუყიდეს შენობა ნაგებობები და დიდწილად განადგურებულ იქნა კვლევითი ბაზა.

26 საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 მარტის № 136 დადგენილება „საქართველოს აგრარული განათლებისა და მეცნიერების განვითარების ღონისძიებების შესახებ“.

„აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდი“[27]. თავის მხრივ, აღნიშნული ფონდი შეიქმნა 2011 წლის 15 მარტს და მის დამფუძნებელს წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ცოდნის ფონდი“.

2012 წლის თებერვალში აგრარულმა უნივერისტეტმა მოახდინა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შპს „აგრომეტის“ პრივატიზება[28]. თავის მხრივ, შპს „აგრომეტს“, რომელიც სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით 2011 წლის აპრილში შეიქმნა[29], შექმნის შემდგომ პერიოდში სახელმწიფოს მიერ გადაეცა რამოდენიმე ათეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი - ძირითადად ყოფილი სასწავლო-საცდელი და საცდელი მეურნეობები და ნაკვეთები, ასევე შენობა-ნაგებობები და სხვა ინფრასტრუქტურა (მათ შორის აგრარულ უნივერსიტეტში გაერთიანებული სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბალანსზე ადრე რიცხული მიწის ნაკვეთები და უძრავი ქონება).

შედეგად, აგრარული უნიერსიტეტი ამჟამად წარმოადგენს საკმაოდ ძლიერი მატერიალური ბაზის მქონე ორგანიზაციას, რომლის განკარგულებაში ფაქტიურად მოქცეულია სოფლის მეურნეობის სფეროში ადრე არსებული სასწავლო-საცდელი და საცდელ-ექსპერიმენტული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი ქვეყნის მთელი მასშტაბით (თუმცა, აღნიშნული ინფრასტრუქტურა მოითხოვს ძირეულ განახლებასა და რეაბილიტაციას). უნივერსიტეტი აღარ წარმოადგენს სახელმწიფოსთან სამართლებრივად და/ან ფინანსურად დაკავშირებულ სუბიექტს.

არასამთავრობო სექტორი

განსახილველ და თანამდევ სფეროებში საქართველოში მოქმედებს რამოდენიმე სპეციალიზირებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებსაც გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება და ტექნიკური შესაძლებლობები. მათგან ყველაზე ხანგრძლივი გამოცდილებით გამოირჩევიან: ბიომრავალფეროვნების დარგში - სახეობათა კონსერვაციის ცენტრი NACRES-ი, ხოლო აგრობიომრავალფეროვნებისა და ბიომეურნეობათა დარგში - ელკანა.

აგრარული რეფორმისა და სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა

ქვემოთ მოყვანილია სოფლის მეურნეობის განვითარების რეფორმის დღეის მდგომარეობით არსებული ინსტიტუციონალური სქემა. ამ სქემაში ცენტრალურ როლს ასრულებს 2013 წელს შექმნილი სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

---

[27]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების განხორციელებულმა პრივატიზაციამ აგრარული პროფილის კვლევითი ინსტიტუტების დიდი ნაწილის ექსპერიმენტალური ბაზა ხელმიუწვდომელი გახადა სახელმწიფო პროგრამების რეალიზებისათვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელს უწყობს აგრარული სექტორის უმაღლესი განათლების აღორძინების პროცესს და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა სათანადო პროფილის ფაკულტეტები.

[28]საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 4 აპრილის №1-1/492 ბრძანება შპს „აგრომეტის“

[29]საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 15 თებერვლის №15/02/03 განკარგულება „შპს „აგრომეტის“ 100%-იანი წილის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისთვის პრივატიზების შესახებ“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ინსტიტუციონალური სქემა (2014 წ.)



სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დააარსა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

სააგენტო ახორციელებს სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს და მართავს სხვადასხვა დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელ საწარმოებს.

სააგენტოს მისიაა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო ძირითადი ფუნქციებია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტების დაგეგმვა და მართვა და დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმოების მართვა.

რეგიონული და ადგილობრივი დონეები

<u>სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია</u>

„სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი არის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის წინაშე.

კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

- შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ინვესტიციების მოზიდვასა და რეგიონული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინირებით, სტიქიური მოვლენების, კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათი უარყოფითი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა ხელშეწყობის უზრუნველყოფა.
- შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

<u>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტები)</u>

2010 წლიდან დაწყებული თითოეულ მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოებდა სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის ჩამოყალიბება. 2013 წლისთვის აღნიშნული პროცესი თითქმის დასრულებული იყო, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურებში 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მოსალოდნელია ცვლილებები.

არსებული უწყებებისა და დაწესებულებების პოტენციალის შეფასება (მათ შორის იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება ეს პოტენციალი პროგრამულ და პოლიტიკის განმსაზღვრელ კომპლექსური სახის დოკუმენტებში მიწის მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის საკითხების ინტეგრირებისთვის აუცილებელი შესაძლებლობების დონეს).

ინსტიტუციონალური პოტენციალი - ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი დონეები

საქართველოში დღეისათვის არსებული ცენტრალურ სტრუქტუტურებს შორის კოორდინაცია საჭიროებს გაუმჯობესებას.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიწის დეგრადაციის საკითხებზე მთავარი პასუხსმგებელი რგოლი - მიწის რესურსების დაცვისა და წიაღის სამსახური ამჟამად მხოლოდ 4 საშტატო ერთეულს ითვლის.

რაც შეეხება აკადემიურ დაწესებულებებს - აგრარულ უნივერისტეტში გაერთიანებულ სასწავლო-კვლევით დაწესებულებებს, მათი ორგანიზაციული სტატუსი ერთობ მყიფე და არასტაბილურია. ამასთან, მათი დაფინანსებაც ასევე არასტაბილურია და დიდია კადრების

დენადობა. განსაკუთრებით თვალშისაცემია სამეცნიერო სფეროში ახალგაზრდა, მაღალკვალიფიციური კადრების სიმცირე.

მთლიანობაში, ცენტრალურ დონეზე დღეისთვის არსებული ინსტიტუციონალური პოტენციალი საკმარისი არ არის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავებისას, ამ დოკუმენტებში მიწის რესურსების მდგრად მართვასთან და გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირების მიზნით, დარგთაშორისი მიდგომის გამოყენების უზრუნველსაყოფად და აგრეთვე, ამავე სფეროში ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაციისათვის.

მიწის რესურსების მდგრად მართვასთან და გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხების დაგეგმვასა და პრაქტიკაში უკეთ ინტეგრირების მიზნით, აგრეთვე ამავე სფეროში დარგთაშორისი მიდგომის გამოყენების უზრუნველსაყოფად რეგიონულ და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე დღეისთვის არსებული ინსტიტუციონალური პოტენციალი საჭიროებს შემდგომ სრულყოფას და გაძლიერებას.

3.2. სტრატეგიული მიდგომები

სტრატეგიული მიდგომები და რეკომენდაციები კანონმდებლობასა და პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე

სტრატეგიული მიდგომები და რეკომენდაციები კანონმდებლობის სფეროში

გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან და სხვა თანამდევ საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები ძირითადად დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ამჟამად აღნიშნულ სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებით გათვალისწინებული ნორმები არ არის სრულყოფილად ინტეგრირებული შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებში - აღნიშნულ ფუნქციებს ნაწილობრივ კანონქვემდებარე ნორმატიული ან ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები ასრულებენ. რეალურად, გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან და სხვა თანამდევ საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები საქართველოს კანონმდებლობაში უმეტესად ასახულია არა კონკრეტული ქცევის წესების დამდგენი ნორმების სახით, არამედ ე.წ. ზოგადი ნორმა-პრინციპების სახით.

მიწის რესურსების მდგრად მართვასთან და მდგრადი სოფლის მეურნეობის სფეროში კანონმდებლობის ძირითად ხარვეზს წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში სისტემატიზირებული საკანონმდებლო ნორმატიული აქტის/ების არარსებობა.

აღნიშნული ხარვეზები მნიშვნელოვანია აგრეთვე განსახილველ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს არ გააჩნია მიწის რესურსების მდგრად მართვასთან, გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან და სხვა თანამდევ საკითხებთან დაკავშირებული სფეროებში პირდაპირი ე.წ. ჰორიზინტალური კანონმდებლობა - ეს სფეროები რეგულირდება ძლიერი ფინანსური ინსტრუმენტებისა და ევროკავშირის საერთო პოლიტიკის ფარგლებში

(ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, სასოფლო განვითარების ფონდი და სხვ.).

საკანონმდებლო ცვლილებები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მოთხოვნათა გათვალისწინებით

საქართველო წარმოადგენს გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების სფეროში მოქმედი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მხარეს, რაც მყარ სამართლებრივ საფუძველს ქმნის ქვეყნის შიდა კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემდგომი სრულყოფისათვის - აღნიშნული სფეროების ურთიერთგადამკვეთი საკითხების სამართლებრივი რეგულირების გზით.

შესაბამისად, საჭიროა მოხდეს ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების სფეროში მოქმედი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებით დადგენილი ნორმების იმგვარი ინტეგრირება, რომლებიც ორიენტირებული იქნება გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან და სხვა თანამდევ საკითხებთან დაკავშირებული უარყოფითი ზეგავლენის შემცირების უზრუნველყოფაზე. ამ მიზნით საჭიროა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები შევიდეს მოქმედ კანონმდებლობაში (საქართველოს კანონებში, „გარემოს დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ და სხვ.).

საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა მიწის რესურსების მდგრადი მართვის სფეროში

საჭიროა მიღებული იქნეს კონსოლიდირებული, ჩარჩო კანონის ტიპის, საკანონმდებლო აქტი მიწის რესურსების მდგრადი მართვის სფეროში, რომელიც მოახდენდა ამ სფეროსთან უშუალოდ დაკავშირებული ნორმების ფართო სპექტრის სისტემატიზაციას (მაგ., მიწის კოდექსი ან კანონი „მიწის შესახებ“).

მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების თავიდან აცილების ტერიტორიული დაგეგმარება, დაცვა, მართვა და მისი ინტეგრირება სივრცით-ტერიტორიული განვითარების კანონმდებლობასთან

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების თავიდან აცილების კუთხით აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ნორმების ინტეგრირება ერთი მხრივ დაცული ტერიტორიებისა და სატყეო მეურნეობის, ხოლო მეორე მხრივ არსებულ სივრცით-ტერიტორიული განვითარების კანონმდებლობაში.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების (მათ შორის მიწის რესურსების) ტერიტორიულ დაცვას ხანგრძლივი ისტორია აქვს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების კუთხით. ამ სისტემის განვითარებამ განსაკუთრებული დინამიზმი უკანასკნელი ათწლეულის პერიოდში შეიძინა და ყოველივე ამის შედეგად ამჟამად საქართველოს დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი ქვეყნის

ტერიტორიის დაახლოებით 7%-ს შეადგენს. დაცულ ტერიტორიებში მოქცეულია საქართველოს ტყეების საერთო ფართობის 8%-ზე მეტი.

აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების მე-6 კატეგორიიის - მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების შექმნას საქართველოში ადრეულ ეტაპებზე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების არარსებობის (ან ამ კატეგორიის მხოლოდ დეკლარირებული სახით არსებობის) გამო რიგ დაცულ ტერიტორიებს პრობლემები ექმნებათ; იგივე ითქმის ადგილობრივ მოსახლეობაზე – მათთვისაც პრობლემატურია უშუალო მოსაზღვრეობა იმ ტერიტორიებთან, სადაც იკრძალება ან იზღუდება გარკვეული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა.

იმისათვის, რომ ასეთმა ტერიტორიამ შეასრულოს ზემოთ ხსენებული უმთავრესი ფუნქციები იგი თავად უნდა ფუნქციონირებდეს მდგრადად, მისმა ბუნებრივმა ეკოსისტემებმა უნდა შეინარჩუნოს მდგრადი სტრუქტურა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენება უნდა წარმოებდეს ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ყოველივე ამისათვის საჭიროა, რომ აქ, ერთი მხრივ, დაინერგოს რესურსების (მათ შორის მიწის) მდგრადი გამოყენების მეთოდები, ხოლო, მეორე მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადგილობრივ მოსახლეობაზე ორიენტირებულ მდგრადი განვითარებისა და ალტერნატიული შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებულ საქმიანობას. მთლიანობაში მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები ქმნის ფართო შესაძლებლობებს ტურიზმის (კერძოდ აგროტურიზმისა და ეკოტურიზმის) წარმატებული განვითარებისთვის.

როგორც უკვე იყო აღნიშნული სივრცითი მოწყობის საკითხები საქართველოში რეგულირდება სივრცითი მოწყობისა და თანამდევ (გარემოს დაცვისა და სხვა) სფეროებში მოქმედი სამართლებრივი ნორმებით, რომლებშიაც, სივრცით-ტერიტორიული განვითარების საერთაშორისო დონეზე აღიარებული ნორმები და პრინციპებია ინტეგრირებული.

საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ დეცენტრალიზებული, პოლიცენტრული, მრავალფეროვანი და დაბალანსებული სივრცითი განვითარების მოდელის დანერგვისა და განხორციელების უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. კანონი განსაზღვრავს სივრცითი მოწყობის ძირითად ფუნქციას (ქვეყნის მდგრადი განვითარების, მისი კავკასიური, ევროპული და მსოფლიო ინტეგრაციის უზრუნველყოფის ფუნქცია) და ადგენს სივრცითი მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთაგან (ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და მენეჯმენტის პროცესთან მიმართებაში) უმნიშვნელოვანესი პრინციპები შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

- შეიქმნას დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების გაწონასწორებული სტრუქტურა, კერძოდ, თანაბარი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკოლოგიური და კულტურული განვითარების ტერიტორიული წინაპირობები;
- უნდა განვითარდეს განსახლების დეცენტრალიზებული და პოლიცენტრული სტრუქტურა;
- საქმიანობა ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების თვალსაზრისით უნდა იყოს სივრცით-ტერიტორიულად კონცენტრირებული და განვითარების ცენტრების სისტემაზე ორიენტირებული;
- დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებასთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს დასახლებათა ტერიტორიების განახლებასა და ინტენსიფიკაციას;

- უნდა განხორციელდეს რეგიონული და სუბრეგიონული კავშირების გეგმარებითი უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების სტრუქტურასთან; დაცული უნდა იქნეს პარიტეტულობა კომუნიკაციების ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით;
- სასოფლო დასახლებები უნდა განვითარდეს ინტენსიურად, ქალაქებთან თანაბარუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე;
- უნდა შენარჩუნდეს და განვითარდეს დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემა;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება და დაცვა;
- მაქსიმალურად უნდა შემსუბუქდეს ინფრასტრუქტურის გავლენა გარემოზე;
- ინფრასტრუქტურას უნდა ჰქონდეს პოზიტიური ეფექტი იმ ტერიტორიებისათვის, სადაც განთავსებულია;
- ხელი უნდა შეეწყოს მოწყვლადი ზონებისა და დეპრესიული რეგიონების გათანაბრებას;
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც განვითარების ერთ-ერთი მატერიალური საფუძველი;
- უნდა შენარჩუნდეს ისტორიული და კულტურული კავშირები;
- შენარჩუნებული და დაცული უნდა იქნეს კულტურული ლანდშაფტები მათი დამახასიათებელი ნიშნებით, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებით;
- უნდა შენარჩუნდეს და განვითარდეს რეკრეაციული დანიშნულების ტერიტორიები;
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საჯაროობა;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სხვადასხვა დარგობრივი გეგმების და დაგეგმვის სხვადასხვა იერარქიულ დონეებზე შესრულებული გეგმების თავსებადობა;
- ტერიტორიის სათანადო განვითარებისა და ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით ხელი უნდა შეეწყოს სახელმწიფო და კერძო სუბიექტების ინტერესების ურთიერთშეთანხმებას;
- ქვეყნის ტერიტორიის ცალკეული ნაწილების გამოყენება და განვითარება უნდა შეესაბამებოდეს სივრცითი მოწყობის საერთო პირობებსა და მოთხოვნებს, ასევე მთელი ტერიტორიის გამოყენება და განვითარება უნდა ითვალისწინებდეს მისი შემადგენელი ნაწილების განვითარების პირობებსა და მოთხოვნებს (ვერტიკალური და ჰორიზონტალური თანამშრომლობა).

სივრცითი მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპები გამოიყენება ტერიტორიების ბუნებრივ, ანთროპოგენურ და მენეჯმენტის პროცესთან დაკავშირებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ზოგადი მიზნების მისაღწევად. ეს მიზნებია:

- ტერიტორიების განვითარება იმგვარად, რაც ეკონომიკური და სხვა საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებით, ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით უზრუნველყოფს ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს არსებობას;
- ქვეყნის ტერიტორიაზე სრულყოფილი, თანაბარი საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს და პირობების შექმნა („თანაბარი შესაძლებლობების სივრცის“ შექმნა);
- ტერიტორიებისა და დასახლებათა დეცენტრალიზებული, პოლიცენტრული, მრავალფეროვანი და დაბალანსებული განვითარება;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სივრცით-ტერიტორიული წინაპირობების შექმნა;

- ფიზიკური და იურიდიული პირების, ადგილობრივი, რეგიონული და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთშეთანხმება ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების საკითხებში;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა და აღდგენა;
- ბუნებრივი რესურსებისა და ფასეულობების, მათ შორის, რეკრეაციული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და დაცვა;
- დასახლებათა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის ფორმირებისათვის საფუძვლის შექმნა;
- დარგობრივი განვითარების პროგრამებისა და დარგობრივი გეგმების ინტეგრაცია სივრცით-ტერიტორიული განვითარების პოლიტიკასა და გეგმებში.

სივრცითი მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპები და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ზოგადი მიზნები სრულად ესადაგება მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების თავიდან აცილების, მდგრადი სოფლის მეურნეობის მიზნებს და ამოცანებს.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით საჭიროა ცვლილებები და დამატებები იქნეს შეტანილი ერთი მხრივ დაცული ტერიტორიებისა და ტყის ფონდის მიწების მარეგულირებელ კანონმდებლობაში, ხოლო მეორე მხრივ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში.

სტრატეგიული მიდგომები და რეკომენდაციები პოლიტიკის სფეროში

ვინაიდან პოლიტიკის განმსაზღვრელ ეროვნულ თუ რეგიონულ დოკუმენტებს გააჩნიათ სუსტი კავშირი მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების თავიდან აცილების საკითხებთან, საჭიროა შემუშავებული იქნეს პოლიტიკის განმსაზღვრელი კომპლექსური ხასიათის დოკუმენტები (მიზნობრივი და თემატური პროგრამები, მოქმედებათა გეგმები და სხვ.)

დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებისა და დარგთაშორისი მიდგომების გამოყენების უზრუნველსაყოფად საჭიროა შემუშავებულ იქნეს მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების თავიდან აცილების დაგეგმარების სახელმძღვანელო (მეთოდური მითითებები), რომელშიაც გაშუქებული უნდა იყოს დაგეგმარებისთვის აუცილებელი ყველა ძირითადი ელემენტი (იხ. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩანართი 2).

ჩანართი 2. დაგემარების სახელმძღვანელო (მეთოდური მითითებები) პოლიტიკის განმსაზღვრელი კომპლექსური ხასიათის დოკუმენტებში (მიზნობრივი და თემატური პროგრამები, მოქმედებათა გეგმები და სხვ.) მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების თავიდან აცილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებისა და დარგთაშორისი მიდგომების გამოყენების სფეროში

სარეკომენდაციო ფორმატი და საკითხთა ჩამონათვალი

1. შესავალი ნაწილი
1.1. პოლიტიკის განმსაზღვრელი კომპლექსური ხასიათის დოკუმენტების დაგეგმარების პროცესი და დარგთაშორისი მიდგომები
1.2. დაგეგმარების სფეროში ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე
1.3. დაგეგმარების სახეები და ზოგადი მეთოდოლოგია

2. ზოგადი ნაწილი
2.1. მიწის მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და თანამდევი ძირითადი ცნებები
2.2. მიწის მდგრადი მართვის პრინციპები
2.3. გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის ელემენტები
2.4. ბიომრავლეფეროვნების და კლიმატის ცვლილების ელემენტები
2.5. მდგრადი სოფლის მეურნეობა და სასურსათო უსაფრთხოება და მასზე მოქმედი ფაქტორები

3. ძირითადი ნაწილი
3.1. მიწის მდგრადი მართვისა და გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის მიმართება ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების საკითხებთან
3.2. მიწის მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის ეტაპები (კომპონენტებისა და ძირითადი ელემენტების მიხედვით)

4. საცნობარო მასალა (პრაქტიკული მაგალითები და ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაცია)
4.1. საცნობარო მასალა დაგეგმარების პრაქტიკული მაგალითებით
4.2. ტექნიკურ-ეკონომიკური ხასიათის საცნობარო ინფორმაცია - მიწის მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის, ბიომრავალფეროვნების, კლიმატის ცვლილების, მდგრადი სოფლის მეურნეობისა და სხვა თანამდევ სფეროებში
4.3. ნორმატიული აქტების სარეკომენდაციო ჩამონათვალი
4.4. ლიტერატურის სარეკომენდაციო სია

5. გრაფიკული ნაწილი
5.1. რუკები

სტრატეგიული მიდგომები და რეკომენდაციები დარგთაშორისი მიდგომისა და კოორდინაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის სფეროში

დარგთაშორისი მიდგომის ეფექტური დანერგვისთვის საჭიროა სამართლებრივ დონეზე ნათლად გამოიკვეთოს უწყებების საკოორდინაციო ფუნქციები.

4. მეცნიერება, ტექნოლოგია და ცოდნა

საქართველოში სამეცნიერო კვლევების წარმოებას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. გასული საუკუნის 30-იან წლებში ქვეყანაში ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაარსდა, რომლებიც სრულად მოიცავდა ჰუმანიტარულ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებს. იმავდროულად საფუძველი ჩაეყარა გარემოს მონიტორინგის სისტემის შექმნას და კვლევის მეთოდების დანერგვას. ქვეყანა მთლიანად დაიფარა ჰიდრომეტეოროლოგიური საგუშაგოების ქსელით.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მნიშვნელოვნად შეფერხდა გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო. რამაც მკვეთრად შეამცირა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აქტივობა. თითქმის მოიშალა მონიტორინგის სისტემა - დღეისათვის მხოლოდ რამოდენიმე ჰიდრომეტეოროლოგიური საგუშაგო ფუნქციონირებს.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში წლების მანძილზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევები, პრაქტიკაშიც ფართოდ ინერგებოდა. ტარდებოდა სამუშაოები ნიადაგის გენეზისისა და კლასიფიკაციის საკითხების დასაზუსტებლად, ნიადაგში მიმდინარე პროცესების, აგროსაწარმოო და ხარისხობრივი მაჩვენებლების, კახეთის ურწყავი შავმიწა (ბარის) ჩვეულებრივი ქვეტიპის, სამხრეთ საქართველოს მთის შავმიწები, ასევე ქართლის სარწყავი ბარის შავმიწა, მდელოს ყავისფერი და რუხი ყავისფერი ნიადაგების შედგენილობა-თვისებებისა და რეჟიმული მაჩვენებლების (ტენი, ტემპერატურა, ნახშირორჟანგა გაზის შემცველობა), გრუნტის წყლის რეჟიმულ ცვალებადობასა და ნიადაგის გრუნტის დამლაშება-დაჭაობებაზე მორწყვის გავლენის, ნაყოფიერების შემზღუდველი ფაქტორების (დაწიდულობა, დაქვიანება, ბიცობიანობა, მაღალი ჰიდრომორფიზმი) გამოვლენის შესასწავლად და სხვ.

კვლევების შედეგების საფუძველზე შედგენილია სხვადასხვა სახის რეკომენდაციები, რომლებიც შეტანილია მეთოდურ მითითებაში: რთული სასუქების გამოყენების შესახებ მარცვლეულ და ბოსტნეულ კულტურებში (1985 წ.) და „აგროქიმიკოსის ცნობარ“-ში (1986 წ.).

შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების გაუმჯობესებისა და დამუშავების საკითხები; შედგენილია დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების მსხვილმასშტაბიანი ნიადაგურ-მელიორაციული რუკა, დამუშავებულია მელიორირებული ნიადაგების ნაყოფიერებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსი.

კვლევების საფუძველზე შედგენილია ნიადაგის ეროზიისაგან დაცვისა და მისი ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის გამიზნული რეკომენდაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბროშურების სახით, ასევე დაიბეჭდა „საქართველოს მიწათმოქმედების სისტემაში“ (1984 წ.) და „სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემაში“ (1986 წ.).

ჩატარებულია მსხვილმასშტაბიანი (1:50 000) ნიადაგეროზიული დარაიონება, შედგენილია რელიეფის დაქანების, დანაწევრებისა და ეროზიის ადგილობრივი ბაზისის რუკები. გამოყოფილია ეროზიული პროცესების განვითარების ინტენსივობისა და ეროზიის სახეების გავრცელების ერთგვაროვანი ფართობები; შესწავლილია სხვადასხვა ხარისხით ეროზირებული ნიადაგების აგროსაწარმოო მაჩვენებლები.

სამეცნიერო, საპროექტო დაწესებულებებსა და ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტში ჩატარებული კვლევების საფუძველზე შედგა საქართველოში 1981-1990 წლების და 2000 წლამდე პერიოდისათვის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გენერალური სქემა.

კვლევების საფუძველზე შემუშავებილი იყო დამლაშება-ბიცობიანობისა და ეროზიის საწინააღმ-დეგო ღონისძიებები, სასუქების რაციონალურად გამოყენების გზები და სასოფლო-სამეურნეო კულტურების სწორი განლაგების საკითხები. დეგრადირებულ ნიადაგებზე წარმოებდა სხვა-დასხვა სახის აღდგენითი სამუშაოები: ფერდობების დატერასება, ქარსაცავი ზოლების გაშენება, ქიმიური მელიორაცია (მოთაბაშირება), მლაშობ-ბიცობი ნიადაგების განმარილება მაგნიტური აპარატით, დამლაშებული ნიადაგების ჩარეცხვა მაგნიტო-ჰიდროდინამიკურად გააქტიურებული წყლით და სხვ.

ზემოთ მოცემული ტრადიციული ცოდნის მოკლე დახასიათება ადასტურებს, რომ ქვეყანას აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაციის ბაზისური საფუძველი და შემცირებული, მაგრამ საკმარისი სამეცნიერო პოტენციალი. გაუდაბნოების პროცესის მონიტორინგის ორგანიზაციისთვის აუცილებელია ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის აღდგენა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა.



გ. გელაძე, ვ. გელაძე, 2012

4.1. სიტუაციის ანალიზი

გაუდაბნოების პროცესი გამოწვეულია როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ბუნებრივი ფაქტორებიდან უმთავრესია: კლიმატური, ჰიდროგეოლოგიური, მორფოდინამიკური, ნიადაგური და სხვა. ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების მხრივ მნიშვნელოვანია: სოფლის მეურნეობა, სამთო-მოპოვებითი სამუშაოები, ურბანიზმი და სხვა. ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად იზრდება არიდული და სემიარიდული ტერიტორიები, სადაც ვითარდება ქარისმიერი და დახრამვითი ეროზიული პროცესები, რასაც თან სდევს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ბედლენდების წარმოქმნა. ვაკის და მთის ტყეების გაჩეხვის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა კლიმატის არიდულობა, გააქტიურდა ნიადაგ-მცენარეული საფარის დეგრადაცია და ლანდშაფტის გაუდაბნოება. ქსეროფილური ბუჩქნარის, სტეპების და ნახევარუდაბნოს მცენარეულობის ცალკეულმა ფორმაციებმა მნიშვნელოვნად წაიწია დასავლეთისაკენ და ჰიფსომეტრიულად მაღალი ადგილებისაკენ. ეს პროცესები ანთროპოგენური ფაქტორის ზეწოლის შედეგია. რაც იწვევს სემიჰუმიდურიდან სემიარიდულ ლანდშაფტებად ჩამოყალიბებას და კლიმატის არიდიზაციას. ყოველივე ეს კი წარმოადგენს გაუდაბნოების პროცესის ნაწილობრივი განვითარების ძირითად მიზეზს.

არიდიზაციისა და გაუდაბნოების პროცესების ინტენსივობა იცვლება დროში _ წლების და სეზონების მიხედვით. ამიტომ აუცილებელია ლანდშაფტების შეფასება დროით ჭრილში. ეს შესაძლებელს ხდის დადგინდეს სხვადასხვა ლანდშაფტში მიმდინარე ტენდენციები და მათი განვითარების შესაძლებელი სცენარები: ბიოპროდუქტიულობის ზრდა / კლება, გატყიანება / გაუტყეურება, გამრავალფეროვნება, ფრაგმენტაცია, მდგრადობა / სენსიტიურობის ზრდა / შემცირება და სხვ.

საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი არიდულ და სემიარიდულ ზონაშია მოქცეული. კავკასიის ფონზე საქართველოს ლანდშაფტების განხილვა აჩვენებს, რომ არიდულობა ყველაზე ნაკლებადაა დამახასიათებელი ჩვენი ქვეყნისათვის. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ დგას გვალვებისა და არიდიზაციის პრობლემები. გლობალური დათბობის ფონზე არიდიზაციის ხელშემწყობი ბუნებრივი ფაქტორები უფრო ინტენსიური ხდება, რის შედეგადაც ბუნებრივი არიდულობა გაიზრდება. ამაზე მეტყველებს გვალვების სიხშირეც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ პერიოდში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია სიმშრალის მოყვარულ მცენარეთა ცალკეული სახეობების გამოჩენა იმ ადგილებში, სადაც ადრე საერთოდ არ იყო დამახასიათებელი (აჭარისა და აფხაზეთის კლდოვანი მასივებზე, დიუნურ ზოლში და სხვ.). ასეთი ტერიტორიები კლიმატის ცვლილების მიმართ განსაკუთრებით სენსიტურად უნდა მივიჩნიოთ.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამის მიხედვით საქართველოში გაუდაბნოებისადმი მოწყვლად რეგიონებად კახეთი და ქვემო ქართლი განისაზღვრა. კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ მოწყვლადი ტერიტორიები კიდევ უფრო მეტია. შესაბამისად, აქტუალურია ასეთი ტერიტორიების წარმოჩენა და საადაპტაციო ღონისძიებების შემუშავება.

გაუდაბნოებისადმი მოწყვლადი ტერიტორიები გაეროს დეფინიციის თანახმად, არიდულ, სემიარიდულ და სემიჰუმიდურ ზონებშია. ამ ზონებში მოქცეულია საქართველოს შემდეგი

რეგიონები: კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი (ამავე ზონაში ექცევა ასევე დედაქალაქიც, თუმცა განვითარებული ინფრასტრუქტურის გამო მასზე გარემო პირობების ცვალებადობა შედარებით ნაკლებად აისახება).

მუშაობის პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრაზე შეთანხმებულ იქნა, რომ გაუდაბნოებისადმი მოწყვლადად განისაზღვროს შემდეგი რეგიონები: კახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი, თუმცა მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული სხვა რეგიონებიც.

საქართველოს ტერიტორიაზე სემიჰუმიდურ, სემიარიდულ და არიდულ ლანდშაფტებს უკავია 19,5 ათასი კმ^2 ფართობი, რაც ქვეყნის საერთო ფართობის დაახლოებით 1/3-ია. ამ ლანდშაფტების ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოშია. დასავლეთ საქართველოში მხოლოდ სემიჰუმიდური ლანდშაფტები გვხვდება, და ისიც მეტად მცირე ფართობზე (70 კმ^2, ქვეყნის საერთო ფართობის 0.1 %).

ლანდშაფტები



დ. ნიკოლაიშვილი, 2012 (ნ. ბერუჩაშვილის ლანდშაფტური საფუძველი, 1979)

საქართველოში გაუდაბნოების პროცესის მიმდინარეობას ტოპონიმების ანალიზიც ადასტურებს; მაგ., აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ბევრი ადგილი და დასახლებული პუნქტია, რომელთა სახელწოდებები გამოხატავს ცალკეული მცენარის ან მათი დაჯგუფებების სახელს: `მუხრან-თელეთი'', `დიდმუხა'', `მუხრანი'', `მუხეთი'', `თელათგორი'', `ქვემო თელეთი'', `ზემო თელეთი'', `თელავი'', `ლაფნიანი'', ,,ვერხვნარი'', `პანტიანი'', `იფნარი'' და სხვ. ეს სახელწოდებები იმაზე მეტყველებს, რომ ამ დასახლებული პუნქტების მიდამოებში გავრცელებული იყო შესატყვისი მცენარეული დაჯგუფებები. ამჟამად ასეთი ტყეები დასახელებულ ადგილებში მთლიანად არის განადგურებული და მათ ნაცვლად ანთროპოგენური ლანდშაფტებია განვითარებული. აქ საუბარია ლანდშაფტის მხოლოდ ერთი კომპონენტის - მცენარის ცვლილებაზე, მაგრამ მცენარის ცვლილებასთან ერთად იცვლება სხვა კომპონენტებიც და მთლიანად ლანდშაფტი.

ლანდშაფტის კომპონენტები წარმოქმნიან მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ადგილობრივ კლიმატს შესაბამისი ლანდშაფტით. რადგან მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირები არსებობს, კლიმატის ცვლილების შემთხვევაში შეიცვლება ლანდშაფტი და პირიქით – ლანდშაფტების ანთროპოგენური ცვლილება გამოიწვევს ადგილობრივი კლიმატის ცვლილებას. თუ ლანდშაფტები შეგუებულები არიან კლიმატის ნელ და ხანგრძლივ ცვლილებას, ხანმოკლე და სწრაფ ცვლილებებზე (რომელსაც ანთროპოგენური ფაქტორები განაპირობებენ) ისინი საკმაოდ მტკივნეულად რეაგირებენ.

საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების მიხედვით, კლიმატის ცვლილების ტენდენციები ყველაზე თვალსაჩინო აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ლანდშაფტებისთვის გახდება. აქ ცხოვრობს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (2 მლნ.).

გაუდაბნოების მიმართ ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ მდგარი ლანდშაფტებია: მთისწინეთის გორაკ-ბორცვების ლანდშაფტები სტეპის, შიბლიაკის, ფრიგანის მცენარეულობით. ძირითად საფრთხეს მჭიდრო დასახლებისა და დიდ ფართობზე გადაჭიმული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარდა, ემატება ისიც, რომ ინტენსიური გადაძოვება აფერხებს მცენარეული საფარის თვითაღდგენას;

ქვედა მთის ტყის ლანდშაფტების ბუნებრივ ტერიტორიული კომპლექსები (ბტკ), სადაც მცენარეული საფარი მნიშვნელოვნადაა სახეცვლილი და დეგრადირებული (უმთავრესად ტყის ჭრის გამო). დამატებით რისკ-ფაქტორს ქმნის ასევე ჭარბი ძოვება. ეს ზემოქმედება განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ წლებში, ვინაიდან ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე ზოგან მოსახლეობამ ალპური საძოვრების ნაცვლად დაიწყო დასახლებული ტერიტორიების მიმდებარე უბნების საძოვრებად გამოყენება. მართალია, ერთი მხრივ, ამან შეამცირა ზემოქმედების მასშტაბები მაღალი მთის ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე, მაგრამ, მეორე მხრივ, გაზარდა ზემოქმედება ქვედა მთის ტყის ლანდშაფტებზე.

კლიმატის ცვლილების და მოსალოდნელი შედეგების მიხედვით, ლანდშაფტების შეცვლის და დეგრადაციის პრობლემა ემუქრება საქართველოს ტერიტორიის თითქმის 3,5% ანუ 2330 კმ^2,-ს. ამგვარი პროცესებისთვის აუცილებელი გახდება პრევენციული ქმედებების განხორციელება.

4.1.1.გაუდაბნოების გამომწვევი ბიოფიზიკური ფაქტორები

გაუდაბნოებაზე მოქმედებს ეკოლოგიური პრობლემების მთელი კომპლექსი, რომელიც გამოწვეულია როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორებით: კლიმატის ცვლილება, ტყის ჩეხვა, ბიომრავალფეროვნების განადგურება, წყლის რესურსების დეგრადაცია და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებულ ბუნებრივ პროცესებს შორის უმეტეს შემთხვევაში თითქმის შეუძლებელი ხდება სტიქიური პროცესების მაპროვოცირებელი ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების გამიჯვნა.

ატმოსფერული ნალექები

ნალექები ერთ-ერთი ძირითადი კლიმატური ელემენტია, იგი განსაზღვრავს ტერიტორიის წყლის ბალანსს. რთული ოროგრაფიული პირობები, კავკასიონისა და საქართველოს სამხრეთი მთიანეთის განედური მიმართულებები და შავი ზღვა ატმოსფეროს ცირკულაციას იმგვარად გარდაქმნის, რომ შედარებით მცირე ტერიტორიაზე გვხვდება მშრალი სტეპები (400 მმ-ზე ნაკლები ნალექების წლიური ჯამით) და ჭარბად ნოტიო რაიონები (4000 მმ-ზე მეტი ნალექებით).

ყველაზე მეტი ნალექი მოდის მესხეთის ქედის ზღვისკენ მიქცეულ ფერდობებზე – საშუალოდ წელიწადში 4500 მმ (მ. მტირალა); ყველაზე ნაკლები (400 მმ) - აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ქვემო ქართლის ვაკეზე. მცირე ნალექებით ხასიათდება შიდა ქართლის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილი (ქ.გორიდან აღმოსავლეთით), აქ ნალექების წლიური ჯამი 500-600 მმ-ია.

კახეთში განსაკუთრებით უხვნალექიანია ლაგოდეხი-ყვარელის მონაკვეთი, აქ ნალექების წლიური ჯამი 900-1100 მმ-ია. მდ.ალაზნის მარცხენა სანაპირო მარჯვენასთან შედარებით უფრო ნალექიანია. მშრალია პირიქითა თუშეთი, აქ 2000 მ სიმაღლეზე მხოლოდ 800-900 მმ ნალექი მოდის.

სამხრეთ საქართველოში განსაკუთრებით მცირე ნალექიანია ახალქალაქის ზეგანი და მდ.ხრამის ზემო წელი, ნალექების წლიური რაოდენობა აქ საშუალოდ 500-600 მმ-ია.

ქვეყნის ტერიტორიაზე ნალექების წლიურ მსვლელობას ორი მაქსიმუმი და ორი მინიმუმი ახასიათებს. გამონაკლისია ახალქალაქის ზეგანი და კავკასიონის ჩრდილო ფერდობი, აქ მხოლოდ ერთი მაქსიმუმი და ერთი მინიმუმია.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების მთავარი მაქსიმუმი უმეტესად მაის-ივნისშია (წლიური ნალექების 12-20%), მეორე - სექტემბერ-ოქტომბერში. ქართლში და გარე კახეთში მეორადი მაქსიმუმი უმთავრესად ოქტომბერშია, შიდა კახეთში კი - სექტემბერში. ნალექების მთავარი მინიმუმი ყველგან იანვარშია (წლიური ნალექების 3-7%), მეორადი კი აგვისტოში (5-8%).

სოფლის მეურნეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა წლის თბილ (სავეგეტაციო) პერიოდში ნალექების განაწილების ცოდნა. ამ დროს მოსული ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში 300-800 მმ-ია, ხოლო აღმოსავლეთში - 160-600 მმ. უკანასკნელი 4-5 ათეული წლის მანძილზე საქართველოში ადგილი აქვს კლიმატის არახელსაყრელ რეჟიმს. სულ უფრო ხშირია გვალვები, ძლიერი ქარები და სხვ. კლიმატის ცვლილების პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევებით საქართველოში, მთაშიც და ბარშიც, ზამთრის გარდა ყველა სეზონში ცხელი დღეების რაოდენობა 50% და მეტით იმატებს. შესაბამისად, ეს გამოიწვევს საირიგაციო ფართობებზე სარწყავ წყალზე მოთხოვნილების

გაზრდას. კლიმატის ცვლილება, ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებასთან ერთად მეტ სიძნელეებს შეუქმნის ქვეყნის მეურნეობას, განსაკუთრებით ბარში, სადაც ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციამ დასაშვებ ზღვარს დიდი ხანია გადააჭარბა.



ჯ. დოლიძე, ნ. გოგიშვილი, ლ. დონდუა, ლ.ქართველიშვილი, საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012 წ.

არიდულობა

კონვენციის განმარტებით „არიდული, ნახევრად არიდული და მშრალი სუბ-ნოტიო რაიონები“ ნიშნავს პოლარული და სუბ-პოლარული რეგიონებისაგან განსხვავებულ რაიონებს, რომლებშიც წლიური ნალექების თანაფარდობა პოტენციურ აორთქლებასთან ცვალებადობს 0.05-დან 0.65-მდე.

საქართველოში არიდულობა შედარებით მკვეთრად გამოიხატება წლის თბილ პერიოდში. ყველაზე მშრალი ტერიტორია, რომლის არიდულობის ინდექსი 0,3 და მასზე ნაკლებია წლის თბილ პერიოდში, მოიცავს სამგორი - უდაბნო - წითელი ხიდი - თბილისის მონაკვეთს. აქვე გამოიყოფა ასევე ძალიან მშრალი, საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომლის არიდულობის ინდექსი წლის თბილ პერიოდში 0,4-ზე ნაკლებია. აღნიშნული ტერიტორია მოიცავს მარნეულის ვაკეს, იაღლუჯის ბორცვებსა და კუმისის ტბის ტაფობს, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიას, ივრის ზეგნის სამხრეთ ნაწილს და ელდარის ველს. ტერიტორია, რომელზეც არიდულობის ინდექსი წლის თბილ პერიოდში 0,5 და მასზე ნაკლებია, მოიცავს ქვემო ქართლის მთისწინების ზონას, შიდა ქართლის ბარს, ივრის ზეგანის ჩრდილოეთ ნაწილს და შირაქის ვაკეს, აგრეთვე ახალციხის ქვაბულის ტერიტორიას.

წლის ცივ პერიოდში არიდულობის ინდექსი ქვეყნის ტერიტორიაზე საშუალოდ ორჯერ იზრდება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ პერიოდში სითბოს მკვეთრ შემცირებასთან.

არიდულობის ინდექსის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი სენსიტური რეგიონები: კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი.

არიდულობის ინდექსი



გ. გოგიჩაიშვილი, საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012 წ.

გვალვა

გვალვა კომპლექსური მოვლენაა, რომლის ფორმირებაში მონაწილეობას იღებენ ერთდროულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფაქტორები. ძირითადი მეტეოროლოგიური პირობებია უნალექობა, მაღალი ტემპერატურა და დაბალი ფარდობითი ტენიანობა. ესაა ხანგრძლივი პერიოდი გაზაფხულ-ზაფხულში, როდესაც ნალექები ნორმაზე დაბალია, მაღალი ჰაერის ტემპერატურის დროს ნიადაგში არსებული ტენის მარაგი შრება და იქმნება მცენარის ზრდა-განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობები, მოსავლიანობა მცირდება ან მთლიანად ნადგურდება.

გლობალური დათბობის ფონზე არიდიზაციის ხელშემწყობი ბუნებრივი ფაქტორები უფრო ინტენსიური ხდება, რის შედეგადაც ბუნებრივი არიდულობა საქართველოში გაიზრდება. ამაზე მეტყველებს გვალვების სიხშირეც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ პერიოდში. არიდიზაცია განსაკუთრებით შესამჩნევი იქნება ქვეყნის არიდულ და სემიარიდულ ზონებში.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ კავკასიაში, საკმაოდ ხშირია გვალვიანი წლები, რასაც მკვლევრების უმრავლესობა კლიმატის გლობალურ დათბობას უკავშირებს. უკანასკნელ ათწლეულებში გვალვიან წლებად შეიძლება ჩაითვალოს 1976, 1992, 1996, 1998-2000, 2006, 2010.

განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩეოდა 2000 წლის ზაფხულის გვალვა, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში ეკოლოგიური კატასტროფაც კი გამოიწვია. თბილისის აეროპორტის სადგურის მონაცემებით, 19 დღე ქროდა ძლიერი ქარი, რომელმაც ხელი შეუწყო ნიადაგის სახნავი ფენის ძლიერ გაშრობას. ზარალმა რამდენიმე ასეულ მლნ. ლარს მიაღწია. ასევე აღსანიშნავია 2010 წლის ზაფხულის გვალვა, როდესაც ჰაერის ტემპერატურამ მრავალწლიურ ნორმას რამდენიმე (5-6 0C) გრადუსით გადააჭარბა.

ქარი

ქარების წარმოშობა მჭიდრო კავშირშია ტერიტორიის არათანაბარ გათბობასა და წნევის განაწილებასთან. საქართველოში ქარის რეჟიმის ფორმირება დამოკიდებულია ევრაზიის კონტინენტზე წნევების სეზონურ განაწილებასთან, შავი და კასპიის ზღვების აუზებთან და რთულ ოროგრაფიულ პირობებთან.

ტერიტორიულად ქარის საშუალო წლიური სიჩქარე საქართველოში იცვლება 0.6-დან (აბასთუმანი) 9.2 მ/წმ-მდე (მთა საბუეთი). ძლიერქარიან (15 მ/წმ) დღეთა რიცხვი საკმაოდ ხშირია; ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში გამოირჩევა ქუთაისი (63 დღე წელიწადში), აღმოსავლეთ საქართველოში კი ხაშური (52 დღე); ლიხის ქედზე კი, მ.საბუეთში, ქარიანია 162 დღე.

ქარის სიჩქარე და მიმართულება, წელიწადი



მასშტაბი 1:2 000 000

ც. ბასილაშვილი, ე. სუხიშვილი. საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012 წ.

წყლის რესურსები

კლიმატის მიმდინარე ცვლილებების ფონზე გაუდაბნოების პროცესთან შეგუების ერთ-ერთი ყველაზე რეალური ქმედითი ღონისძიება და პრიორიტეტი სარწყავი სისტემების რეაბილიტაციაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქვეყნის წყლის რესურსების რაოდენობა.

საქართველო მტკნარი წყლის რესურსების სიმდიდრით გამოირჩევა. აქ 26000-ზე მეტი მდინარე, 800-ზე მეტი ტბა, 40 წყალსაცავი, 700-მდე მყინვარი, უამრავი სხვადასხვა ტიპის წყარო და ჭაობია. ქვეყანაში აღრიცხული წყლის რესურსის საერთო მოცულობა 100 კმ^3-მდეა. ერთი წლის განმავლობაში ფორმირებული მტკნარი წყლის ფენის საშუალო სიმაღლით (760 მმ) საქართველო, ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ ნორვეგიას (1190 მმ), შვეიცარიას (1040 მმ) და ავსტრიას (800 მმ) ჩამორჩება. აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოს მეზობელ, სამხრეთით მდებარე ქვეყნებში - თურქეთში, სომხეთში და აზერბაიჯანში შეადგენს 215, 280 და 110 მმ, შესაბამისად. საქართველოს მოსახლეობის წყალუზრუნველყოფა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებთან შედარებით 4-6-ჯერ მეტია.

მიუხედავად წყლის რესურსების სიმდიდრისა, ქვეყნის რიგ რეგიონებში მათ რაოდენობასა და წყალმოხმარებას შორის მნიშვნელოვანი დისბალანსია. აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ძირითადი წყალმომხმარებელია (მორწყვა), ტერიტორიისა და მოსახლეობის წყალუზრუნველყოფა ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე ქვეყნის დასავლეთ ნაწილში.

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობის წყალმომარაგების საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დაახლოებით თანაბარი ფართობისა და მოსახლეობის ერთნაირი რაოდენობის პირობებში ერთ სულ მოსახლეზე მოდის: დასავლეთში – 17 700 მ^3 წყალი, ხოლო აღმოსავლეთში – 4600 მ^3 წელიწადში, ე.ი. დაახლოებით 4-ჯერ ნაკლები წყალი. გარდა ამისა, აქ ჩამონადენის შიგაწლიური განაწილება ირიგაციული წყალმოხმარების ასინქრონულია. წყალმცირე პერიოდებში, ზოგიერთ აუზებში (მდ. ალაზანი, იორი, ხრამი და სხვ.) ხშირად მდინარეთა ჩამონადენი ეკოლოგიურ ნორმაზე დაბალია.

კლიმატის თანამედროვე ცვლილება, რომელიც გლობალურ დათბობაში გამოიხატება, ნეგატიური ანთროპოგენური ფაქტორების (სარწყავი სისტემების მოშლა, აგროტექნიკის დონის მკვეთრი დაცემა, ტყეებისა და ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა და სხვ.) ზრდასთან ერთად ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ საქართველოს არიდული ტერიტორიების გაუდაბნოების პროცესს და, ცხადია, თავის მხრივ კიდევ უფრო გაამწვავებს მტკნარი წყლის პრობლემას.

ჩამონადენის ფენის დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა შემდეგი რეგიონები: ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი.



ვ. გელაძე, ა. ჯავახიშვილი. საქართველოს ეროვნული ატლასი, 2013 წ.

ბუნებრივი სტიქიური მოვლენები

სტიქიური პროცესებით საქართველოში მეტ-ნაკლებად დაზიანებულია თითქმის ყველა ლანდშაფტურ-გეოგრაფიული ზონა, შავი ზღვისპირეთიდან დაწყებული მაღალმთიან-ნივალურით დამთავრებული. ამის გამო მოვლენები ერთმანეთისგან განსხვავდება, როგორც წარმოქმნის პირობებისა და გენეზისის მიხედვით, ასევე ფართობული გავრცელებებითა და სიღრმითი დეფორმაციით. დღეისათვის მთელი ქვეყნის საერთო ფართობის 70%-მდე ტერიტორია სტიქიური პროცესებით დაზიანებული და მაღალი საშიშროების რისკის არეალშია მოქცეული.

საქართველოში XX საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების გააქტიურების ექსტრემუმები უმეტესად ემორჩილებოდა გარკვეულ ციკლურობას და, ადგილის გეოლოგიურ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, საშუალოდ მეორდებოდა 3-5 და 8-11 წლის განმავლობაში ერთხელ. 90-ანი წლებიდან მოყოლებული, პროცესების გააქტიურებას ადგილი აქვს თითქმის ყოველ წელს, ხოლო მათი ექსტრემალური გამოვლინების ინტერვალები მნიშვნელოვნადაა შემოკლებული. შედეგად, პროცესების უარყოფითი მოქმედების არეალში ექცევა სულ ახალი და ახალი ფართობები, დასახლებული ადგილები და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტები. ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო მიზნით ათვისების რაიონებში მეწყერები გააქტიურდა და რაოდენობამ 5000 მიაღწია.

ბოლო პერიოდში ბუნებრივი სტიქიის ასეთი მასშტაბით გააქტიურება ძირითადად განაპირობა:
1. მაღალი ინტენსივობის მიწისძვრების გააქტიურებამ კავკასიაში;
2. გლობალური კლიმატური ცვლილებების საერთო ფონზე საშიში ბუნებრივი პროცესების მაპროვოცირებელი უარყოფითი მეტეოროლოგიური მოვლენების გახშირებამ და რაოდენობრივმა ზრდამ საშუალო მრავალწლიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში;
3. ადამიანის მასშტაბურმა ზემოქმედებამ გარემოზე და მისი ბალანსური წონასწორობის მკვეთრმა დარღვევამ, როგორიცაა: მოსახლეობის დასახლება და მიწების უსისტემო ათვისება, ხშირად ყოველგვარი წინმსწრები შეფასების გარეშე, ახალი ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქცია გეოდინამიკურად რთულ სივრცეებში, ტყის მასივების ბარბაროსული ჩეხვა და სხვა.

ტყის ფართობების ცვლილება

დედამიწის ზედაპირზე სამეურნეო საქმიანობის შედეგად ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა. მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში ტყის ლანდშაფტების შემცირების ტენდენცია მნიშვნელოვნად გამოვლინდა, ზოგგან კი მათ შედარებით უკეთ შეინარჩუნეს პირვანდელი ბუნებრივი სახე. საქართველო ითვლება ერთ-ერთ ისეთ ქვეყნად, სადაც კარგად შემორჩა ხელუხლებელი ტყის ფართო მასივები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტყეების ცვლილების ტენდენცია უმნიშვნელოა.

საქართველოში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში უმთავრესად განადგურდა ბარის ტყეები. შედარებით უკეთ შემორჩნენ ისინი კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთიანეთებზე. თითქმის საერთოდ მოისპო ჭალის ტყეები, თუმცა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების

(მტკვრის, ალაზნის, ივრის, არაგვის) ხეობების გასწვრივ. დღეს კი მხოლოდ ფრაგმენტების სახით შემორჩნენ.

ნ. კეცხოველისა და ნ. ბერუჩაშვილის რუკების ანალიზისა და ურთიერთშედარების შედეგად ჩანს, რომ საქართველოს ლანდშაფტების ჰორიზონტული სტრუქტურა საზოგადოების განვითარების ადრეული პერიოდიდან დღემდე მნიშვნელოვნად იცვლება, რაც მკაფიოდ გამოიხატა როგორც რეგიონების, ისე ლანდშაფტური ერთეულების დონეზე. ეს ცვლილებები განსაკუთრებით საგრძნობია ბარის ლანდშაფტებისა და ტყის ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების (ბტკ) მიხედვით.

ტყიანობის მაღალი მაჩვენებლებით განსაკუთრებით გამორჩეული იყო მთელი დასავლეთი საქართველო, რომელიც მთლიანად 60-80%–ან და უფრო მაღალ ინტერვალში იყო მოქცეული. აღმოსავლეთ საქართველოში კი, ეს მაჩვენებელი, ყველაზე მაღალი იყო შიდა ქართლსა (50 %) და კახეთში (44 %). საქართველოში ტყიანობის შემცირებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დღეისათვის არცერთი რეგიონი არ არის 80 %-ზე მეტი ტყიანობით. ქვემო ქართლში იგი 20 %-ზე ნაკლებიცაა. ტყიანობის ასეთი დაბალი დონე საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე საერთოდ არ იყო დამახასიათებელი საქართველოს არცერთი რეგიონისათვის. წარსულში ტყიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღინიშნებოდა სამცხე-ჯავახეთში (30 %), დღეს კი ქვემო ქართლია ამ მხრივ გამორჩეული (20 %-ზე ნაკლები).





საქართველოს მხარეების ტყიანობა

ფიტომასები

საქართველოს ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი და შესაბამისად იქ თავმოყრილი ფიტომასების მაქსიმალური მარაგიც - 795.3 მლნ ტ (საქართველოს ფიტომასების მარაგის 88%) მთის ლანდშაფტებზე მოდის. საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე ეს ციფრი შედარებით დაბალი იყო (79%), ვინაიდან ფიტომასების მნიშვნელოვანი მარაგი ასევე თავმოყრილი იყო ვაკის ლანდშაფტების ფარგლებში.

შემცირება უკავშირდება ანთროპოგენურ ფაქტორს. მაგალითად, თბილისი და მისი მიდამოები ოდესღაც დაფარული იყო (მეტ ნაწილზე) ტყეებით. ამ ტყეების განადგურების ერთ-ერთ მიზეზად ნ. კეცხოველი თხას ასახელებს, რომელიც ამ მხარის მოსახლეობას დიდი რაოდენობით ჰყოლია. ნათელი ტყეები, რომლებიც წარსულში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს ბარის (მიმდებარე მთიანეთების) ზოლში და რომელიც თბილისის კარიბჭემდეც კი აღწევდა, უსისტემო ძოვების შედეგად დღეს თითქმის განადგურებულია. ბუნებრივი სახით იგი მხოლოდ ვაშლოვნის ნაკრძალში თუ შემორჩა.

პროცენტული თვალსაზრისით ფიტომასების მარაგის ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება, ე.ი. ყველაზე დიდი დანაკარგი განიცადა იმერეთმა და ქვემო ქართლმა.

ფიტომასების მარაგი საქართველოს რეგიონების მიხედვით

რეგიონები	ფიტომასების მარაგი, მლნ. ტ			ფიტომასების მარაგი ტყის ბტკ-ებში, მლნ.ტ.		
	ნ.კეცხოველის რუკის მიხედვით	ნ.ბერუჩაშვილის რუკის მიხედვით	სხვაობა მათ შორის	ნ.კეცხოველის რუკის მიხედვით	ნ.ბერუჩაშვილის რუკის მიხედვით	სხვაობა მათ შორის
იმერეთი	222,617	115,059	107,56	215,745	112,961	102,784
აფხაზეთი	219,104	189,975	29,129	203,534	179,425	24,109
სამეგრელო-ზემო სვანეთი	183,231	122,004	61,227	161,609	117,224	44,385
კახეთი	176,13	110,561	65,569	143,691	93,09	50,601
აჭარა	83,228	63,777	19,451	77,469	66,082	11,387
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	82,53	60,874	21,656	77,258	55,406	21,852
შიდა ქართლი	77,561	53,222	24,339	68,16	27,978	40,182
მცხეთა-მთიანეთი	70,492	64,227	6,265	53,532	46,344	7,188
სამცხე-ჯავახეთი	68,621	60,565	8,056	60,815	51,824	8,991

ქვემო ქართლი	62,853	32,591	30,262	49,643	25,663	23,98
გურია	49,665	27,773	21,892	46,802	24,372	22,43
სულ	1296,032	900,628	395,4	1158,258	800,369	357,889
შეზმცირების ხარისხი, %			30,509			27,6142

აღმოსავლეთ საქართველოში ფიტომასების მაქსიმალური რაოდენობა აღიშნება კახეთში, რაც აიხსნება კოლხური ბტკ-ების გავრცელებით, სადაც გროვდება დიდი რაოდენობით ფიტომასა. თუმცა ადრეულ პერიოდთან შედარებით ფიტომასების მარაგი მნიშვნელოვნადაა შემცირებული (37 %-ით). ეს განპირობებულია ალაზნის ვაკის, განსაკუთრებით მის მარჯვენა მხარის ტყეების განადგურებით და აქ ტრადიციული მევენახეობის განვითარებით. ამ ტყეების ფრაგმენტები შემორჩენილი იყო 1920-იან წლებამდე, ხოლო მარცხენა სანაპიროზე - XIX საუკუნის თითქმის ბოლომდე.

საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე ფიტომასების ყველაზე დიდი მარაგი ყოველ 1 კმ²-ზე მოდიოდა იმერეთზე (33,8 მლნ ტ), ბოლო ადგილზე კი ქვემო ქართლი (9,2 მლნ ტ) იყო. ამჟამინდელი მდგომარეობა, ამ თვალსაზრისით საკმაოდ შეცვლილია. ფიტომასების მარაგის მაქსიმუმი ყოველ 1 კმ²-ზე მოდის რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთზე (24,6 მლნ). 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ფიტომასების მარაგის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ქვემო ქართლშია. მთელი საქართველოსთვის კი ეს მაჩვენებელი (საშუალო მნიშვნელობა) თუკი ადრე შეადგენდა 21,6 მლნ ტონას, ამჟამად იგი 14,9 მლნ ტონამდეა შემცირებული.

4.1.2. ნიადაგების დეგრადაცია

ნიადაგები

საქართველო რთული რელიეფით, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით და ნიადაგ-კლიმატური პირობების დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. საქართველოს ტერიტორია იყოფა სამ ნიადაგურ-გეოგრაფიულ ოლქად, რომლებშიც გამოიყოფა ქვეოლქები და რაიონები.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში გავრცელებულია არიდული ჰავისათვის დამახასიათებელი ნიადაგები, ხოლო სემიჰუმიდური და სემიარიდული პირობებისთვის დამახასიათებელი ნიადაგები გვხვდება კავკასიონის დასავლეთ ნაწილის ვაკეზე, მთიანეთის დაბალ ნაწილებში და ზეგნებზე.

აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგური ოლქის მთათაშორის დაბლობებსა და ზეგნების ქვეოლქში ორი ძირითადი ზონაა: **უდაბნო ველებისა და ველების ნიადაგების ზონა** რუხი-ყავისფერი, მდელოს რუხი-ყავისფერი, შავმიწა და დამლაშებული ნიადაგებით; **ვაკეების გარდამავალი ტყე-ველისა და ტყის ნიადაგების ზონა** მდელოს ყავისფერი, შავმიწისებრი, დამლაშებული და ალუვიური ნიადაგებით.

საქართველოს ნიადაგური საფარის მრავალფეროვნება განსაკუთრებით შესამჩნევია ბარში და ვაკე რელიეფის მქონე რეგიონებში, მთებში ეს განსხვავება ნაკლებად ვლინდება.

ნიადაგის დეგრადაციის გამომწვევი ანთროპოგენური და ბუნებრივი ზემოქმედებები

სოფლის მეურნეობა

ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. საქართველოში მისი გავლენა ბუნებრივ გარემოზე განსაკუთრებით მასშტაბური იყო XX საუკუნეში - კულტურული ლანდშაფტების წარმოქმნა, საირიგაციო საქმიანობა და გრუნტების მეორადი დამლაშება, ტერიტორიების დაჭაობება ან, პირიქით, ჭაობების ამოშრობა არასრული ჩამონათვალია იმ ცვლილებებისა, რაც განიცადა გარემომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

სასოფლო-სამეურნეო მიწების არარაციონალური გამოყენების შედეგად ადგილი აქვს სავარგულების ხარისხის გაუარესებას. თესლბრუნვის დარღვევა და აგროტექნიკური ნორმების დაუცველობა ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას, საძოვრებზე ჭარბი ძოვება ბალახეული საფარის დეგრადაციისა და ეროზიის მიზეზი ხდება.

სოფლის მეურნეობა – საქართველოს ეკონომიკის ტრადიციული დარგია. საქართველოს კლიმატურ-ნიადაგური პირობები იმდენად ხელსაყრელი და მრავალფეროვანია, რომ ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო დარგების ფართო სპექტრის განვითარების შესაძლე-ბლობები გააჩნია. თუმცა, სოფლის მეურნეობის წილი, ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგების ფონზე, საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტში პერმანენტულად ეცემა. მაგალითად, 1990 წელს ამ დარგის წილი შეადგენდა 29.7%, 1999 წ. – 24.7%, 2001 წ. – 21.0%, 2003 წ. – 19.3%, 2005 წ. – 14.8%, 2007 წ. – 9.2%, 2009 წ. - 8.3%. ანუ, 20 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებე-ლი 3.6-ჯერ შემცირდა.

საგრძნობლადაა შემცირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები. შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვემო ქართლში (3,2-ჯერ) და შედარებით ნაკ-ლებად, კახეთსა (1.9-ჯერ) და შიდა ქართლში (1.7 ჯერ). დიდია შემცირება (2.3-ჯერ) დანარჩენ რეგიონებშიც, რომლებიც ისედაც სახნავ-სათესის მცირემიწიანობით გამოირჩევა.

ქვეყნის უძველესი სამეურნეო დარგია მეცხოველეობა, რომელიც წამყვან როლს ასრულებს მთიანი რაიონების ეკონომიკაში. თუმცა ბოლო დროს ისიც ეკონომიკის დაქვეითებულ დარგებს შორის არის.

საქართველოში არსებული ბუნებრივი სავარგულები საკვებით სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მეცხოველეობას და აფერხებს მის განვითარებას. სათიბ-საძოვრების უმეტესი ნაწილი მაღალ მთაშია და მათი გამოყენება წელიწადში მხოლოდ ოთხი თვის განმავლობაში შეიძლება. ზამთრის და საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრების ფართო-ბები მცირეა. ჩრდილო კავკასიის ზამთრის საძოვრები, რომლითაც ადრე სარგებლობდნენ ქართველი მეცხვარეები, პოლიტიკური ვითარების გამო დღევანდელ პირობებში მიუწვდომელია. მეცხვარეები ზამთარში შირაქ-ელდარის საძოვრებს იყენებენ, ზაფხულში კი - კავკასიონის და სამხრეთ საქართველოს საძოვრებს.

სოფლის მეურნეობა, როგორც ქვეყნის პრიორიტეტული დარგი, განვითარების კარგად გააზრებულ სტრატეგიას და მნიშვნელოვან ინვესტიციებს საჭიროებს.

ირიგაცია

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარება მოითხოვს მიწისა და წყლის რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. ეს განსაკუთრებით ეხება მშრალ და ნახევრად მშრალ რეგიონებს, სადაც მძიმე ბუნებრივი პირობების გამო წყალი მოსავლის მიღების აუცილებელი პირობაა.

სარწყავი მიწათმოქმედების უსისტემო, ხშირად, ნორმების დარღვევითი ექსპლუატაციის შედეგად ვითარდება ეროზიის ანთროპოგენური სახეობა - "საირიგაციო ეროზია". რის შედეგადაც:

- საქართველოში ყოველწლიურად იკარგება 5 მლნ კუბ. მეტრის მოცულობის ნიადაგი;
- წარმოიქმნება დიდი მეწყერები (მაგ.აღაიანის, არადეთის, გაჩიანის და სხვ.);
- დაჭაობებული მიწების რაოდენობამ 50 ათას ჰა-ს გადააჭარბა.

აღმოსავლეთ საქართველოში მორწყვაზე იხარჯება წყლის რესურსების 50%-მდე. საქართველოში არსებული საირიგაციო სისტემების მდგომარეობა თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს არ შეესაბამება. გასული საუკუნის 90-ანი წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ, მნიშვნელოვნად შემცირდა/გაუქმდა სარწყავი სისტემების ქსელი და შესაბამისად, სარწყავი ფართობები. ამჟამად, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს სისტემის რეაბილიტაცია, მაგრამ ზემოთ აღნიშნული წლების დონესთან შედარებით სხვაობა მაინც მნიშვნელოვანია. მაგალითისათვის, ამჟამად, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა მოიცავს 22464 ჰა ფართობს, როცა 90-იან წლებში ირწყვებოდა 44300 ჰა. ასევე, ქვემო ალაზნის სისტემა მოიცავს 20071 ჰა ფართობს, როცა 90-იან წლებში ირწყვებოდა 34426 ჰა და სხვ.

სარწყავი სისტემების უმრავლესობას არ აქვს დარეგულირებული ჩამონადენი; არ არსებობს წყალაღების მკაცრი კონტროლი, საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელი და მორწყვის პროცესის ავტომატიზაცია; ყველა საირიგაციო სისტემა გასაწმენდია; არხების უმრავლესობას მოუპირკეთებელი მიწის კალაპოტი აქვს; ბევრგან არის მიტოვებული არხები და ჭაბურღილები. გარდა ამისა, არ არსებობს მოსარწყავი ტერიტორიების რელიეფის დეტალური აგეგმვის ახალი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია არხების კონტურების ოპტიმალური კონფიგურაციის შესარჩევად. ყოველივე ეს იწვევს მორწყვის უთანაბრობასა და წყლის ზედმეტ ხარჯვას, უარყოფითად მოქმედებს მიწების მელიორაციულ მდგომარეობაზე (ეროზია, დამლაშება, დაჭაობება) და აფერხებს სარწყავი სისტემების მდგრად, საიმედო ფუნქციონირებას.

არსებული სარწყავი სისტემების უმრავლესობის მარგი ქმედების კოეფიციენტი მერყეობს 0.4-0.6 ფარგლებში. წყლის საერთო დანაკარგების 65-70 % განპირობებულია ფილტრაციით, 20-30 % - ტექნიკური დანაკარგებით, 3-6 % - აორთქლებით წყლის ზედაპირიდან და სხვ. თითქმის ყველა სარწყავი სისტემა საჭიროებს კომპლექსურ რეკონსტრუქციას, კაპიტალურ დაგეგმარებას, წყალუზრუნველყოფის ამაღლებას, შიდასამეურნეო სარწყავი სისტემის მოწესრიგებას და სხვ. სარწყავი მეურნეობის შემდგომი განვითარება მოითხოვს აგრეთვე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც დაიცავენ მორწყვის ტექნოლოგიებს, დაზუსტებულ სარწყავ ნორმებს და მორწყვის ვადებს ცალკეული რაიონების, ზონებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ალაზნის ქვემო სარწყავ სისტემას, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია არა მარტო კახეთის რეგიონის, არამედ საერთოდ საქართველოს სარწყავ სისტემათა შორის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ალაზნის ქვემო სარწყავი სისტემა რწყავს აღმოსავლეთ საქართველოს იმ რეგიონის ფართობებს, სადაც კლიმატური პირობების მიხედვით, მორწყვის გარეშე საერთოდ შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მნიშვნელოვანი მოსავლის მიღება. მდ. ალაზნის აუზში სამი მოქმედი საირიგაციო სისტემაა: ზემო ალაზნის, ნაურდალის და ქვემო ალაზნის.

მდ. ალაზნის სარწყავი არხების ფუნქციონირებისას წყლის ფილტრაციის შედეგად ხდება მიმდებარე ტერიტორიების დაჭაობება და დამლაშება. დროთა განმავლობაში ეს იწვევს დიდი ტერიტორიების განადგურებას და მათი სასოფლო–სამეურნეო მიწებიდან ამოღებას.

ამჟამად, კახეთის თითქმის ყველა საირიგაციო სისტემა მეტ-ნაკლებად ფუნქციონირებს, მაგრამ სრული დატვირთვით არ მუშაობს. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია ალაზნის ქვემო საირიგაციო სისტემა. ალაზნის ზემო საირიგაციო სისტემა მოქმედებს შეფერხებებით მხოლოდ გურჯაანის მუნიციპალიტეტამდე. სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში მოირწყვება გვალვისადმი მოწყვლადი ტარიბანის, ელდარისა და იორის ველების 70 ათასამდე ჰა ფართობი. ამჟამად მიმდინარეობს სამგორისა და ალაზნის ზემო საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია. მომზადდა “ზილიჩას” სისტემის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც მოიცავს 2400 ჰა-მდე სარწყავ ფართობს და მდებარეობს გვალვისადმი მოწყვლად რეგიონში.

სარწყავი სისტემების დღევანდელი მდგომარეობა და მორწყვაზე წყალმოთხოვნილების გაზრდა არსებული სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქციას აუცილებელს ხდის.

სამთომოპოვებითი საქმიანობა

საქართველოს ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან მიმდინარეობს მინერალური ნედლეულის მოპოვება (მარგანეცი, რკინა, ტყვია, მოლიბდენი, ვოლფრამი, ნახშირი, ბარიტი, ნავთობი, ცემენტის დასამზადებელი მასალა, მარმარილო და სხვ). სულ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებაშია ოთხასზე მეტი საბადო. აღნიშნული საბადოების ქვეშ დაახლოებით დაკავებულია 1.4 ათასი ჰექტარი ფართობი (ძალზე სუსტად დგას ამ ფართობების სწორად აღრიცხვის საკითხი). საქართველოს მიწის ბალანსის 1997 წლის მონაცემებით ქვეყნის სარეკულტივაციო ფართობები შეადგენდა 20 ათას ჰექტარს. 1984 წლიდან დაწყებული, დღემდე, სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად გამოყოფილია 1000 ჰექტარი მიწა, თიხის კარიერების, ინერტული მასალების ამოსაღებად, ხაზოვანი ნაგებობების მშენებლობის და სხვა საჭიროებისათვის 2550 ჰა მიწა.

რელიეფის ანთროპოგენური ტრანსფორმაცია განსაკუთრებულ მასშტაბებს აღწევს სამთო-მოპოვებით ობიექტებზე, რომელთა საერთო რაოდენობა საქართველოში 5000 აღემატება და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ღია კარიერული წესით მუშავდება. შედეგად, მკვეთრად იცვლება ლანდშაფტი.

ბოლნისის რაიონი საქართველოს უმნიშვნელოვანესი სამთამადნო რეგიონია. აქ მუშაობს სხვადასხვა ტიპის საწარმო. მათ შორის ერთ-ერთი უმსხვილესია სპილენძ-სულფიდური და ბარიტ-ტყვია-თუთია-სპილენძის კომპლექსური საბადო. მადნის მოპოვება წარმოებს ღია,

კარიერული წესით. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია სოფლის მეურნეობაში (მევენახეობა, მებაღჩეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა).

ნიადაგის დეგრადაციის ერთ-ერთი სახეობაა მძიმე მეტალებით დაბინძურება. ამ მხრივ გამოირჩევა ქვემო ქართლი - მაშავერას ხეობის ზედა ნაწილში წარმოებს ფერადი ლითონების მოპოვება, რაც იწვევს მდ. მაშავერას, მდ. კაზრეთულას სულფიდური მძიმე ლითონებით დაბინძურებას. მისი სარწყავად გამოყენება კი იწვევს ნიადაგის სახნავ ფენებში აღნიშნული მძიმე ლითონების დაგროვებას.

ძლიერ დაბინძურებულია ნიადაგები მრავალწლიანი ნარგავების და ვაზის, წლების განმავლობაში, ე.წ. ბორდოს სითხით შეწამვლის შედეგად შიდა და ქვემო ქართლში, კახეთში, იმერეთში.

ჰიდროსფეროსა და ნიადაგში დიდი რაოდენობით მძიმე ლითონების დაგროვება მავნე ზემოქმედებას ახდენს რეგიონის ბიოსფეროზე.

წყლისმიერი ეროზია

ნიადაგის წყლისმიერი ეროზია არის ნიადაგის ჩამორეცხვა და გადარეცხვა წყლის დროებითი (წვიმა, სარწყავი წყალი) ნაკადებით. წყლის ეროზიის ყველა სახეობა პირდაპირ ახდენს გავლენას მიწების სოფლის მეურნეობის მიზნით ათვისების ხარისხზე, იგი ასევე პირდაპირ და არაპირდაპირ კავშირშია მეწყერის, ღვარცოფის და სხვა ფერდობული პროცესების განვითარებასთან. ამიტომ, ეროზია უნდა განვიხილოთ ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის ობიექტების ხარისხობრივ, ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე რელიეფის პლასტიკის გარდამქმნელ მუდმივ ფაქტორად.

საქართველოში წყლისმიერი ეროზიის სახეებიდან განსაკუთრებით გავრცელებულია კალაპოტის და გვერდითი ეროზიის ტიპი. ამიტომ, წყლისმიერი ეროზიის შესწავლის დროს ყველა სახეობა უნდა იქნეს შესწავლილი, როგორც ერთიანი რგოლი.

მთიანი, ძლიერდანაწევრებული რელიეფი, კლიმატური პირობები და არცთუ იშვიათად არასწორი სამეურნეო მოქმედება წყლის ეროზიის ინტენსიურ განვითარებას განაპირობებს. შედეგად ირეცხება ნიადაგის ზედა ფენა, რაც ამცირებს მის ბუნებრივ ნაყოფიერებას და შესაბამისად მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. დროთა განმავლობაში ნიადაგი ხდება გამოუსადეგარი. 380-ზე მეტი დახრილობის ფერდობებზე არსებული მიწები სხვადასხვა ხარისხითაა დაზიანებული წყლის ეროზიით და კომპლექსურ ნიადაგდაცვით ღონისძიებებს საჭიროებენ.

დაკვირვებების მონაცემებით მდ. იორის ზეგანის სამხრეთით განლაგებული სახნავებიდან ნიადაგის ჩამორეცხვა არ აღემატება 1 ტ/ჰა, ხოლო იმავე ზეგანის დანარჩენი ტერიტორიის სახნავებიდან ნიადაგის დანაკარგი წყლისმიერი ეროზიის განვითარების შედეგად წელიწადში 1-5 ტონაა ჰექტარიდან. ეროზიული პროცესების საკმაოდ მაღალი აქტიურობით გამოირჩევა მდ. იორის აუზის შუა წელი, სადაც ფერდობებზე განლაგებული სახნავებიდან ნიადაგის ჩამორეცხვა შეადგენს 20-25 ტ/ჰა-დან წელიწადში, ხოლო მდინარის ხეობის ზემო წელში კი 10-15 ტ/ჰა-დან. ასევე მაღალი ეროზიული აქტიურობით გამოირჩევა მდ. ალაზანის და მდ. არაგვის აუზი, სადაც ეროზიის შედეგად ნიადაგის დანაკარგი 15-20 ტონაა ჰექტარიდან წელიწადში. შიდა ქართლის ბარის შემომსაზღვრელ მთისწინების ფერდობებზე განლაგებული სახნავებიდან ეროზიის შედეგად ნიადაგის დანაკარგი 5-25 ტონას შეადგენს წელიწადში. დმანისის პლატოს სახნავებზე

ეროზიული აქტივობა მინიმალურია და ნიადაგის დანაკარგი არ აღემატება 1 ტ/ჰა-დან წელიწადში.

საქართველოში ფერდობებზე განლაგებული სახნავების აბსოლუტურ უმრავლესობაზე (21-40%-ზე) აუცილებელია წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის ღონისძიებების გატარება.

გეოლოგიური სამსახურის მიერ ზედაპირის დახრილობის, ლითოლოგიური შემადგენლობის, წყალგამტარობის და ლანდშაფტურ-კლიმატური ზონალობის მიხედვით შედგენლია ეროზიული დანაწევრების შეფასება და დარაიონება. საქართველოს ტერიტორიაზე ეროზიული დანაწევრების მიხედვით გამოყოფილია შემდეგი კატეგორიები: ძალიან სუსტად დანაწევრებული, კოეფ. 0,5 კმ/კმ2-მდე; სუსტად დანაწევრებული, კოეფ. 0,5 – 1კმ/კმ2; ზომიერად - 1-2,5; მნიშვნელოვნად - 2,5-3,5; ინტენსიურად - 3,5-5 და განსაკუთრებით ძლიერად 5-ზე მეტი.

ნიადაგის ჩამორეცხვა სახნავი მიწებიდან



გ. გოგიჩაიშვილი, საქართველოს ატლასი, 2012

ჭარბი ძოვება

ქვეყნის უძველესი სამეურნეო დარგია მეცხოველეობა, რომელიც წამყვან როლს ასრულებს მთიანი რაიონების სათიბ-საძოვრების უმეტესი ნაწილი მაღალ მთაშია და მათი გამოყენება წელიწადში მხოლოდ ოთხი თვის განმავლობაში შეიძლება. მაღალმთიანი საძოვრები უმთავრესად მომთაბარე მეცხვარეობისთვისაა განკუთვნილი. ზამთრის და საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვრების ფართობები კი მეტად მცირეა, ხოლო ჩრდილო კავკასიის ზამთრის საძოვრები, რომლითაც ადრე სარგებლობდნენ ქართველი მეცხვარეები, პოლიტიკური ვითარების გამო მათთვის მიუწვდომელი გახდა.

საძოვრების არასწორი გამოყენების, გადაჭარბებული ძოვების და მცენარეულობის შესაბამისი მონაცვლეობის არარსებობის გამო, მაღალმთიან ზონებში შეინიშნება ეროზიული პროცესების გააქტიურება.

დამლაშება - დაბიცობება

დეგრადირებული ნიადაგების ერთ-ერთი გამოხატულებაა დამლაშებული და ბიცობი ნიადაგები. ნიადაგის ეს ტიპი ძირითადად გავრცელებულია კახეთსა და ქვემო ქართლში, ასევე ქარელის რაიონში (შიდა ქართლის რეგიონი). აღმოსავლეთ საქართველოში ნიადაგების დამლაშებით და გაბიცობებით დეგრადირებულია 359.56 ათასი ჰა, მათ შორის დამლაშებული ნიადაგების ფართობი შეადგენს 202.77 ათას ჰა, ხოლო ბიცობისა - 150 ათას ჰა-ს აემატება.

კახეთის რეგიონის დამლაშებული ნიადაგების ფართობი 133,000 ჰა-ს, რაც მთელი ფართობის 22%-ია. ისინი ძირითადად გავრცელებულია ალაზნის ველზე, რომლის საერთო ფართობის 40%-ზე მეტი საშუალო და ძლიერ დამლაშებულ ნიადაგებს უკავია. ეს ნიადაგები სიღნაღის რაიონში გავრცელებულია 54 ათას ჰა-ზე, დედოფლისწყაროს რაიონში – 48 ათას ჰა-ზე, საგარეჯოში - 23 ათას ჰა-ზე, გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონებში კი 8 ათას ჰა-ზე.

ბიცობი და ძლიერ ბიცობი ნიადაგების ფართობი 50.08 ათასი ჰა-ია, სუსტად დაბიცობებული - 60.34 ათასი ჰა, ხოლო საშუალო - 39.71 ათასი ჰა.

დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით 1985 წლის მდგომარეობით
(ათასი ჰა.)

რაიონები	დამლაშებული და ბივობიანი ნიადაგები, სულ	დამლაშებული ნიადაგები						ბიცობიანი ნიადაგები					
		სულ	სახნავი	სათიბები საძოვრები	საძოვრები, ბუჩქები	ტყე	მრავალწლიანი ნარგაობა	სულ	სახნავი	სათიბები საძოვრები	საძოვრები, ბუჩქები	ტყე	მრავალწლიანი ნარგაობა
დედოფლისწყარო	85.32	46.76	2.21	4.17	0.51	0.67	39.20	38.56	4.30	24.18	7.02	2.14	0.92
სიღნაღი	98.47	53.83	1.68	5.50	2.25	0.09	44.31	44.64	17.79	20.15	4.60	0.33	1.77
ლაგოდეხი	4.12	2.00	-	-	-	-	2.00	2.12	1.70	0.16	0.20	0.012	0.05
გურჯაანი	10.50	5.60	0.24	0.47	0.005	-	4.89	4.90	2.46	1.89	0.019	0.017	0.51
საგარეჯო	37.30	22.19	2.51	3.90	0.63	0.05	15.10	15.11	5.87	8.37	0.69	0.11	0.067
გარდაბანი	67.18	39.10	5.10	3.29	2.10	0.51	28.10	28.08	19.90	5.49	1.46	0.65	0.58
მარნეული	54.21	32.03	1.59	7.30	1.00	0.04	22.10	22.18	11.30	9.85	0.34	0.025	0.66
ბოლნისი	1.40	0.70	-	-	-	-	0.70	0.70	0.26	0.11	0.32	0.011	0.003
ქარელი	1.06	0.56	0.06	0.008	-	0.005	0.49	0.50	0.34	0.02	0.008	0.005	0.13
სულ	359.56	202.77	13.32	24.60	6.53	1.36	156.73	156.79	63.67	70.81	14.64	0.33	4.33

დაჭაობება

ჭაობები და დაჭაობებული მიწები ძირითადად შავიზღვისპირა დაბლობზეა განლაგებული. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფართობით, სიღრმით, წყლის შემცველობით.

ბუნებრივი ფაქტორებიდან დაჭაობების პროცესებზე გავლენას ახდენს ნიადაგგრუნტის ჭარბი დატენიანება, რაც გამოწვეულია კომპლექსური ბუნებრივი პირობებით, რომელთაგან მთავარია ჭარბი ნალექები, თიხიანი და ტორფიანი ნიადაგგრუნტების სუსტი წყალგამტარობა, გრუნტის წყლების მაღალი დონეები.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში დაჭაობებას ლოკალური ხასიათი აქვს, სარწყავი სისტემების მრავალწლიანი ექსპლუატაციის გამო ბევრგან აიწია გრუნტის წყლების დონემ, რამაც გამოიწვია სარწყავი მიწების დაჭაობება და დამლაშება (მაგ. ალაზნის ვაკე; იორისა და მტკვრის აუზები).

ქარისმიერი ეროზია

ქარისმიერ ეროზიას ადგილი აქვს წლის ცივ პერიოდში - ზამთარ-გაზაფხულის თვეებში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი). ამ თვეებში ჭარბობს ჩრდილო-დასავლეთის ქარები, რომელთა სიჩქარეები ხანდახან აღწევს 18-28 მ/წმ, ხოლო საშ. სიჩქარე თებერვალ-მარტ-აპრილში არის 2,2 -2,5 მ/წმ და მეტი. ენერგოკრიზისისა და უკონტროლობის გამო გაჩეხილმა ტყეებმა გააძლიერა ქარისმიერი ეროზია.

ქარისმიერი ეროზიის მთავარი ფაქტორებია: კლიმატის სიმშრალე და ქარის სიჩქარე, ქარსაწინააღმდეგო ნარგავების არარსებობა, ასევე ამ (ცივ) პერიოდში ნიადაგი არაა დაფარული მცენარეული საფარით. გაშიშვლებული ნიადაგი ადვილად ემორჩილება გამოქარვას, განსაკუთრებით ურწყავ მიწებზე. ქარისმიერი ეროზიის ზონებში ნიადაგის ძირითადი ტიპები არის: ალუვიური, მდელოს ყავისფერი, მდელოს რუხი ყავისფერი, შავმიწები.

ქარის ეროზია განსაკუთრებით შეიმჩნევა იქ, სადაც დარღვეულია ნიადაგის დამუშავების მეთოდები და საშემოდგომო მარცვლეულის დათესვის ვადები.

აღმოსავლეთ საქართველოში ქარის ეროზიას განიცდის სახნავი მიწების 105,5 ათასი ჰა. განსაკუთრებით გარე კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში. აღმოსავლეთ საქართველოში, ქარის საშუალო სიჩქარე, რომლის დროსაც იწყება ნიადაგის ნაწილაკების ახვეტა, იცვლება 10-15 მ/წმ ფარგლებში. ქარისმიერი ეროზია ძლიერი ქარების გარდა დამოკიდებულია ზამთრის გვალვებზე. ამ ორი პროცესის თანხვედრა ქმნის ქარისმიერი ეროზიის განვითარების პირობებს.

კლიმატის ცვლილების მოდელების მიხედვით მოსალოდნელია ქარისმიერი ეროზიის მოვლენების გახშირება-გაძლიერება. რაც თავისთავად გამოიწვევს დეგრადირებული ნიადაგების ფართობების ზრდას.

4.1.3. მოსახლეობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

ბუნების სტიქიური მოვლენების ძლიერ ზეგავლენას პერიოდულად განიცდის ჩვენი ქვეყნის ათასობით დასახლებული პუნქტი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ჰიდროტექნიკურ-

სამელიორაციო ობიექტები და სხვ. არცთუ იშვიათად, საჭიროა მოსახლეობის გასახლება საცხოვრებლიდან და მათი უსაფრთხო ადგილებზე გადაყვანა, რასაც თან სდევს მთის სოფლების დაცარიელება და მიწების გავერანება. ეკონომიკისადმი მიყენებული ზარალი ყოველწლიურად მილიონობით აშშ დოლარს შეადგენს.

გაუდაბნოება სოციალური პრობლემაა, რაც აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაზე, საცხოვრებელ პირობებზე (შიდა და გარე მიგრაციები), შემოსავლებზე, ჯანმრთელობაზე და სხვ. მისი როლის შეფასება საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში არსებული ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია. მნიშვნელოვანია, რომ მომავალში, აღნიშნულ ინფორმაციაში, ასახვა ჰპოვოს გაუდაბნოების ფაქტორმა.

მოსახლეობის დინამიკა

მე-19 საუკუნემდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილების უმთავრეს ინდიკატორებს წარმოადგენდნენ სხვადასხვა სახის ეპიდემიები, მოსავლის სიმცირით გამოწვეული სიკვდილიანობა, სტიქიური კატასტროფები და პერმანენტული ომები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ფაქტებს დემოგრაფიული სისტემა მაღალი შობადობით პასუხობდა, მოსახლეობის რაოდენობრივი მატება ძალიან დაბალი იყო, რიგ შემთხვევებში კი უარყოფითიც.

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა

წელი	მოსახლეობა (ათასი)	მათ შორის			
		ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა	ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
		ათასი		%	
1800	784.7	-	-	-	-
1897	1919.4	303.2	1616.2	15.8	84.2
1926	2677.2	594.2	2083.0	22.2	77.8
1939	3540.0	1066.2	2473.8	30.1	69.9
1959	4044.0	1712.9	2331.1	42.4	57.6
1970	4686.4	2239.7	2446.6	47.8	52.2
1979	5014.8	2600.5	2414.3	51.9	48.1
1989	5443.4	3035.8	2407.6	55.8	44.2
2002*[30]	4371.5	2284.8	2086.7	52.3	47.7
2009*	4385.4	2309.1	2076.3	52.7	47.3
2010*	4 436.4	2 350.5	2 085.9	53	47
2011*	4 469.2	2 371.3	2 097.9	53.1	46.9
2012*	4 497.6	2 391.7	2 105.9	53.2	46.8
2013*	4 483.8	2 410.8	2 073.0	53.8	46.2

აღსანიშნავია, რომ 1976 წელს ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ პირველად გადააჭარბა სოფლის მოსახლეობის რაოდენობას, 1990-2004 წწ. დიამეტრალურად საპირისპირო მოვლენა დაფიქსირდა _ მიმდინარეობდა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის დაახლოების პროცესი. უკანასკნელ წლებში სხვაობა მცირედ იზრდება, ქალაქის მოსახლეობის უპირატესობით.

[30] *აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით

1990-იანი წლების პირველი ნახევრიდან, ქვეყნის გარედან ინსპირირებული კონფლიქტებისა და მწვავე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, საქართველოში კრიზისული დემოგრაფიული მდგომარეობა შეიქმნა, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი მიზეზი იყო ემიგრაციული პროცესები და დაბადებულთა აბსოლუტური რაოდენობის მკვეთრი შემცირება. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემების თანახმად, თუმცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული დემოგრაფიული ვითარების გაუთვალისწინებლად, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 1990-2009 წწ-ში მეხუთედით შემცირდა.

1990-იან წლებში ქვეყნის მოსახლეობის დინამიკაში მიმდინარე ნეგატიური პროცესები შესაბამისად აისახა საქართველოს რეგიონებზეც. ორ აღწერათაშორისი (1989-2002 წწ.) დროის მონაკვეთში _ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონის გამოკლებით, ყველგან შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა. აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის მატება იძულებით გადაადგილებული პირების ჩასახლებით იყო განპირობებული. მოსახლეობის კლება განსაკუთრებით ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში, რაც გამოწვეული იყო მოსახლეობის საზღვარგარეთ გადინებით.

ბუნებრივი მოძრაობა

საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისიდან შეიქმნა საგანგაშო დემოგრაფიული სიტუაცია, რომელიც შემდგომ დემოგრაფიულ კრიზისში გადაიზარდა. ამ დროს 1,9-ჯერ შემცირდა დაბადებული ბავშვების აბსოლუტური რაოდენობა, ხოლო მოკვდაობის მაჩვენებელი გაიზარდა და 2000 წელს 10,7‰ შეადგინა. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი მჭიდროდ მიუახლოვდა ნულოვან ნიშნულს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში შეიმჩნევა შობადობის მატების ტენდენცია. ოფიციალური მონაცემების თანახმად 2008 წელს დაბადებულთა საერთო რაოდენობამ 56565 ბავშვი შეადგინა, რაც 7280-ით აღემატებოდა 2007 წლის მაჩვენებელს. დაბადებულთა რაოდენობის მატებაა 2009 წელსაც (63377), მაგრამ შემდეგ იკლებს, 57878 (2013 წ.). აღნიშნული მოვლენის ახსნას მომავალი წლების მონიტორინგი და საგანგებო სოციოლოგიური კვლევა სჭირდება.

მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაში მიმდინარე ნეგატიურმა პროცესებმა მეტნაკლებად შესაბამისი ასახვა პოვა საქართველოს რეგიონებშიც. ორი ათეული წლის განმავლობაში რეგიონების მოსახლეობის ბუნებრივი მატება საგრძნობლად დაქვეითდა, რადგან 2008 წელს 1990 წელთან შედარებით ყველგან შემცირდა შობადობის კოეფიციენტი. 2008-2009 წლებში კოეფიციენტი იმატებს 12,9-დან 14,4-მდე, ხოლო 2010 წ-დან ისევ იკლებს 12,9-მდე (2013 წ.) და უტოლდება 2008 წლის სიდიდეს. აღნიშნული ტენდენციის გამო საქართველოს რეგიონების უმრავლესობა (აჭარის, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის გარდა) მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის IV ფაზაში იმყოფება, რომლის დროსაც დემოგრაფიული პროცესი მიმართულია სტაბილიზაციისაკენ.

რაც შეეხება გარდაცვლილთა რიცხოვნობას, გარდაცვალების კოეფიციენტი უმნიშვნელოდ იცვლება - 2004-2008 წ.წ. ადგილი ჰქონდა კლებას 11,3- დან 9,8-მდე შესაბამისად, ხოლო 2013 წელს ეს მაჩვენებელი 10.8-მდე გაიზარდა.

მექანიკური მოძრაობა

საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაში მექანიკური მოძრაობა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. საქართველოს მოსახლეობას ახასიათებდა შიგა და გარე მიგრაციების პრაქტიკულად ყველა ფორმა, რომელთა გამომწვევი მიზეზები და ზეგავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე დროის ცალკეულ მონაკვეთებში განსხვავებული იყო.

მთიანი რეგიონებიდან, სადაც მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები მკაცრია და მეურნეობის განვითარება შეზღუდულია, მუდმივად ხდებოდა ადამიანების ჩამოსახლება ბარში. მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის შედეგად ასევე ხდებოდა ადამიანების გადასვლა სხვა საცხოვრებელ ადგილებზე და ახალი სოფლების წარმოქმნა. აღნიშნული ფაქტი ნათლად ჩანს ქართული სოფლების დასახელებიდან _ ზედა და ქვედა, ზემო და ქვემო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა მიგრაციული პროცესები სოფლებიდან ქალაქის მიმართულებით. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის 60%-მდე ქალაქში ჩასახლდა. დიდი ქალაქების უმრავლესობა, განსაკუთრებით თბილისი და მზარდი ქალაქი რუსთავი, ნახევარზე მეტად სოფლებიდან ჩამოსული მოსახლეობის ხარჯზე იზრდებოდა.

1950-იანი წლების მეორე ნახევარში (1957 წ.) მიგრაციულ პროცესებში ცვლილება მოხდა - საქართველო გარემიგრაციული ქვეყანა გახდა. 1959-1989 წწ. გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 278 ათასი ადამიანი შეადგინა. აღნიშნული დროის მონაკვეთში საქართველოს სოფლებიდან ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი გადავიდა ქალაქებში. აღსანიშნავია, რომ მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა მოსახლეობის ჩამოსვლა მთიანი სოფლებიდან ბარში, რის გამოც კატასტროფულად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს მთიან სასოფლო დასახლებებში.

1980-იანი წლების მიწურულს საქართველოში ეკოლოგიური მიზეზებით გამოწვეული, მნიშვნელოვანი მასშტაბის მიგრაციული პროცესები აღინიშნა. ქვემო და ზემო სვანეთიდან 1987 წელს თოვლის ზვავების შედეგად დაზარალებული დაახლოებით 2500 ოჯახი განაწილებულ იქნა მარნეულის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, ბოლნისის, საგარეჯოს, კასპის, დმანისის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ხონის რაიონებში. 1988-1989 წწ. მეწყრულმა მოვლენებმა, თოვლის ზვავებმა დიდი ზიანი მიაყენა მაღალმთიან აჭარას (ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონები). დაზარალებული მოსახლეობა განსახლებულ იქნა საქართველოს ბარის სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში.

1990-იანი წლების დასაწყისში, გარეშე ძალების მიერ ინსპირირებული სამხედრო კონფლიქტების შედეგად, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობამ, 2009 წლის ივნისის თვის მდგომარეობით 228,1 ათასი ადამიანი შეადგინა, რომელთა დიდი ნაწილი თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისში, ფოთში, წალენჯიხისა და წყალტუბოს რაიონებშია განსახლებული (http://www.mra.gov.ge).

1990-იან წლებში განვითარებული პროცესები თავისი მასშტაბებით უმაგალითო იყო ქვეყნის ისტორიაში. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1990-2008 წწ. გარემიგრაციულმა უარყოფითმა სალდომ 928,2 ათასი ადამიანი შეადგინა. განსაკუთრებით დიდი იყო ემიგრაციული ნაკადების მასშტაბები 1992-1996 წწ. აღნიშნული დროის მონაკვეთში საქართველოდან ემიგრირებულთა რაოდენობა 673,1 ათასის ტოლი იყო.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის თანახმად, ემიგრაციული ნაკადების მიმართულების ძირითადი ვექტორი მიმართული იყო რუსეთისაკენ და საბერძნეთისაკენ. აღნიშნულ ორ ქვეყანაზე მოდიოდა მთელი ემიგრაციული ნაკადის 80%. უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ემიგრაციული ნაკადების მიმართულებათა გადანაცვლება დასავლეთის ქვეყნებისაკენ.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ 26,6 ათასი შეადგინა. ცხინვალის რეგიონიდან დევნილად იქცა 19,4 ათასი, კოდორის ხეობიდან 1.9 ათასი, ხოლო ახალგორიდან - 5,3 ათასი ადამიანი. დევნილთა საერთო რაოდენობის დაახლოებით მეოთხედი ნაწილი, კომპაქტურად ჩაასახლეს მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში.
ემიგრანტების რაოდენობამ 2013 წლის მონაცემებით შეადგინა 95,064 ათასი, აქედან 39,483 კაცი, ხოლო 55,581 - ქალია.

სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

მოსახლეობის ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობაში მიმდინარე ნეგატიური პროცესებისა და ემიგრაციული პროცესების შედეგად, საქართველოს რეგიონების ასაკობრივ სტრუქტურაში საგრძნობლად შემცირდა 15 წლამდე ბავშვებისა და გაიზარდა ხანდაზმული მოსახლეობის წილი.

2002 წლის აღწერის მიხედვით, უფროსი ასაკის მოსახლეობის ძალიან მაღალი წილით გამოირჩეოდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი, სადაც ყოველი მესამე მცხოვრები 60 წელს იყო გადაცილებული. აღნიშნული ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის მაღალი წილი დაფიქსირდა გურიის (23,3%), კახეთის (22,0%), მცხეთა-მთიანეთისა (21,9%) და იმერეთის (21,8%) რეგიონებში.



უკანასკნელ წლებში საქართველოს სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში დაფიქსირებული ნეგატიური პროცესების ძირითად დეტერმინანტებს წარმოადგენდა არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგად გამოწვეული შობადობის მნიშვნელოვანი კლება და ფართო მასშტაბის ემიგრაციული პროცესები.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

საქართველოს მოსახლეობის დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებლები ბოლო ოცწლეულში მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოცია-ლური, ეთნიკური და სხვა მოვლენების გავლენით ჩამოყალიბდა. ამ მახასიათებლებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით: 15 წლის და უფროსი ასაკის დასაქმებულები და ის უმუშევრები, რომელთაც შეუძლიათ და ეძებენ სამუშაოს, ერთობლიობაში წარმოადგენენ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას (ეამ), ანუ სამუშაო ძალას. მისი რაოდენობა 1990 წ-დან დღემდე ძირი-თადად კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც აიხსნება შრომისუნარიანი მოსახლეობის გარე მიგრაციითა და ნაწილობრივ, მოსახლეობის დაბერებით.

რაც შეეხება უმუშევრებს, მათი რაოდენობა იზრდება 12.6%-დან (2002 წელი) - 16,9%-მდე (2009 წ.), ხოლო 2009 წლიდან იკლებს 14%-მდე (2013 წ.). თუმცა, სავარაუდოდ, რეალურ სურათს ეს მონაცემი არ ასახავს. ექსპერტების აზრით, შესაბამისად, მათი რაოდენობა ოფიციალურ მონაცემებზე გაცილებით მაღალია.

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9	1959.3	2029.1	2003.9
დასაქმებული, ათასი კაცი	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1
უმუშევარი, ათასი კაცი	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1	291.8
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15.0	14



ქვეყნის რეგიონების მიხედვით ეამ არათანაბრადაა განაწილებული. კერძოდ, უმეტესობა კონცენტრირებულია დედაქალაქში, მეორე ადგილზეა იმერეთი.

საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი 2012 წელს იყო საფინანსო საქმიანობაში, თუმცა, საერთოდ, ხელფასები არასახელმწიფო სექტორში უფრო მაღალია.

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელია ხელფასების სიდიდე. 2013 წელს საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი მამაკაცისთვის 149

ლარს შეადგენდა, საშუალო მომხმარებლისთვის - 132 ლარს, ხოლო ოთხწევრიანი ოჯახისათვის - 264 ლარს. სოციალური მომსახურების სააგენტოს წყაროზე დაყრდნობით, 2013 წ. მოსახლეობის დაახლოებით 9,7% სიღარიბის ზღვარს ქვევითაა (რეგისტრი-რებული სიღარიბე).

ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოს მოქმედებათა პროგრამის შემუშავების პროცესში გამოვლინდა გაუდაბნოებასთან ბრძოლის შემდეგი სუსტი მხარეები:

- არასაკმარისი დაფინანსება;
- მოსახლეობის გაუთვითცნობიერება (მოსახლეობას თავისი ქმედებით შეუძლია შეაჩეროს ეროზიული პროცესები, აამაღლოს ნიადაგების ნაყოფიერება, გაზარდოს ტყის ფართობები, შეამციროს დინამიკური პროცესების განვითარება, რაციონალურად გამოიყენოს რესურსები და სხვ.);
- სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ეროზიასთან ბრძოლის ტრადიციული მეთოდების დაუცველობა;
- ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში დაუდევარი დამოკიდებულება;
- ადგილობრივ მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა.

4.2.სტრატეგიული მიდგომები

მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავების პროცესში გაანალიზდა ისტორიული კვლევის მასალები, რის შედეგადაც გამოიკვეთა გაუდაბნოებასთან ბრძოლის სუსტი მხარეები და ჩამოყალიბდა ის სტრატეგიული მიდგომები, რომელიც აუცილებელია გაუდაბნოების/მიწების დეგრადაციის უარყოფითი შედეგების შესარბილებლად.

- აუცილებელია გაუდაბნოების საშიშროების ქვეშ მყოფი ტერიტორიების გამოვლენა და დარაიონება;
- აუცილებელია ნიადაგების ინვენტარიზაცია და მდგომარეობის შეფასება (მონაცემთა ბანკის შექმნა და კარტირება);
- საჭიროა ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განსაზღვრა (დატერასება, სადრენაჟო არხების მოწყობა, მოთაბაშირება და სხვ.); უნდა დადგინდეს დახრილ ფერდობებზე მიწის გამოყენების მოთხოვნები და კრიტერიუმები;
- საჭიროა დაინერგოს მორწყვის ნიადაგდაცვითი და წყალდაცვითი მეთოდები; უნდა აღდგეს სადრენაჟო კოლექტორული ქსელები;
- აუცილებელია ტყის მასივების დაცვა, აღდგენა და გაფართოვება; აუცილებელია მაღალმთიანი საძოვრების გაუმჯობესება და ბუჩქოვანი მცენარეების დარგვა; ქარსაცავი ზოლების აღდგენა;
- ადგილობრივი კლიმატური პირობებიდან, მათში მიმდინარე ცვლილებებზე განხორციელებული დაკვირვებიდან, არსებული ანთროპოგენური ზეწოლისა და ნიადაგის მდგომარეობიდან გამომდინარე, შემუშავებულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო მიწების ექსპლუატაციის ნორმები (პირუტყვის რაოდენობა საძოვრის ერთეულ ფართობზე; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ტიპი, რომელიც დასაშვებია მეწყერსაშიშ ზონებში; იმ ტერიტორიების ქარსაფარებით უზრუნველყოფა, რომლებიც მოწყვლადია ქარისმიერი ეროზიისადმი და სხვ.);

- აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის როლის გაზრდა მიწის დეგრადაციისა და გაუდაბნოებასთან ბრძოლაში; მიზანშეწონილობის შემთხვევაში განხორციელდეს სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში მოსახლეობის ენერგიის ალტერნატიული წყაროებით უზრუნველყოფა;
- აუცილებელია მიტოვებული სარწყავი სისტემების აღრიცხვა, რეაბილიტაცია ან გაუქმება; გასაუმჯობესებელია საირიგაციო სისტემები (უნდა მოხდეს მორწყვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება); აუცილებელია რაციონალურ წყალსარგებლობაზე გადასვლა;
- საჭიროა რაციონალური მიწათსარგებლობის რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების შემუშავება; აუცილებელია მდგრადი მიწათსარგებლობის მოთხოვნებისა და მექანიზმების დანერგვა; საჭიროა ბიოტექნოლოგიების დანერგვა (გვალვაგამძლე და მარილგამძლე ჯიშების შერჩევა);
- აუცილებელია ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ბაზების (ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექების ტიპი და რაოდენობა, ფარდობითი ტენიანობა, ქარის სიჩქარე და განმეორებადობა, მდინარის ხარჯი და სხვ.) შექმნა;
- აუცილებელია გაუდაბნოების გავლენის შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე;
- აუცილებელია სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სამეცნიერო მეთოდიკის შემუშავება მოსახლეობის ჯანსაღი პროდუქტებით მოსამარაგებლად და გაუდაბნოების პროცესის აღსაკვეთად; უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და შემდგომი აღორძინებისთვის მყარი ინფრასტრუქტურა (მიწების მორწყვა, შხამ-ქიმიკატებით უზრუნველყოფა, მექანიზაცია თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით);
- უნდა განხორციელდეს ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენებით (გვალვა, სეტყვა, ძლიერი ქარები და სხვ.), ბუნებრივი კატასტროფებით/გეოდინამიკური პროცესებით (წყალდიდობები, მეწყერები, ღვარცოფები და სხვ.) გამოწვეული რისკების, მათი სარეაბილიტაციო და საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.მათი რეგიონის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე გავლენის შეფასება და გათვალისწინება რეგიონების მდგრადი განვითარების სტრატეგიებსა და სამოქმედო პროგრამებში;
- აუცილებელია სამეცნიერო გამოკვლევების ხელშეწყობა; ტრადიციული მეთოდოლოგიების გამოყენება, განახლება და თანამედროვე მიდგომების მოძიება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- საჭიროა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის გაუმჯობესება; რისკის ზონებში უნდა დაინერგოს მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემები, შემუშავდეს ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციებისათვის სამოქმედო გეგმები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

5. შესაძლებლობების გაძლიერება

შესაძლებლობების გაძლიერება წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია „განისაზღვროს და დაკმაყოფილდეს საჭიროებები შესაძლებლობების გაძლიერებისთვის გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის შემცირებისთვის და გვალვის ზემოქმედების შერბილებისთვის“.

შემდეგი პრიორიტეტული ქმედებები განიხილება ამ მიზნის მიღწევისთვის:

ა) შეფასება, თუ რამდენად არის შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა ჩართული (გამიზნული დაგეგმარებაზე, კვლევაზე და საკონსულტაციო მომსახურებაზე, და მთავრობის წარმომადგენლებზე ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე) და რომ

სათანადო ყურადღება მიქცეულია თუ არა ფინანსური სისტემის თანამშრომლების, ადგილობრივი ორგანოების თანამშრომლების და გადაწყვეტილების მიმღები პირების ტრენინგზე მიწის რესურსების როლზე ეკონომიკურ განვითარებაში და ან რატომ არის მიწის დეგრადაციის საკითხები მნიშვნელოვანი მდგრადი განვითარებისთვის.

ბ) შეფასება, თუ რამდენად არის გათვალისწინებული სწავლების მიდგომა კონკრეტულ აუდიტორიაზე (გამიზნული გარემოსდაცვითი განათლებაზე და მმართველობაზე) კონკრეტულად გამიზნული არასამთავრობო დაინტერესებული მხარეების უზრუნველყოფაზე და ადგილობრივი განვითარების პროგრამებზე.

გ) ჯვარედინი განხილვა არსებული ეროვნული შესაძლებლობების შეფასებისა და 1/COP.7 და 1/COP.8 დოკუმენტების მოთხოვნებისა, იმის დადგენის მიზნით, თუ რამდენად არის გათვალისწინებული:

1. დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებული ასპექტები მიწათსარგებლობის მართვასა და აგრეთვე არსებულ ინსტიტუციონალურ და ადამიანურ შესაძლებლობებთან.

2. ეროვნული საკონტაქტო პირების შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხები (თანამდებობრივად, ბიუჯეტური თანადგომით, ადამიანური რესურსებით), მათი ზეგავლენის თვალსაზრისით პოლიტიკის მიღების პროცესზე;

3. მოქმედებათა პროგრამის განხორციელებაში თანამშრომლობა სამთავრობო და კერძო სტრუქტურებს შორის (ყველა დონეზე).

4. შესაძლებლობების გაძლიერება უწყებათაშორისი თანამშრომლობის მიდგომებისთვის და რიო-დე-ჟანეიროს სამი კონვენციისა და სხვა მრავალმხრივი ხელშეკრულებების სინერგეტიკული თანამშრომლობის ხელშეწყობა.

5.1. სიტუაციის ანალიზი/პრობლემის აღწერა

გლობალური გარემოს დაცვის მიზნით საქართველოს შესაძლებლობათა გაძლირების საჭიროებების თვითშეფასების ფარგლებში საქართველომ, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით 2005 წელს მოახდინა ბიომრავალფეროვნების დაცვის, კლიმატის ცვლილების და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგია და 2006-2010 წლების პერიოდზე გათვლილი მოქმედებათა გეგმის[31] შემუშავება.

თვითშეფასების პროცესი მიზნად ისახავდა გაეროს სამი გლობალური კონვენციის - კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციების განხორციელებისათვის საქართველოში არსებული ინსტიტუციური, ფინანსური, ტექნიკური, ინფორმაციული და ადამიანური რესურსების შეფასებას, პრობლემების გამოვლენას და ამ პრობლემების დასაძლევად და შესაძლებლობების

[31] ბიომრავალფეროვნების დაცვის, კლიმატის ცვლილების და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2006-2010 წლებისათვის/გლობალური გარემოს დაცვის მიზნით საქართველოს შესაძლებლობათა გაძლირების საჭიროებების თვითშეფასება / საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, UNDP, GEF (2005), Georgia's Capacity Needs Self Assessment for Global Environmental Management - Strategy and Action Plan for Capacity Building in the Areas of Biodiversity Conservation and Sustainable Use, Climate Change and Combating Desertification - 2005-2010. Tbilisi, Georgia. Developed under the UNDP/GEF supported project (2005), http://www.undp.org/content/dam/undp/library/Environment%20and%20Energy/Integrating%20Environment%20into%20Development/ncsa/final%20report%20and%20action%20plan/english/ncsa-georgia-fr-ap.pdf.

გასაძლიერებლად სტრატეგიის და მოქმედებათა გეგმის შემუშავებას. ზემოაღნიშნულ დოკუმენტში მოკლედ არის წარმოდგენილი სამი გლობალური კონვენციის (მათ შორის გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის) განხორციელების თვალსაზრისით საქართველოში არსებული ძირითადი პრობლემები სისტემურ, ინსტიტუტების და ინდივიდების დონეზე; ასახულია ინფორმაცია კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების დაცვის და გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების, კანონმდებლობის, სამთავრობო, აკადემიური და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის, მათი და მათში დასაქმებული ინდივიდების შესაძლებლობების შესახებ; გაანალიზებულია ამ სფეროებისათვის საერთო და ე.წ. "ურთიერთგადამკვეთი" პრობლემები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის სტრატეგია და კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს რიოს კონვენციების განსახორციელებლად საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერებას საშუალოვადიან (2006-2010 წლებში) პერიოდში.

დოკუმენტის მიხედვით ინდივიდის დონეზე შესაძლებლობათა გაძლიერებაში იგულისხმება შეხედულებების, მიდგომების და ქცევების არსებული სტილის შეცვლა, უმეტესწილად სწავლების საშუალებით, ცოდნის გადაცემის და უნარჩვევების განვითარების გზით. თუმცა, ამ შემთხვევაში შესაძლებლობათა გაძლიერება ასევე მოიცავს გამოცდილების მიღებას იმ პროცესებში მონაწილეობით, რომლებიც ითვალისწინებს მართვის, მოტივაციის, მორალის, კულტურის, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საკითხებში ცვლილებების გატარებას.

ინსტიტუტების დონეზე შესაძლებლობათა გაძლიერება გულისხმობს ორგანიზაციების ფუნქციონირების ზოგადი ეფექტიანობის ამაღლებას და, ასევე, ცვლილებებისადმი მათი ადაპტაციის უნარის გაძლიერებას. შესაძლებლობათა გაძლიერება ინსტიტუციურ დონეზე მიმართულია ინსტიტუტის, როგორც მთლიანი სისტემის განვითარებისაკენ ცალკეული მომუშავე პიროვნებებისა და ჯგუფების ჩათვლით, ასევე მისი ურთიერთობების გაღრმავებისკენ სხვა ინსტიტუტებთან. მატერიალური ბაზის გაუმჯობესების გარდა, ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერება მოიცავს მათი მისიის, ფუნქციის, სტრუქტურის, ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობის ნათლად განსაზღვრას, ცვლილებების გატარებას პროცედურებსა და კომუნიკაციებში, ასევე მომუშავე პერსონალის ფუნქციების გადანაწილებას.

რაც შეეხება სისტემის დონეზე შესაძლებლობათა გაძლიერებას, აქ იგულისხმება "მუშაობისთვის ხელსაყრელი გარემოს" შექმნა, ანუ მთლიანი პოლიტიკური, ეკონომიკური, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა, რომელთა ფარგლებშიც უხდებათ ინსტიტუტებსა თუ ცალკეულ პიროვნებებს მუშაობა. ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია ინსტიტუტებს შორის როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ურთიერთობის გათვალისწინება.

შესაძლებლობათა გაძლიერებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ, ასევე ნებისმიერი პიროვნებისა და დაინტერესებული მხარის (ფიზიკური და იურიდიული პირისა და ინსტიტუტის ჩათვლით) და ბოლოს, მთელი სისტემის დონეზე. ერთიანი შესაძლებლობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ დონეებს შორის ურთიერთკავშირი. შესაძლებლობათა გაძლიერება აქტუალურია როგორც მოკლევადიანი (მაგ.: არსებული პრობლემების გადაჭრის უნარი), ასევე გრძელვადიანი პერსპექტივით (გარკვეული ცვლილებების განხორციელებისათვის პირობების შექმნის უნარი).

დოკუმენტის მიხედვით ტერმინში "შესაძლებლობათა გაძლიერება" შეიძლება იგულისხმებოდეს "მოქმედება" ან "უმოქმედობა" მისაღები სასურველი შედეგის მიხედვით. შესაძლებლობათა გაძლიერება ყოველთვის არ გულისხმობს ახალი შესაძლებლობების შექმნას. ის

შეიძლება გულისხმობდეს შესაძლებლობათა გადანაწილებას ან გამოუყენებელი შესაძლებლობების გაუქმებას.

მიუხედავად, იმისა, რომ გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიისა და 2006-2010 წლების პერიოდზე გათვლილი მოქმედებათა გეგმის შემუშავებიდან საკმაო დრომ განვლო, რომლის განმავლობაშიც მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები იქნა განხორციელებული - 2006-2010 წლების პერიოდზე გათვლილი მოქმედებათა გეგმა (გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში) დღესაც არ კარგავს აქტუალობას - როგორც სისტემურ, ინსტიტუტების და ინდივიდების დონეზე არსებული ძირითადი პრობლემების და მათი გადაჭრის შესაძლო გზების, ასევე ამავე სფეროში დასაქმებული ინდივიდების (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითთმართველობის ორგანოების მოსამსახურეები, აკადემიური ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები) შესაძლებლობების გაძლიერების პოტენციალის თვალსაზრისით.

5.2. სტრატეგიული მიდგომები

იმდენად, რამდენადაც საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელთაც უკვე მოახდინეს გლობალური გარემოს დაცვის მიზნით ეროვნულ შესაძლებლობათა გაძლირების საჭიროებების თვითშეფასება და ამ პროცესის ფარგლებში შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავება - მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის არა ხელახლა შემუშავება და თვითშეფასების პროცესის ხელახლა დაწყება, არამედ მისი განახლება/გადასინჯვა გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროს ნაწილში და ამის საფუძველზე გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიისა და 2016-2018 წწ.-ის მოქმედებათა განახლებული გეგმის მომზადება - იმის მხედველობაში მიღებით, რომ უკვე არსებულ შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროს ნაწილში გათვალისწინებულ ღონისძიებათა უმეტესი ნაწილი დღემდე არ განხორციელებულა.

ამასთან, მნიშვნელოვანი იქნება განახლებულ გეგმაში გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერებასთან დაკავშირებული იმ ქმედებების ინტეგრირება, რომლებიც მოყვანილია უკანასკნელ პერიოდში მიღებულ დოკუმენტებში - მაგ., საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის №127 განკარგულებით მიღებულ 2012-2016 წლებზე გათვლილ საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის მიწის რესურსების ნაწილში (მიმართულება - მიწის რესურსები /თავი VIII/).

6. განხორციელება და რესურსების მობილიზება

გაუდაბნოებასთან ბრძოლის სუსტი მხარეების შესწავლისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად გამოვლინდა არასაკმარისი დაფინანსება.

აღსანიშნავია, რომ გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ეროვნული პროგრამა ითვალისწინებდა შეზღუდულ დაფინანსებას. ფაქტობრივად, მასში გათვალისწინებული იყო მხოლოდ მცირემასშტაბიანი საპილოტო პროექტები, სამეცნიერო კვლევების, ცალკეული პროგრამების/გეგმების შედგენის და წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარების ღონისძიებები. პროგრამაში ნაკლებად იყო გათვალისწინებული საინვესტიციო და ინსტიტუციური ხასიათის ღონისძიებები (საკანონმდებლო და ორგანიზაციული ცვლილებები), რომლებიც მიმართული იქნებოდა გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის პრობლემის შემცირების ან გადაჭრისაკენ.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის მხარე ქვეყნების მიერ საჭიროა მოქმედებათა გეგმის განსახორციელებლად რესურსების მობილიზაცია. სტრატეგიის მე-5 მიზანი ითვალისწინებს დაფინანსებას და ტექნოლოგიების გადაცემას. ეს შესაძლებელია:

ა) ეროვნულ მოქმედებათა პროგრამის დაგეგმვის ინტეგრირებით ქვეყნის განვითარების პროგრამასთან და საბიუჯეტო ციკლთან.
ბ) ფინანსური შესაძლებლობების შეფასების ჩატარებით, რომელიც როგორც წესი მოითხოვს სექტორთაშორის განხილვას (ფინანსური ბარიერების გამოვლენა ბევრ სფეროში, მათ შორის პოლიტიკა, კანონმდებლობა, ინსტიტუციონალური სტრუქტურა, ცოდნასთან ხელმისაწვდომობა და ა.შ.) და შემდეგი ელემენტების ანალიზს

1. წყაროები (შიდა და გარე) და ინსტრუმენტები (საბაზრო, ფისკალური, სადაზღვევო, სავაჭრო);
2. ბარიერების სხვადასხვა კატეგორიები;
3. ფინანსური ნაკადების ტენდენციები;
4. ფინანსური პირობები;
5. ფინანსური რესურსების მაინიცირებელი ფაქტორები და/ან ამ პროცესზე გავლენის მოხდენა

გ) ინტეგრირებული ფინანსური სტრატეგიის ფორმულირებით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ოპტიმალურ შეთანხმებას, როგორც ყველა არსებული წყაროსი, აგრეთვე ფინანსური პირობების.

„ინტეგრირებული ფინანსური სტრატეგია“ გაითვალისწინებს დაფინანსების ყველა არსებულ წყაროს, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტისა, ასევე უცხოელი დონორების ჩათვლით. ამასთანავე მნიშვნელოვანია დაფინანსების ახალი, ინოვაციური ხერხების (მაგ, კერძო სექტორთან პარტნიორობა) დანერგვა.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის გაეროს კონვენციას შექმნილი აქვს ფინანსური მექანიზმი გლობალური მექანიზმის სახით, რომელიც ასრულებს შუამავლის როლს ქვეყნებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის. მას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც გლობალური მექანიზმი დახმარებას უწევს იმ ქვეყნებს ფინანსების მოძიებაში დონორი ქვეყნებიდან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან, რომლებსაც გაუდაბნოებასთან და მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის საკითხები ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებად აქვთ განსაზღვრული.

საქართველოში გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნულ მოქმედებათა პროგრამის განხორციელება დიდწილად იქნება დამოკიდებული მისთვის გამოყოფილ ადამიანურ და ფინანსურ რესურსებზე. გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შესრულება უნდა განიხილებოდეს არამარტო ფინანსური დანახარჯი, არამედ, როგორც სახსრების ეკონომიაც და/ან შემოსავალიც. ის, რაც მოკლევადიან პერსპექტივაში დანახარჯია, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია ინვესტიციად განვიხილოთ. ფინანსური რესურსი, რომელიც გაღებულია მიწის დეგრადაციის თავიდან ასაცილებლად, მომავალში ის ქვეყანას მოუტანს მეტ სარგებელს სასოფლო სამეურნეო სექტორიდან.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება ამ პროგრამაში ჩართულმა თითოეულმა უწყებამ უნდა განახორციელოს წლიური ბიუჯეტის კანონით მისთვის დამტკიცებული და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით საშუალოვადიან პერიოდში გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების ფარგლებში.

7. საოპერაციო მიზნები, სტრატეგიული ამოცანები, შედეგები და ქმედებები

საოპერაციო მიზანი 1: ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლება და განათლება

შედეგები	სტრატეგიული მიზანი	ინდიკატორი	ეროვნული მიზანი	განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობები
შედეგი 1.1: საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის საკითხებზე და მათ ურთიერთკავშირზე ბიომრავალფეროვნებასა და კლიმატის ცვლილებასთან	1	1.გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის პრობლემებსა თუ გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის მიმართულებით საზოგადოების ცოდნის დონის და განათლების მხრივ არსებული ტენდენციები 2. პუბლიკაციებისა და მედია ღონისძიებების რაოდენობა (სტატია, ტელეგადაცემები)	2020 წლისთვის გადაწყვეტილების მიმღებთა 40, ხოლო მოსახლეობის 30% მაინც იქნება ინფორმირებული გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის საკითხებზე და მათ ურთიერთკავშირზე ბიომრავალფეროვნებასა და კლიმატის ცვლილებასთან	გაუდაბნოებასთან დაკავშირებული საბაზისო ცოდნის შეფასება სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებში არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია კამპანიების, შესაბამისი უნივერსიტეტების, ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მხარდაჭერა
შედეგი 1.2: გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის პრობლემების განხილვა შესაბამის საერთაშორისო ფორუმებზე, (მათ შორის კლიმატის ცვლილების, სასოფლო-სამეურნეო, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის შემცირების მიმართულებით ჩატარებულ ფორუმებზე).	1	შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების რაოდენობა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე	2015 წლისთვის კონვენციის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე და მოიცავს ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების შესახებ, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო ფორუმებზე	მთავრობის მხარდაჭერა გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის საკითხების ჩართვას საერთაშორისო ფორუმებში
შედეგი1.3: სამოქალაქო საზოგა-	1	1. კონვენციის მუშაობაში	2020 წლისათვის საზოგადოებ-	შესაბამისი პოლიტიკური ნება;

დოების ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებების აქტიური ჩართვა კონვენციის განხორციელების პროცესში.		მონაწილე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებების რაოდენობა. 2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებების ინიციატივათა რაოდენობა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით გაუდაბნოება, მიწის დეგრადაციისა და გვალვის საკითხებზე	რივი ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებების 50% აცნობიერებს გაუდაბნოებისა/მიწის დეგრადაციის/ გვალვის პრობლემებს და თავისი ინიციატივების ფარგლებში ატარებს ღონისძიებებს.	ფინანსური და ადამიანური რესურსების არსებობა

შედეგი 1.1: საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის საკითხებზე და მათ ურთიერთკავშირზე ბიომრავალფეროვნებასა და კლიმატის ცვლილებასთან

2020 წლისთვის გადაწყვეტილების მიმღებთა 40, ხოლო მოსახლეობის 30% მაინც იქნება ინფორმირებული გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის საკითხებზე და მათ ურთიერთკავშირზე ბიომრავალფეროვნებასა და კლიმატის ცვლილებასთან

ქმედება	გრაფიკი	ბიუჯეტი	პასუხისმგებელი სააგენტო	პოტენციური დაფინანსების წყარო
შესაძლებლობების გაძლიერების სასწავლო სემინარების ორგანიზება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის	2015-2020	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
ძირითადი გზავნილების შემუშავება ძირითადი მიზნობრივი ჯგუფებისთვის (გადაწყვეტილებების მიმღებები, ბიზნეს სექტორი, მედიის წარმომადგენლები, მასწავლებლები, ადგილობრივი მოსახლეობა) და საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება თითოეული ჯგუფისთვის საზოგა-	2015	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები

დოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად				
ბეჭდვით მედიასთან, სატელევიზიო და რადიო პროექ-ტებთან თანამშრომლობა (მემორანდუმის გაფორმება) გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის საკით-ხების უკეთ გაშუქების მისაღწევად	2015-2020	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
სოციალურ ქსელებში, რეგულარული საინფორმაციო ბლოგების შექმნა	2015-2020	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სამოქალაქო საზოგადოება	სახელმწიფო ბიუჯეტი
საჭიროებების შეფასების ჩატარება და საგანგებოდ მომზადებული სასწავლო კურსები ჟურნალისტებისთვის გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის საკით-ხებზე	2015-2020	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა	2015-2022	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები

შედეგი 1.2: გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციისა და გვალვის პრობლემების განხილვა შესაბამის საერთაშორისო ფორუმებზე, (მათ შორის კლიმატის ცვლილების, სასოფლო-სამეურნეო, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის შემცირების მიმართულებით ჩატარებულ ფორუმებზე).

2015 წლისთვის კონვენციის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე და მოიცავს ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების შესახებ, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო ფორუმებზე

ქმედება	გრაფიკი	ბიუჯეტი	პასუხისმგებელი სააგენტო	პოტენციური დაფინანსების წყარო
კონვენციის შესახებ დეტალური ინფორმაციის მომ-ზადება ქართულ ენაზე და ვებპორტალის შექმნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე.	2015	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
ეროვნული მოხსენების მომზადების სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება	2015-2017	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები

შედეგი 1.3: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებების აქტიური ჩართვა კონვენციის განხორციელების პროცესში.

2020 წლისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-ტექნიკური დაწესებულებების 50% აცნობიერებს გაუდაბნოებისა/ მიწის დეგრადაციის/ გვალვის პრობლემებს და თავისი ინიციატივების ფარგლებში ატარებს ღონისძიებებს.				
ღონისძიება	**გრაფიკი**	**ბიუჯეტი**	**პასუხისმგებელი სააგენტო/განმახორიელებელი ორგანიზაცია**	**პოტენციური დაფინანსების წყარო**
ქსელის შექმნა ყველა დაინტერებული მხარის მონაწილეობით არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აკადემიურ ინსტიტუტებთან ერთად და მემორანდუმის ხელმოწერა თანამშრომლობასა და გაუდაბნოებასთან ბრძოლის გაეროს კონვენციის ერთობლივ განხორციელებაზე	2015-2016	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობა და მათი როლის გაზრდა მიწის დეგრადაციისა და გაუდაბნოებასთან ბრძოლაში	2014-2022	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რეგულარული საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებასთან, გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან და გვალვასთან დაკავშირებით, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე	2015-2022	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი/ დონორები
გაუდაბნოება/მიწის დეგრადაციის საკითხებზე ილუსტრირებული სასწავლო მასალების შექმნა და გავრცელება; სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა.	2015-2020	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/ განათლების და მეცნიერების სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი/ დონორები
მასწავლებლების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის	2015-2020	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი/ დონორები

ინსტიტუტების ჩართულობით				
სურსათის უვნებლობის შესახებ საზოგადოებრივი ცოდნის ამაღლება	2014-2020	მცირე*	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი
ადგილობრივი მოსახლეობისა და ფერმერების ინფორმირება, მათი დაინტერესება ნიადაგდაცვითი ღონისძიებებით	2015-2020	საშუალო*	სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები

საოპერაციო მიზანი 2. კანონმდებლობა

შედეგები	სტრატეგიული მიზანი	ინდიკატორი	ეროვნული მიზანი	განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობები
შედეგი 2.1: გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის გამომწვევი და მიწის რესურსების მდგრადი მართვის ხელშემშლელი პოლიტიკური, ფინანსური და სოციალ-ეკონომიკური ხასიათის ძირეული მიზეზები შეფასებულია და დასახულია შესაბამისი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად	1	გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის შემუშავება დასრულებულია	2014 წლისთვის შემუშავებული და მიღებულია გაუდაბნოებასთან ბრძოლის განახლებული მოქმედებათა ეროვნული პროგრამა	ეფექტიანი უწყებათშორისი თანამშრომლობა
შედეგი 2.2: გაუდაბნოებასთან ბრძოლის არსებული ეროვნული მოქმედებათა პროგრამა განახლებულია (ბიოფიზიკური და სოციალ-ეკონომიკური საბაზო ინფორმაციის განახლებასთან ერთად) სტრატეგიული დოკუმენტის სახით და იგი ასახულია ინტეგრირებულ საინვესტიციო (საფინანსო-საბიუჯეტო) ჩარჩო დოკუმენტებში	1	საფინანსო-საბიუჯეტო ჩარჩო დოკუმენტში, რომელშიც ასახულია ეროვნული პროგრამის ქმედებები	2016 წლისთვის გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა აღიარებულია ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად	დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფო უწყებები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.) ჩართულობა

შედეგი 2.3: უზრუნველყოფილია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის არსებული ეროვნული მოქმედებათა პროგრამის, ასევე მიწის რესურსების მდგრადი მართვისა და მიწის დეგრადაციის ასპექტების ინტეგრირება შესაბამის სექტორულ და საინვესტიციო გეგმებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში		მიწის რესურსების მდგრადი მართვისა და მიწის დეგრადაციის ასპექტები ინტეგრირებულია შესაბამის სექტორულ და საინვესტიციო გეგმებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში	2018 წლისთვის სექტორულ და საინვესტიციო გეგმებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში ინტეგრირებულია გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის ასპექტები	დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფო უწყებები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.) ჩართულობა
შედეგი 2.4: გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის მოქმედებათა პროგრამითა და ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების მიტიგაციისა და ადაპტაციის პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება წარმოებს ურთერთშეთანხმებულად - იმგვარად, რომ გაძლიერებული იყოს ამ ღონისძიებათა განხორციელებით მიღებული კუმულაციური ეფექტი	1	გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციით, ბიომრავალფეროვნების კონვენციითა და კლიმატის ცვლილების ჩარ-ჩო კონვენციით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ურთიერთშეთანხმებული (სინერგეტიკული) მექანიზმი/ების ამოქმედება	2017 წლისთვის შემუშავებულია სულ მცირე ერთი - ა) ერთობლივი გეგმა ან ბ) ფუნქციონალური მექანიზმი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციით, ბიომრავალფეროვნების კონვენციითა და კლიმატის ცვლილების ჩარ-ჩო კონვენციით გათვალისწინებული ღონისძიებების ურთიერთშეთანხმებული (სინერგეტიკული) დაგეგმვა და განხორციელება	კოორდინაცია სამთავრობო და სხვა შესაბამის ორგანიზაციებს შორის და ეფექტიანი უწყებათშორისი თანამშრომლობა დაინტერესბული მხარეების (სახელმწიფო უწყებები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.) ჩართულობა საზოგადოებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაინტერესება და მხარდაჭერა

<u>შედეგი 2.1</u> : გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის გამომწვევი და მიწის რესურსების მდგრადი მართვის ხელშემშლელი პოლიტიკური, ფინანსური და სოციალ-ეკონომიკური ხასიათის ძირეული მიზეზები შეფასებულია და დასახულია შესაბამისი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად

2014 წლისთვის შემუშავებული და მიღებულია გაუდაბნოებასთან ბრძოლის განახლებული მოქმედებათა ეროვნული პროგრამა

ღონისძიება	გრაფიკი	ბიუჯეტი	პასუხისმგებელი სააგენტო/განმახორიელებელი ორგანიზაცია	პოტენციური დაფინანსების წყარო
გაუდაბნოებასთან ბრძოლის განახლებული მოქმედებათა ეროვნული პროგრამის განხორციელების მონიტორინგი	2015-2022	მცირე*	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
სოფლის მეურნეობის სტრატეგიის შემუშავება	2014-2015	მცირე*	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმციწო ბიუჯეტი დონორები
მიწის რესურსების მდგრადი მართვის სფეროში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა	2015-2017	საშუალო*	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სხვა დაინტერესებული უწყებები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორები
კანონმდებლობაში გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების სფეროში მოქმედი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებით დადგენილი ნორმების ინტეგრირება, რომლებიც ორიენტირებული იქნება გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან და სხვა თანამდევ საკითხებთან დაკავშირებული უარყოფითი ზეგავლენის შემცირების უზრუნველყოფაზე. (შესაბამისი ცვლილებები და დამატებების პროექტის მომზადება მოქმედ კანონმდებლობაში - საქართველოს კანონებში „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“, „გარემოს დაცვის შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ და სხვ.)	2015	მცირე*	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები და ქვეყნები

მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მი-წის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალ-ფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების თავიდან აცი-ლების კუთხით აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ნორმების ინტეგრირება ერთი მხრივ, დაცული ტერიტო-რიებისა და სატყეო მეურნეობის, ხოლო მეორე მხრივ არსებულ სივრცით-ტერიტორიული განვითარების კანონმდებლობაში (საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“)	2015-2017	მცირე*	საქართველოს გარემოსა და ბუნებ-რივი რესურსების დაცვის სამინის-ტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამეც-ნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები და ქვეყნები

შედეგი 2.2 : გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის არსებული ეროვნული მოქმედებათა პროგრამა განახლებულია (ბიოფიზიკური და სოციალ-ეკონომიკური საბაზო ინფორმაციის განახლებასთან ერთად) სტრატეგიული დოკუმენტის სახით და იგი ასახულია ინტეგრირებულ საინვესტიციო (საფინანსო-საბიუჯეტო) ჩარჩო დოკუმენტებში

2014 წლისთვის შემუშავებული და მიღებულია გაუდაბნოებასთან ბრძოლის განახლებული მოქმედებათა ეროვნული პროგრამა				
ღონისძიება	**გრაფიკი**	**ბიუჯეტი**	**პასუხისმგებელი სააგენტო/განმახორიელებელი ორგანიზაცია**	**პოტენციური დაფინანსების წყარო**
გაუდაბნოებასთან ბრძოლის განახლებული მოქმედებათა ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული ღონის-ძიებების ინტეგრირება შესაბამის ყოველწლიურ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების პროექტების პროგრამულ და ხარჯვით ნაწი-ლებში - გაუდაბნოებასთან ბრძოლის განახლებული მოქ-მედებათა ეროვნული პროგრამის განხორციელების პე-რიოდის განმავლობაში	2015-2022	-	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინის-ტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქარ-თველოს ეკონომიკისა და მდგრა-დი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტ-რო, ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის ორგანოები	სახელმწიფო ბიუჯეტი

შედეგი 2.3: უზრუნველყოფილია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის არსებული ეროვნული მოქმედებათა პროგრამის, ასევე მიწის რესურსების მდგრადი მართვისა და მიწის დეგრადაციის ასპექტების ინტეგრირება შესაბამის სექტორულ და საინვესტიციო გეგმებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში

2014 წლისთვის შემუშავებული და მიღებულია გაუდაბნოებასთან ბრძოლის განახლებული მოქმედებათა ეროვნული პროგრამა				
ღონისძიება	გრაფიკი	ბიუჯეტი	პასუხისმგებელი სააგენტო/განმახორიელებელი ორგანიზაცია	პოტენციური დაფინანსების წყარო
მიწის რესურსების მდგრადი მართვისა და დაცვის სფეროში ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება და მართვის ისეთი სისტემების შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება მიწის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების განხორციელებაზე	2015-2017	საშუალო*	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სხვა დაინტერსებული უწყებები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები და ქვეყნები

<u>შედეგი 2.4:</u> გაუდაბნოებასთან/მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის მოქმედებათა პროგრამითა და ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების მიტიგაციისა და ადაპტაციის პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება წარმოებს ურთერთშეთანხმებულად - იმგვარად, რომ გაძლიერებული იყოს ამ ღონისძიებათა განხორციელებით მიღებული კუმულაციური ეფექტი

2017 წლისთვის შემუშავებულია სულ მცირე ერთი -
ა) ერთობლივი გეგმა ან
ბ) ფუნქციონალური მექანიზმი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციით, ბიომრავალფეროვნების კონვენციითა და კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებული ღონისძიებების ურთიერთშეთანხმებული (სინერგეტიკული) დაგეგმვა და განხორციელება

ღონისძიება	გრაფიკი	ბიუჯეტი	პასუხისმგებელი სააგენტო/განმახორიელებელი ორგანიზაცია	პოტენციური დაფინანსების წყარო
ურთიერთდაკავშირებული საკითხების ინტეგრირებისა და დარგთაშორისი მიდგომების გამოყენების უზრუნველ-საყოფად მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბ-ნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების თავიდან აცილების დაგეგმარების სახელმძღვანელოს (მეთოდური მითითებების) შემუშავება, რომელშიც გაშუქებული იქნება დაგეგმარებისთვის აუცილებელი ყველა ძირითადი ელემენტი	2015-2016	საშუალო*	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფ-ლის მეურნეობის სამინისტრო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ-ტები და არასამთავრობო ორგანი-ზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორები
მიწათსარგებლობის გეგმების მომზადებისათვის მეთო-დოლოგიების შემუშავება გარემოსდაცვითი პრინციპების გათვალისწინებით და მიწათსარგებლობის მართვისათვის მიწის რესურსების მდგრადი და ინტეგრირებული მართვის საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომებზე დაყრდნობით	2015-2016	საშუალო*	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფ-ლის მეურნეობის სამინისტრო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ-ტები და არასამთავრობო ორგანი-ზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორები
საძოვრების მართვის გეგმების მომზადებისათვის მეთოდოლოგიების შემუშავება ინტეგრირებული მართვის საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომებზე დაყრდნობით	2015-2016	საშუალო*	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სა-მინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სამეც-ნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორები

ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიის მეთოდოლოგიური მიდგომების დამტკიცება	2016-2018	საშუალო*	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები

საოპერაციო მიზანი 3: მეცნიერება, ტექნოლოგია, ცოდნა

შედეგები	სტრატეგიული მიზანი	ინდიკატორი	ეროვნული მიზანი	**განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობები**
შედეგი 3.1: ბიოფიზიკური, გეოფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური ტენდენციების ეროვნული მონიტორინგისა და მოწყვლადობის შეფასება	2	შექმნილია რეგიონული მონიტორინგის სიტემა	2018 წლისთვის შექმ-ნილია რეგიონული მონი-ტორინგის სისტემა	დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფო უწყებები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.) ჩართულობა
შედეგი 3.2: მონაცემთა ბაზების შექმნა ბიოფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური ტენდენციების შესახებ არსებული ყველაზე საიმედო მონაცემების საფუძველზე და შესაბამისი სამეცნიერო მიდგომების თანდათანობითი ჰარმონიზაცია	2	რეგიონული საანგარიშო პირები შეთანხმებული ინდიკატორების საფუძველზე ამზადებენ მოხსენების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად	2018 წლისთვის კონვენციისთვის რეგიონული საანგარიშო პირების მიერ მომზადებულია მოხსენება ახალი საანგარიშო სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად	ეფექტიანი უწყებათშორისი თანამშრომლობა
შედეგი 3.3: ბიოფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების და მათი ურთიერთქმედების ცოდნა უკეთესი გადაწყვეტილებების მისაღებად **შედეგი 3.4:** კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის, გვალვის შერბილებისა და დეგრადირებული ნიადაგის აღდგენის ურთიერთქმედების შესახებ ცოდნის შევსება გადაწყვეტილებების მიღების გასაადვი-	2	გვალვა, გაუდაბნოება, ნიადაგის დეგრადაციის წამყვანი ფაქტორებისა და მათი ურთიერთკავშირის ამსახველი ცოდნა; ასევე კლიმატის ცვლილებასა და ბიომრავალფეროვნებასთან მათი ურთიერთქმედების ცოდნა	2018 წლისთვის განხო-რციელდა ბიო-ფიზიკური, სოციალური და ეკონო-მიკური ურთიერთქმედების თვითშეფასება	ეფექტიანი უწყებათშორისი თანამ-შრომლობა დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფო უწყებები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.) ჩართულობა

ლებლად ინსტრუმენტების შესამუშავებლად				
შედეგი 3.5: ეფექტური ცოდნის გაზიარების სისტემები, მათ შორის ტრადიციული ცოდნის, ადგილობრივ, გლობალურ, რეგიონულ, სუბრეგიონულ და ეროვნულ დონეზე პოლიტიკოსებისა და მომხმარებლების მხარდასაჭერად, მათ შორის, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენისა და გაზიარების გზით.	2	გვალვა, გაუდაბნოება, ნიადაგის დეგრადაციის შესაბამისი ცოდნის გაზიარების სისტემის მომხმარებლების ტიპი და რაოდენობა აღწერილია კონვენციის ვებ-გვერდზე	2020 წლისათვის კონვენციის ვებ-გვერდი რესტრუქტურიზებულია და მოიცავს ცოდნის გაზიარების სისტემის თემატურ მონაცემთა ბაზას ეროვნული მოხსენების ფორმატის ფარგლებში	

შედეგი 3.1 ბიოფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური ტენდენციების ეროვნული მონიტორინგისა და მოწყვლადობის შეფასება				
სავარაუდო მიზანი: 2018 წლისთვის შექმნილია რეგიონული მონიტორინგის სისტემა				
ღონისძიება	**გრაფიკი**	**ბიუჯეტი**	**პასუხისმგებელი სააგენტო/შემსრულებელი ორგანიზაცია**	**პოტენციური დაფინანსების წყარო**
ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელისა და მონიტორინგის, მათ შორის ადრეული შეტყობინების სისტემის აღდგენა	2014-2017	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	ბიუჯეტი/დონორები
ნიადაგის დაბინძურების და დეგრადაციის მონიტორინგის წარმოება	2015-2022	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ბიუჯეტი/დონორები
ნიადაგის გაუდაბნოების გამომწვევი ბუნებრივი და ანთროპოგენური სტიქიური პროცესების (წყლისა და ქარის ეროზია, ღვარცოფი, მეწყერი, ირიგაციული ეროზია, ტყის გაჩეხვა, სამთო-კარიერული სამუშაობი და სხვ.) მონიტორინგი	2014-2017	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები

საქართველოს მიწის დაფარულობისა და მიწათსარგებლობის რუკის მომზადება	2015-2018	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/	დონორები
ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების შესწავლა	2015-2018	მაღალი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფობიუჯეტი დონორები
აეროფოტოგადაღება - მიწების ინვენტარიზაცია	2015-2018	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შედგენა.	2015-2020	მაღალი*	სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორილებული ფართობების ინვენტარიზაცია	2015-2020	საშუალო*	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი

შედეგი 3.2: მონაცემთა ბაზების შექმნა ბიოფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური ტენდენციების შესახებ არსებული ყველაზე საიმედო მონაცემების საფუძველზე და შესაბამისი სამეცნიერო მიდგომების თანდათანობითი ჰარმონიზაცია.

სავარაუდო მიზანი: 2018 წლისთვის კონვენციისთვის რეგიონული საანგარიშო პირების მიერ მომზადებულია მოხსენება ახალი საანგარიშო სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად

ღონისძიება	გრაფიკი	ბიუჯეტი	პასუხისმგებელი სააგენტო/შემსრულებელი ორგანიზაცია	პოტენციური დაფინანსების წყარო
სხვადასხვა უწყებების, სამთავრობო და არასა-მთავრობო ორგანიზაციების მიერ დღემდე დაგროვილი მონაცემების ინვენტარიზაცია და მონაცემთა ბანკის შექმნა	2015-2017	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივი რესურ-სების დაცვის სამინისტრო/ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები
მონაცემთა ბანკის განთავსება სერვერზე (ყველა დაინტერესებული მხარის წვდომით)	2014-2018	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურ-სების დაცვის სამინისტრო/განათ-ლებისა და მეცნიერების სამინის-ტრო/სოფლის მეურნეობის სამი-	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები

			ნისტრო/სტატისტიკის დეპარტა-მენტი/სამთავრობო და არასამ-თავრობო ორგანიზაციები	
მაღალი ხარისხის (უხვმოსავლიანი,დაავადებებისაგან და სარეველებისაგან თავისუფალი და გვალვიანი პირობების ამტანი) თესლის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების შერჩევა და დანერგვა	2018-2020	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები

შედეგი 3.3: ბიოფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების და მათი ურთიერთქმედების ცოდნა უკეთესი გადაწყვეტილებების მისაღებად				
სავარაუდო მიზანი: 2020 წლისთვის შესრულებულია თვითშეფასება				
ღონისძიება	**გრაფიკი**	**ბიუჯეტი**	**პასუხისმგებელი სააგენტო/შემსრულებელი ორგანიზაცია**	**პოტენციური დაფინანსების წყარო**
სტიქიური მოვლენების პოტენციურად საშიში უბნების გამოყოფა და ტერიტორიის ზონირება პროცესების გააქტიურების, რისკისა და შესაძლო გეოეკოლოგიური გართულების მიხედვით	2014-2016	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
ლანდშაფტების შეფასება დროით ჭრილში - გარემოს მოსალოდნელი ცვლილების ხასიათის და მიმართულების დადგენა თითოეულ ლანდშაფტში	2014-2017	საშუალო*	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
რისკის ქვეშ მყოფი ტერიტორიების წყლის რესურსების შეფასება; მოსახლეობის სასმელი და საირიგაციო წყლით უზრუნველყოფა;	2015-2018	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად სასმელი წყლის რესურსების დაცვა	2016-2019	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები
ეროვნულ დონეზე გაუდაბნოების კრიტერიუმების შემუშავება	2015-2016	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები
გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფი ტერიტორიების განსაზღვრა	2014-2017	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/განათლებისა და მეცნიერების	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები

			სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები/არასამთავრობო ორგანიზაციები	
გაუდაბნოების შედეგად გაქრობის/დეგრადაციის საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა და ცხოველთა სახეობების დადგენა და კონსერვაცია; მცენარეთა ადგილობრივი ჯიშების კონსერვაციის ხელშეწყობის პროექტების განხორციელება	2014-2017	საშუალო*	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები/ არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
სოციოლოგიური კვლევები - არსებული მდგომარეობის შეფასება; სიღარიბის ზღვარის დადგენა	2014-2017	მცირე*	სტატისტიკის დეპარტამენტი/სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები
ლიდერების და „ჩემპიონების“ გამოვლენა მდგრადი მიწათსარგებლობის სფეროში და მათი ხელშეწყობა სხვა მიწათმოსარგებლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით	2015 2020	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები
სურსათის უვნებლობის სტანდარტების დაცვის კუთხით პირველადი და გადამუშავებული პროდუქციის მწარმოებლების ხელშეწყობა	2014-2020	მაღალი*	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
გაუდაბნოების გავლენის შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე	2016-2020	მცირე*	ჯანდაცვის სამინისტრო/სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები/ არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
გაუდაბნოების შედეგად მიღებული ზარალის გამოვლენა და შეფასება	2019-2022	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები

შედეგი 3.4: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის, გვალვის შერბილებისა და დეგრადირებული ნიადაგის აღდგენის ურთიერთქმედების შესახებ ცოდნის შევსება გადაწყვეტილებების მიღების გასაადვილებლად ინსტრუმენტების შესამუშავებლად

ეროვნული მიზანი: 2018 წლისთვის გაკეთებულია თვითშეფასება				
ღონისძიება	**გრაფიკი**	**ბიუჯეტი**	**პასუხისმგებელი სააგენტო/შემსრულებელი ორგანიზაცია**	**პოტენციური დაფინანსების წყარო**

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის, გვალვის შერბილებისა და დეგრადირებული ნიადაგის აღდგენის შესახებ ინსტრუქციების მომზადება და გავრცელება	2015-2017	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
ბიომეურნეობის განვითარების საპილოტე პროექტების განხორციელება	2014- 2018	მაღალი*	კერძო სექტორი/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
მდგრადი მიწათსარგებლობის მექანიზმების დანერგვა	2015-2018	მცირე*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები
დაბინძურებული/დეგრადირებული ნიადაგის რეაბილიტაციის საპილოტე პროექტების განხორციელება სოფლის მეურნეობაში ორგანული სასუქების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით საპილოტე პროექტების განხორციელება	2016-2018	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები/სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
სასარგებლო წიაღისეულის კარიერების რეკულტივაცია	2018-2022	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო/არასამთავრობო ორგანიზაციები/კერძო სექტორი	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
ნიადაგის რეკულტივაცია შერჩეულ მუნიციპალიტეტებში	2017-2022	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები
ტყის ფონდის შემადგენლობაში არსებულ ფართობებზე ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება	2014-2022	მაღალი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების დარგვა/დათესვა და ეროზიის საწინააღმდეგო ბიოინჟინერიის ინოვაციური მეთოდების გამოყენება	2018-2022	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები

შედეგი3.5: ეფექტური ცოდნის გაზიარების სისტემები, მათ შორის ტრადიციული ცოდნის, ადგილობრივ, გლობალურ, რეგიონულ, სუბრეგიონულ და ეროვნულ დონეზე პოლიტიკოსებისა და მომხმარებლების მხარდასაჭერად, მათ შორის, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენისა და გაზიარების გზით.

სავარაუდო მიზანი: 2020 წლისათვის კონვენციის ვებ-გვერდი რესტრუქტურიზებულია და მოიცავს ცოდნის გაზიარების სისტემის თემატურ მონაცემთა ბაზას ეროვნული მოხსენების ფარგლებში				
ღონისძიება	**გრაფიკი**	**ბიუჯეტი**	**პასუხისმგებელი სააგენტო/შემსრულებელი ორგანიზაცია**	**პოტენციური დაფინანსების წყარო**
სამეცნიერო კვლევების, ბიოწარმოების და სხვ. ხელშეწყობა	2015-2018	მაღალი*	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/ სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები
ტრადიციული მეთოდოლოგიების მოძიება, განახლება და თანამედროვე მიდგომების დანერგვა	2014-2017	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სამეცნიეო-კვლევითი ინსტიტუ-ტები/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები
ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მეღვინეობა, მეხორბლეობა, და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებები	2014-2020	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივის რესურსების დაცვის სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
საკომუნიკაციო სისტემის შექმნა (ადრეული გაფრთხილება, კრიტიკულ სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შემუშავება, საადაპტაციო ღონისძიებების შემუშავება)	2015-2017	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სოფლის მეურნეობის სამი-ნისტრო/სამეცნიეო-კვლევითი ინსტიტუტე-ბი/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორები
ფერმერებს/მეცხვარეებს შორის საძოვრების მდგრადი მართვის პრაქტიკის გაზიარება	2015-2020	მაღალი*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები
კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენისა და გაზიარებისთვის ადგილობრივ, გლობალურ, რეგიონულ და სუბრე-გიონულ დონეზე	2015-2018	საშუალო*	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები/არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფობიუჯეტი/ დონორები/რუსთაველი ს სამეცნიერო ფონდი

საოპერაციო მიზანი 4 - შესაძლებლობების გაძლიერება

შედეგები	სტრატეგიული მიზანი	ინდიკატორი	ეროვნული მიზანი	განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობები
შედეგი 4.1: გლობალური გარემოს დაცვის მიზნით ეროვნულ შესაძლებლობათა გაძლირების საჭიროებები შეფასებულია და განახლებულია; შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით გათვალისწინებული ქმედებები განხორციელებულია ინდივიდუალურ, ინსტიტუციონალურ და სისტემურ დონეებზე	4	ეროვნული შესაძლებლობების გადახედვა და შესაძლებლობების თვითშეფასების დოკუმენტის განახლება განახლებული შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელე-ბა	2018 წლისთვის საქართველოს აქვს განახლებული შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგია. 2020 წლისთვის შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელებულია	ეფექტიანი სექტორშორისი თანამშრომლობა დაინტერესბული მხარეების (სახელმწიფო უწყებები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.) ჩართულობა შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის არსებობა

შედეგი 4.1: გლობალური გარემოს დაცვის მიზნით ეროვნულ შესაძლებლობათა გაძლირების საჭიროებები შეფასებულია და განახლებულია;

2018 წლისთვის საქართველოს აქვს განახლებული შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგია.				
ღონისძიება	**გრაფიკი**	**ბიუჯეტი**	**პასუხისმგებელი სააგენტო/განმახორიელებელი ორგანიზაცია**	**პოტენციური დაფინანსების წყარო**
გლობალური გარემოს დაცვის მიზნით საქართველოს შესაძლებლობათა გაძლირების საჭიროებების თვითშეფასების ფარგლებში ბიომრავალფეროვნების დაცვის, კლიმატის ცვლილების და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის (2006-2010) განახლება/გადასინჯვა გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროს ნაწილში და ამის საფუძველზე გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების მოქმედებათა განახლებული გეგმის მომზადება 2016-2018 წლებისათვის	2016-2018	მცირე*	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორები
გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიისა და 2016-2018 წწ.-ის მოქმედებათა განახლებული გეგმის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის შედგენა	2015	მცირე*	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორები
გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერების სტრატეგიისა და 2016-2018 წწ.-ის მოქმედებათა განახლებული გეგმის ღონისძიებათა განხორციელება	2016-2018	მაღალი*	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ბიუჯეტი, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და ქვეყნები

* წინამდებარე დოკუმენტში „მცირე“ ბიუჯეტის ქვეშ იგულისხმება 100,000 ლარამდე, „საშუალოს“ ქვეშ - 100,000 ლარიდან 500,000 ლარამდე, „მაღალი“ - 500,000 ლარიდან და ზემოთ.